ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

31 მარტი, ორშაბათი, 2014 წ., №4

ვლადიმერ პაპავა:

ყველას არ აწყობს, რომ პროფესორების მიმართ მაღალი მოთხოვნები იყოს წამოყენებული, რადგან ზოგს აკრთობს ეს ახალი კრიტერიუმები კომპეტენციიდან გამომდინარე. ამიტომ უნდა მოხდეს გარღვევა იმ ინდივიდების მხრიდან, ვინც ამ ფერხულშია ჩაბმული და ვინც რეალურად ქმნის მეცნიერებას და ჩვენ ასეთიც ბევრი გვყავს

ლევან ბერძენიშვილი:

ძველ თაობას ჰქონდა დიდი ოცნებები და ახალ თაობას აქვს პატარა ოცნებები. ეს ახალი თაობის ნაკლია. ახალი თაობა ოცნებობს სამსახურზე, ძველი თაობა ოცნებობდა ნობელის პრემიაზე.

სტუდენტთა კრიტიკული აზროვნება რექტორმა წაახალისა

ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველსავე დღეს რექტორისგან სტუდენტებისთვის მიცემული დაპირება სრულდება და 27 მარტს, თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა უკვე მესამედ შეხვდა სტუდენტებს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში, რომელზე დასწრებაც ყველას თანაბრად შეეძლო. მწვავე კითხვებსა და ე.წ. რადიკალ სტუდენტთა პოზიციებს რექტორი მიესალმა და შეეცადა, რომ შეხვედრაზე სტუდენტებისთვის ყველა ის სიახლე გაეცნო, რაზეც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუშაობს ან რასაც მომავლისთვის გეგმავს. „მე იმიტომ გხვდებით, რომ თქვენგან მოვისმინო კრიტიკული წინადადებები და, თუ შენიშვნები სამართლიანი იქნება, მე მას მივიღებ. როცა თბილი სიტყვების თქმა მოგინდებათ, მითხარით მაშინ, როცა რექტორი აღარ ვიქნები. დღეს უნივერსიტეტი დგას დიდი ამოცანების წინაშე, თქვენ კი ამას თქვენი გადმოსახედიდან ხედავთ... ამიტომაც მჭირდება თქვენი შენიშვნები, რათა დავინახო ის, რაც ჩემი გადმოსახედიდან არ ჩანს. ის ვალდებულებები, რაც მე წინასაარჩევნო პერიოდში მაქვს აღებული, აუცილებლად უნდა შევასრულო. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან და ეს „შემოდგომა“ ჩემი რექტორობის მეოთხე წელიწადს დადგება, რის შემდეგაც მივიღებ ადეკვატურ გადაწყვეტილებას. დღეს კი თქვენგან იმ პრობლემების მოსმენა მსურს, რომლის გადაწყვეტაც ოპერატიულ რეჟიმშია შესაძლებელი“, — ამ პათოსით შეხვდა სტუდენტებს რექტორი ლადო პაპავა, რომელსაც წინამორგედებისგან განსხვავებული „არაიმპერატიული ტონი“ და აუდიტორიისადმი დამოკიდებულება მოუწონეს დამსწრე სტუდენტებმა. შეხვედრაზე ბევრი სიახლე გაჟღერდა და გაკეთდა ის აქცენტები, რომელიც სტუდენტების გარდა მთელ საუნივერსიტეტო საზოგადოებას აწუხებს.

მე-3, 7 გვერდზე

თსუ-ის ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი განხილვის საგნად იქცა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალი განვითარების სტრატეგიას განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე გატარებული რეფორმების შედეგებს ბევრი აკრიტიკებს, არავინ დავობს, რომ უნივერსიტეტში არაერთი ისეთი პრობლემა მოწესრიგდა, რომელიც წლების განმავლობაში აქილევსის ქუსლად იყო ქცეული. ამ ეტაპზე გაჩნდა სხვა მოთხოვნებიც, რაც აუცილებლად საჭიროებს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქცევს რეალურად კვლევით უნივერსიტეტად და მსოფლიოს რეიტინგული უნივერსიტეტების ჩამონათვალის პირველ ხუთასეულში მიუჩენს ადგილს.

მე-5, 7 გვერდზე

წლიური ანგარიში სენატმა მოიწონა

ინტერვიუ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დავით ჩომახიძესთან

მე-2 გვერდზე

ნინო კაკულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნების თანახმად, 28 მარტს, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე 2013 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშით წარსდგა. სენატმა მოიწონა და მხარი დაუჭირა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მრავალმხრივი საქმიანობის (2013 წ.) შესახებ ამომწურავ ინფორმაციას და დეტალურ ანალიზს მოიცავდა. თუ რა მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება დავით ჩომახიძემ წლიურ ანგარიშში, ამის შესახებ თავად გვესაუბრება.

სტუდ-ფიქი

სტუდენტური ჩანართი

მსოფლიო იცავს შენს კულტურას, დაიცავი შენც! 8

სტუდენტები თსუ-ში საუნივერსიტეტო მაღაზიის გახსნას მიესალმებიან 9

ნომერში

უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო — გამოსაცემი სახელმძღვანელოების ხარისხის გარანტი 4

სტუდენტების გზავნილი სახელმწიფო სტრუქტურებს 6

რევაზ მიშველაძის საჩუქარი თსუ-ს 10

რევაზ გაჩეჩილაძის პირადი ისტორია უნივერსიტეტისა და მსოფლიო ისტორიის კონტექსტში 11

საჯარო ლექცია: „უკრაინა დღეს“ 13

ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა 15

ჯუმბერ კერესელიძე: დიდი მეცნიერება ენთუზიაზმით აღარ კეთდება! 15

წლიური ანგარიში სენატმა მოიწონა

ინტერვიუ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დავით ჩომახიძესთან

პირველი გვერდიდან

— ბატონო დავით, რა აქცენტებზე გაამახვილეთ ყურადღება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2013 წელს განეული საქმიანობის ამსახველ დოკუმენტში, რომელიც თსუ-ის წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა?

— წარმომადგენლობით საბჭოს მე წარვუდგინე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოველწლიური ანგარიში 2013 წელს განეული საქმიანობის შესახებ, რაც ჩვენი წესდებითა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით განისაზღვრება.

წლიური ანგარიში, რომელშიც მთელი ადმინისტრაციული რესურსის საქმიანობაა წარმოჩენილი, შინაარსობრივი მრავალფეროვნების გამო ბლოკებად წარმოვადგინე. პირველი პუნქტია სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა, რომელსაც ადმინისტრაციული დეპარტამენტები: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ახორციელებს. ამ ბლოკშია წარმოდგენილი საგამოცდო ცენტრის, აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქმიანობის ანგარიში, რომელსაც ემატება ინფორმაცია 2013 წელს განეული საგამომცემლო და სამუზეუმო საქმიანობის თაობაზეც. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სამუზეუმო საქმიანობაც ამ ბლოკში შეგვეტანა ერთი მარტივი მიზეზის გამო: უნივერსიტეტის მუზეუმს მხოლოდ საუნივერსიტეტო მუზეუმის დატვირთვა არ აქვს. თითოეულ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სხვადასხვა მუზეუმი (არქეოლოგიის, მინერალოგიის, ემიგრაციის, ზოოლოგიის და ა.შ.), რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო და სასწავლო პროცესში.

შემდეგი ბლოკია რესურსების მართვა, რომელიც მოიცავს საფინანსო დეპარტამენტის, პერსონალის მართვის დეპარტამენტისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიების დეპარტამენტის საქმიანობას, აღნიშნულ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია ფინანსების მართვის, 2013 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებით — ეს არის მთლიანად საფინანსო დეპარტამენტის ფუნქცია და კომპეტენცია და, შესაბამისად, მათი ანგარიშით იწყება რესურსების მართვა, რადგან შემოსავლების გარეშე ვერანაირ რესურსს ვერ ვმართავთ. შემდეგია მატერიალური რესურსების მართვა, რომელიც ჩვენი საქმიანობის საკმაოდ მნიშვნელოვანი რგოლია, რადგან საკომუნიკაციო სისტემების (კავშირგაბმულობა, ელექტრო გაყვანილობა, წყალმომარაგების და ბუნებრივი აირის ქსელი, გათბობა) გამართული მუშაობა, კომუნალური გადასახადები და მათზე კონტროლი, სამშენებლო-სარემონტო, საექსპლუატაციო სამუშაოები, დასუფთავება-დალაგება და ა.შ. — ეს ყველაფერი მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის კომპეტენციაა და ამ მიმართულებით დიდი სამუშაოები სრულდება. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტიც საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმიანობით არის დაკავებული. 2013 წელი საკმაოდ შრომატევადი იყო მათთვის, რათა 2014 წლისთვის სასწავლო ბაზების გამართული მუშაობისთვის შეექმნათ საფუძველი, რაც საკმაოდ ბევრ კომპონენტზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ყველასთვის საინტერესოა მოხსენება იმის თაობაზე, რა წინაპირობები უძღოდა ბაზების გამართვის საკითხის გადაჭრას. ეს თემაც რესურსების მართვის ბლოკში მოხვდა.

მესამე ბლოკში — „საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები და ურთიერთობა საზოგადოებასთან“ წარმოდგენილია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის, „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის“, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციისა და კანცელარიის მუშაობის წლიური ანგარიშები.

მეოთხე ბლოკი მოიცავს 2013 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფის მხრივ ჩატარებული საქმიანობის შესახებ ვრცელ ინფორმაციას, რაც ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის იურიდიულ ანალიზსა და რეკომენდაციებს, სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე კანონდარღვევათა მაქსიმალურ პრევენციას, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას და სასამართლოში უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას. საგულისხმოა შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული საუნივერსიტეტო საქმიანობის კონტროლის შესახებ ანგარიშიც და დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაოების ნუსხაც. ამ ყოველივეს შესახებ ინფორმაციას აერთიანებს ბლოკი — „საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა“.

მეხუთე ბლოკში კი წარმოდგენილია საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში, რომელიც მთლიანად მოიცავს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის საქმიანობის წლიურ ანგარიშს. აქ მოცემულია ინფორმაცია სტუდენტური ღონისძიებების, საუნივერსიტეტო ოლიმპიადების, სხვადასხვა სახის ფესტივალების, საუნივერსიტეტო მნიშვნელობის კონკურსების, კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების შესახებ, რომლებშიც თსუ ყოველთვის ღირსეულად არის წარმოდგენილი და I და II საპრიზო ადგილები თითქმის გარანტირებული გვაქვს.

ანუ, მე ძალიან მოკლედ ვისაუბრე იმ თემების თაობაზე, რომლებიც საკმაოდ ვრცლად არის მიმოხილული ჩემს ანგარიშში.

— წლიურ ანგარიშზე მუშაობისას რა სურათი იკვეთება? წინა წლის ანგარიშის გაანალიზებისას აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება თუ ხდება მომდევნო წელს?

— ანალიზი ყოველ წელს კეთდება და, ვთქვათ, შემოსავლების თვალსაზრისით მდგომარეობის შეფასებაზე თუ გავაკეთებთ აქცენტს, პროგრესი ყოველ წელიწადს ფიქსირდება, რაც ციფრებშია ასახული. საფინანსო დეპარტამენტის ანგარიშს თუ გადავხედავთ და შევადარებთ გასულ წლებს, ვნახავთ, რომ უნივერსიტეტის შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება.

— რამდენად გაუმჯობესდა ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ კუთხით პრეტენზიები არსებობდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან...

— მსგავსი პრეტენზიები გამოითქვა შარშანაც და შარშანწინაც იმასთან დაკავშირებით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მათ მიერვე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დროულად არ მიეწოდებოდათ. ამიტომ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მთლიანად განვათავსეთ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ განეული ნებისმიერი ხარჯის თაობაზე. დღეისთვის ყველა ინფორმაცია არის საჯარო და ღია.

აღვნიშნავ იმასაც, რომ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის და გამოქვეყნების შესახებ 2013 წლის 26 აგვისტოს მთავრობამ მიიღო დადგენილება. ჩვენ პირველებმა შევასრულეთ ეს დადგენილება და გამოვეცით ბრძანება, რომელმაც ყველა ადმინისტრაციულ დეპარტამენტს მათ ხელთ არსებული ინფორმაციის ვებ-გვერდზე მუდმივად ატვირთვა და განახლება დაავალა, ამასთან ერთად, წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენ განმცხადებლებს წერილობითვე მივაწვდით ნებისმიერი სახის ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ვებ-გვერდზეა განთავსებული.

კანონით მინიჭებული მეტი უფლებები და შეღავათები უნივერსიტეტებს

სულ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს 4 კანონში შეტანილი ცვლილებები უმაღლეს სასწავლებლებს და განსაკუთრებით უნივერსიტეტების ადმინისტრაციულ სტრუქტურებს მუშაობას უმსუბუქებს და მეტ უფლებებს ანიჭებს. თუ რა შეღავათებზეა საუბარი, ამის შესახებ ბატონი დავით ჩომახიძე ერთგვარ განმარტებას გვთავაზობს.

— რა პროცედურების გამარტივების საშუალება მოგვცა ახალმა კანონმდებლობამ?

— მოგახსენებთ, რომ საქართველოს 4 კანონში, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონებში და საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება.

საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ მოგვცა იმის საშუალება, რომ უძრავი ქონების გადასახადისგან გავთავისუფლდეთ (საკმაოდ დიდი თანხის გადახდა გვიწევდა). ასე რომ, მომავალი წლიდან გადასახადს აღარ გადავიხდით იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვისაა განკუთვნილი. ამჟამად ვითვლით — რამდენს შეადგენს ეს თანხა, რასაც სხვა რესურსებისკენ მივმართავთ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში ცვლილების თანახმად კი, შესყიდვების კუთხით, გამარტივდა შესყიდვის პროცედურები უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ლიტერატურის (ბეჭდურის, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულის), რეაქტივის, კომპიუტერული პროგრამის, ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების), ლაბორატორიული აღჭურვილობისა და მონაცემთა ბაზის შესყიდვას, რაც, უდავოდ, დიდი შეღავათია ჩვენთვის ადრე არსებული დამაბრკოლებელი გარემოებებისგან გათავისუფლების თვალსაზრისით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონებით დეტალურად გაიწერა — რისი უფლება აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რაც ადრე მხოლოდ წესდებით განისაზღვრებოდა, ხოლო წესდების დამტკიცება და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა და საბოლოოდ მინისტრის ბრძანებით მტკიცდება. ახალი კანონმდებლობით ჩვენ საკმაოდ ბევრი უფლება მოგვენიჭა, რაც უნივერსიტეტის სუვერენულობის ხარისხსაც ზრდის რეალურად.

ვიზიტები გამოცდილების გასაზიარებლად

— ბატონო დავით, საინტერესოა თქვენი ვიზიტების მიზანი უცხოურ უნივერსიტეტში, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდით?

— კორვინუსის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი), ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი), კაროლინუმის უნივერსიტეტსა (პრაღა) და ვარშავის უნივერსიტეტში ჩემი ვიზიტების ძირითადი მიზანი, ადმინისტრაციული მუშაობის კუთხით, ამ უნივერსიტეტების გამოცდილების გაცნობა იყო. ჩვენ თავიდანვე შევარჩიეთ ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც პრობლემატიკით თუ განვითარების თვალსაზრისით ჩვენს უნივერსიტეტთან ახლოსაა, რადგან ჩვენ იმ უნივერსიტეტების მაგალითით შორს ვერ წავალთ, რომლებსაც საუკუნოვანი გამოცდილება აქვთ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის უნივერსიტეტებს არ აქვთ ის პრობლემები, რაც ჩვენ გვაქვს დღეს, ანუ მათ საუკუნის წინ გაიარეს ის გზა, რომელსაც ჩვენ 2006 წლიდან დღემდე გავდივართ. ხოლო პოსტსოციალისტური ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლებისთვის, ისევე როგორც ჩვენთვისაც, ახალია ბოლონიის პროცესი და ის საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც დღეს ვართ. ამდენად იყო მნიშვნელოვანი სწორედ ასეთ უნივერსიტეტებში ვიზიტი და იმის გაცნობა, თუ როგორ ახორციელებენ ისინი ადმინისტრირებას. ყველგან შევხვდი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებოდი რექტორის მოადგილეს, ვიცე-რექტორს ადმინისტრაციულ-მატერიალური რესურსების და ფინანსების კუთხით (გააჩნია, როგორი სტრუქტურა აქვს უნივერსიტეტს, ზოგიერთ უნივერსიტეტს, მაგალითად, ორივე ჰყავს — ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც და ვიცე-რექტორიც ფინანსების დარგში). ყველა უნივერსიტეტმა თავისი საქმიანობის დეტალური პრეზენტაციები მოაწყო, რის შედეგადაც დაწვრილებით შევისწავლეთ ჩემ მიერ დასახელებული უნივერსიტეტების ბიუჯეტის შედგენის პროცესი და ამ პროცესში ფაკულტეტების როლი; ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებული ფუნქციები; სტრუქტურის სქემა — საბჭოების ფუნქციონირების თუ სამსახურების დაქვემდებარების გეგმა; გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

ჩვენი პრინციპი და მიდგომა გახლდათ ასეთი — „რატომ გამოვიგონოთ ახალი ველოსიპედი, როდესაც ველოსიპედი გამოგონებული და აწყობილია“, ანუ როდესაც სისტემა სადღაც კარგად მუშაობს, რატომ უნდა ვიფიქროთ ახლის შექმნაზე? განა უპრიანი არ იქნება, გავიზიაროთ ის გამოცდილება სხვისგან, რომელიც ჩვენთვისაა მისაღები? სწორედ ამ მიმართულებით წავედით და მინდა გითხრათ, რომ გამოცდილების მიღების თვალსაზრისით კარგი უნივერსიტეტები შევარჩიეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ეს გახლავთ სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ უნივერსიტეტებისადმი, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება სოლიდური სახელმწიფო დაფინანსებით — უნივერსიტეტების ბიუჯეტის 2/3-ს ყველგან სახელმწიფო აფინანსებს და ეს თანხები გამოყენებულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, დოქტორანტების კვლევების და დაფინანსების ხელშეწყობის და სხვა მიზნით. ბუნებრივია, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია ასეთი ფორმით სახელმწიფოს გვერდში დგომა და დახმარება.

— იმ უნივერსიტეტებში, სადაც თქვენ ბრძანდებოდით, რამდენი ადამიანი მუშაობს ადმინისტრაციულ სტრუქტურებში? ეს ინფორმაცია იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას „გაბერილ“ სტრუქტურად მოიხსენიებენ ხოლმე...

— მაგალითისთვის გეტყვით, ტარტუს უნივერსიტეტში 4 000 თანამშრომელია, რომელიც 18 000 სტუდენტს ემსახურება. 4000 თანამშრომლიდან 2000 ადმინისტრაციულ სტრუქტურებშია დასაქმებული, 2000 კი აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგია. უნივერსიტეტის სახელფასო ფონდი 90 მილიონი ევროა 4000 კაცზე.

— იქაურ პრემირების სისტემაზე რას გვეტყვით? რა გამოცდილების გაზიარება შეგვიძლია ამ მიმართულებით?

— სახელმწიფოს მიერ დადგენილია მინიმალური ხელფასი, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტი განსაზღვრავს იმ დამატებითი ანაზღაურების ოდენობას, რაც დამოკიდებულია დატვირთვაზე, ფუნქციებზე და ა.შ.

დამატებით გეტყვით, რომ ვგეგმავ უცხოურ უნივერსიტეტებში ჩემი ვიზიტების ანგარიშის ვრცელი პრეზენტაცია მოვაწყო, რათა უნივერსიტეტი უკეთ ჩამოყალიბდეს — თუ რა გამოცდილებაა მოსაწონი და გასაზიარებელი.

სტუდენტთა კრიტიკული აზროვნება რექტორმა წაახალისა

რექტორის მორიგი შეხვედრა სტუდენტებთან

პირველი გვერდიდან

რა კეთდება მომავალ აკადემიურ კონკურსებში ღირებული კადრების შერჩევისთვის

შეხვედრა რექტორთან სტუდენტების მხრიდან პოზიციების აქტიურად წარმოჩენის ფონზე მიმდინარეობდა. სტუდენტებმა აკადემიური კონკურსების სამართლიანობის საკითხი დასვეს და საკონკურსო კომისიების გადახედვის თემასაც შეეხნენ.

„გადასახედია პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ხარისხიც. მე, პირადად, მინდა, რომ ლექციებს მიკითხავდნენ ისეთი პროფესორები, როგორებიც იყვნენ მარინა მუსხელიშვილი და ვახტანგ მაისაია. ისინი უძლიერესი სპეციალისტები არიან. რატომ არ ხდება ამ პროფესორების უნივერსიტეტში დაბრუნება იმის ფონზე, როდესაც სტუდენტთა ნაწილი ზოგიერთი ლექტორის არაპროფესიონალიზმით უკმაყოფილოა?“ — ამ კითხვით მიმართა რექტორს სტუდენტმა ალექსანდრე ახალკაცმა. უნივერსიტეტში პროფესორების დაბრუნების თემას და ამ საკითხზე სტუდენტთა უკმაყოფილო რეპლიკებს რექტორი გამოეხმაურა და აღნიშნა: „ვახტანგ მაისაია ჩემი მეგობარია, ის ორი კვირის ნინ იყო ჩემთან და ვისაუბრეთ, ჩამოვყალიბდით... საერთოდ მინდა განვმარტო, რომ აკადემიურ თანამდებობაზე რექტორის მიერ თანამშრომლის აყვანა, უბრალოდ, არ ხდება. რექტორს არ შეუძლია პროფესორი სამსახურში აიყვანოს ან სამსახურიდან გაათავისუფლოს — ეს სამართლებრივი ნორმა გაწერილია შრომით კანომდებლობაში და კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“. ვახტანგ მაისაიას თანამშრომლობას ჩვენს უნივერსიტეტთან დადებითად ვუყურებ და მინდა, რაც შეიძლება მალე მოხდეს მისი სრული რეაბილიტაცია. მე არც ერთ ფაკულტეტს არ ვზღუდავ — გამოაცხადოს კონკურსი აკადემიურ თანამდებობაზე. აქვე ისეც მინდა იცოდეთ, რომ კანონი რექტორს უკრძალავს საკონკურსო კომისიის საქმიანობაში ჩარევას და არც ვაპირებ, რომ ჩავერიო. აკადემიურ კონკურსებთან დაკავშირებით ჩვენ რამდენიმე ცვლილება განვახორციელეთ, მაგრამ მე მაინც უკმაყოფილო ვარ და საკონკურსო კომისიების არჩევის წესში ცვლილებების შეტანა კვლავ მინდა. ვფიქრობთ, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობის ერთი მესამედი უნდა იყოს დაკომპლექტებული სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებით, თუმცა, ნდობის ნიშნად, ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლების უმრავლესობით დაკომპლექტდება კომისიები. გარდა ამისა, არსებობს პრობლემა, რომელმაც ბოლო კონკურსების დროს იჩინა თავი და რაც საapელაციო პროცედურებს უკავშირდება (საapელაციო მექანიზმი აქამდე უნივერსიტეტში არ გვქონდა და იგი ჩემი ინიციატივით იქნა შემოღებული, რათა აკადემიურ კონკურსში ვერგასულ პროფესორს გასაჩივრების საშუალება თავად უნივერსიტეტში ჰქონდეს). ეს პროცედურა კიდევ უფრო მეტ დახვეწას საჭიროებს, რასაც იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს. სააპელაციო კომისია აღარ დაკომპლექტდება იმავე წევრებით, რომლებიც საკონკურსო კომისიებშია წარმოდგენილი — ამის აუცილებლობა გამოცდილებამ დაგვანახა. რაც შეეხება ქალბატონ მარინა მუსხელიშვილის საკითხს, მასთან მე დიდი ხანია პირადად ვმეგობრობ და თუკი ვინმეს სურდა, რომ ქალბატონი მარინა პროფესორი გამხდარიყო, ეს მე ვიყავი. ყველაფერი საკონკურსო კომისიის გადასაწყვეტია, საკონკურსო კომისიის მუშაობაში ვერ ჩავერევი. კონკურსი რომ უფრო გამჭვირვალე იყოს, ამიტომ გვინდა სხვა უნივერსიტეტებიდან სპეციალისტების მოწვევა“, — აღნიშნა რექტორმა, რომლის ინიციატივებსაც აკადემიურ კონკურსებთან დაკავშირებით აპლოდისმენტებით შეხვდნენ ის სტუდენტები, რომლებიც პროფესორთა კონკურსების წესებში გარე რეფერირების მექანიზმების დანერგვას აუცილებლად მიიჩნევენ და კონკურსების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის დამატებითი ბერკეტების შექმნას უჭერენ მხარს. „დღეს უკვე რექტორიც დარწმუნებულია წარსულში ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებების უალტერნატივობაში პროფესორების კონკურსებთან დაკავშირებით,“ — აღნიშნა სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

> ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲢᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ.

რა იგეგმება პროფესორთა ცოდნის ხარისხის გასაკონტროლებლად, რასაც სტუდენტებიც ითხოვენ

პროფესორთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ხარისხის შემოწმების კრიტერიუმებითა და მეთოდებით დაინტერესდა სტუდენტი ირაკლი სულავა, რომელმაც სტუდენტთა ნაწილის უკმაყოფილება გააჟღერა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი ლექტორი საკუთარი სილაბუსის მიხედვითაც კი ვერ ახერხებს წესიერად ლექციების წაკითხვას და ტექსტების გაზეპირებას თხოვს სტუდენტებს, რაც მათ სკოლის პერიოდს ხშირად ახსენებთ. ლექტორების კომპეტენტურობაზე პრეტენზიები დარბაზში მრავლად გამოითქვა. მათ შორის კონკრეტული მაგალითი მოიყვანა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მირანდა გაგუამ, რომელმაც აღნიშნა: „გთხოვთ, ლექტორების კომპეტენციის საკითხს მოკლე დროში მიხედოთ, რადგან სტუდენტებს არ დაგვჭირდეს კონკრეტული ლექტორების სახელებისა და გვარების დასახელება. სემინარის ხელმძღვანელისგან ხშირად მოისმენთ, რომ ამა თუ იმ საკითხზე პასუხის გაცემა მის კომპეტენციაში არ შედის ან მას უბრალოდ უჭირს სილაბუსს მიჰყვეს და დასმულ კითხვას უპასუხოს. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ძალიან ხშირია. ამდენად, პირველ რიგში გვაინტერესებს, თუ როგორ შემოწმდება ლექტორების ცოდნის ხარისხი. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, თუახალი ცოდნის გენერირება გვინდა“. რექტორმა სტუდენტთა მხრიდან პროფესორების მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს კონკრეტული პასუხი გასცა და დასძინა: „ჩემთან რამდენიმე პროფესორზე სერიოზული საჩივარია შემოსული, მე კი მექანიზმი არ მაქვს, რომ გადაწყვეტილება მივიღო. უნდა შევეცადოთ, ეს საკითხები ერთად მოვაგვაროთ. როცა ჩემთან საჩივარი შემოვა, უნდა მქონდეს ინსტრუმენტი, რომ საკითხი გადავწყვიტო. მე დღეს ლექტორს ვერ მოვხსნი და მის წინააღმდეგ ვერც რაიმე მექანიზმს გამოვიყენებ... უნდა არსებობდეს ინსტრუმენტი, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს. ამ თემაზე ჩვენ საუნივერსიტეტო დებულებას ვამზადებთ, რაც პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარება. რაც შეეხება პროფესიონალთა წახალისების თემას და უნივერსიტეტში ასეთი ბევრი გვყავს, ჩვენ დავაწესეთ „წლის საუკეთესო პროფესორის“ წოდება და ყველა ფაკულტეტზე სტუდენტებს შეუძლიათ რჩეულ პროფესორებს მისცენ ხმა. მოკლედ, ორივე მექანიზმზე ვმუშაობთ: როგორც დასჯის, ისე წახალისების.

ლადო პაპავამ პასუხად სტუდენტებს ის სიახლეებიც გააცნო, რაც პროფესორთა ცოდნის ხარისხის შემოწმებისთვის ახალი მეთოდების დანერგვას უკავშირდება. „ლექტორების ცოდნის ხარისხის კონტროლი ჩვენც ძალიან გვაწუხებს. პირველი, რასაც ვაპირებთ, არის ის, რომ სილაბუსი იყოს საჯარო და იყოს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ფაკულტეტების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წავაწყდი და მინდა, სტუდენტებმა ეს იცოდნენ. როგორც ლექტორების ნაწილი ამტკიცებს — სილაბუსების ვებ-გვერდზე განთავსება მათი საავტორო უფლების დარღვევას გამოიწვევს, რადგან ვიღაც ამ სილაბუსს მოიპარავს და სხვა უნივერსიტეტში ასწავლის. ძალიან კარგი, თუ ასეთი კარგი სილაბუსი დავწერე და სხვა უნივერსიტეტში ჩემი სილაბუსით ასწავლიან, ასწავლონ, მერე რა მოხდა! მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობს. ამიტომ ჩვენ გადავდგით უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი და, პრაქტიკულად, უკვე დავასრულეთ საქპატენტთან მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ მოხდეს საავტორო უფლების მინიჭება სილაბუსის ყველა ავტორზე. მართალია, ფაკულტეტებიდან ჩვენი ინიციატივის განხორციელებისთვის სრული მხარდაჭერა არ გვაქვს, მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და ყველა სილაბუსი ხელმისაწვდომი იქნება. თუმცა, ლექტორის ცოდნის ხარისხის კონტროლი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ჩვენ შევქმენით ჯგუფი, რომელმაც ამ მიმართულებით ინტენსიურად იმუშავა. ჯგუფს ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს. დაიდო დოკუმენტი, რომლის პრეზენტაციებიც ყველა ფაკულტეტზე ამჟამად მიმდინარეობს. დოკუმენტში გაწერილია მექანიზმები, თუ როგორ უნდა მოხდეს ლექტორების ცოდნის ხარისხის კონტროლი. პრობლემას წარმოადგენს ლექტორების მხრიდან ლექციების გაცდენის შემთხვევებიც, რის აღმოსაფხვრელადაც გარკვეულ რეგულაციას დავაწესებთ. ასევე დავამთავრეთ მუშაობა სამეცნიერო ეთიკის დებულებაზე, რასაც სავარაუდოდ მაისში მივიღებთ. ესეც სერიოზული ნაბიჯი იქნება ამ პრობლემების გადასაწყვეტად“, — აღნიშნა რექტორმა. ლადო პაპავამ იმ სირთულეებზეც ისაუბრა, რაც პროფესიული ხარისხის

> ᲡᲐᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲢᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ — ᲐᲛᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲐ.

გაზრდის მიზნით უნივერსიტეტის ახალი ინიციატივებისადმი პროფესორთა ნაწილის მხრიდან მიუღებლობას უკავშირდება.

„ჩვენ გვინდა, რომ სამეცნიერო საქმიანობაში რაც შეიძლება უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის პროფესორები, რომ უფრო მეტად იღებდნენ საერთაშორისო კონფერენციებში ისინი მონაწილეობას, რომ უფრო მეტი პუბლიკაციები ქვეყნდებოდეს რეიტინგულ, საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, მაგრამ ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ვაწყდებით წინააღმდეგობას — ყველას არ აწყობს, რომ პროფესორების მიმართ მაღალი მოთხოვნები იყოს წამოყენებული, რადგან ზოგს აკრთობს ეს ახალი კრიტერიუმები კომპეტენციიდან გამომდინარე. ამიტომ უნდა მოხდეს გარღვევა იმ ინდივიდების მხრიდან, ვინც ამ ფერხულშია ჩაბმული და ვინც რეალურად ქმნის მეცნიერებას და ჩვენ ასეთიც ბევრი გვყავს“, — აღნიშნა რექტორმა.

შეიცვლება თუ არა სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო წესი

სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ სტუდენტური თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა: „ვფიქრობ, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თემა, დღეს, ყველაზე აქტუალურია და, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა, თვითმმართველობის საარჩევნო წესი იგივე დარჩა. გვრჩება პასიური სტუდენტობა, პასიური ადმინისტრაცია და პროფესორები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რადგან პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, სტუდენტური თვითმმართველობაც თავისთავად გახდება კარგი, მაგრამ ეს ბუნებრივად ვერ მოხდება. ამ მიმართულებით საჭიროა მრავალმხრივი მუშაობა თუნდაც სტუდენტთა გამოსაფხიზლებლად, რათა სტუდენტურ თვითმმართველობაში ინიციატივიანი და ახალი იდეებით უკეთესად შეიარაღებული სტუდენტები მოხვდნენ...“ რექტორმა ლადო პაპავამ, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების აჟიოტაჟის გარეშე ჩატარების მომხრეა, სტუდენტის შეკითხვას ასე უპასუხა: „ეს პრობლემა ძალიან მაფიქრებს, რადგან მინდა, არჩევნები მშვიდ და გამჭვირვალე გარემოში ჩატარდეს და მოიხსნას პრობლემა სტუდენტთა თვითმმართველობასთან დაკავშირებით... არჩევნებისას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ხელოვნურ გართულებებს და მითქმა-მოთქმას. მე შეხვედრა მქონდა თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან, სადაც რამდენიმე წინადადება შევთავაზე არჩევნების გასამარტივებლად. თავად არჩევნების წესს რექტორი ვერ შეცვლის, რადგან კანონი ამის უფლებას არ მაძლევს. ჩემი პოზიცია კი სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ გამარტივდეს არჩევნების სისტემა — კანდიდატის წამოყენების და დარეგისტრირების წესი და ა.შ. გაიზიარებს თუარა ჩემს შეხედულებებს თვითმართველობა, ეს მისი გადასაწყვეტია. ამაში ჩარევა უკვე კანონის დარღვევაა. მე მათგან საპასუხო ნაბიჯს ველი. ისინიც დაინტერესებულნი არიან, რომ არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარდეს და პროცესი ყოველგვარი პოლიტიზაციის გარეშე წარიმართოს. ეს არა მხოლოდ საქმისთვის, არამედ უნივერსიტეტისთვისაც იქნება კარგი“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

რა პრობლემებს ქმნის „სოც-პოლების“ ფაკულტეტზე დეკანის ვერ არჩევა?

რექტორთან სტუდენტების შეხვედრაზე განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც საკმაოდ მწვავე კითხვებს სვამდნენ და თავიანთი ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს მეტი გულისხმიერებისკენ მოუწოდებდნენ. დეკანის მოვალეობის შემსრულებელთა ხშირ ცვლას ფაკულტეტზე სტუდენტები აპროტესტებენ და გადაუჭრელი პრობლემების დაგროვებას ამ ფაქტსაც უკავშირებენ. „გეთანხმებით, ფაკულტეტზე პრობლემები საკმაოდ ბევრი დაგროვდა, მაგრამ რატომ გროვდება ეს პრობლემები, ამაზეც ვიფიქროთ... მე ვარ ამ ფაკულტეტის ალბათ მეხუთე მოვალეობის შემსრულებელი დეკანი. ექვსი თვით მოსული დეკანი ვერ ასწრებს პრობლემების სისტემურ გადაჭრას და არც ხედვა არსებობს მათი გადაჭრისა. ეს კი დიდ პრობლემას უქმნის ფაკულტეტს“, — ასე გამოეხმაურა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემს-

ᲛᲔ-7 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო — გამოსაცემი სახელმძღვანელოების ხარისხის გარანტი

ინტერვიუ რექტორის მოადგილესთან მერაბ ელიაშვილთან

თსუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო, ფაკულტეტების საგამომცემლო საბჭოები და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიები იქმნება. საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში შესული ცვლილებები უნივერსიტეტის გრიფით გამოცემული ლიტერატურის ხარისხის გარანტია და საგამომცემლო პროცესში ჩართული პერსონალის კოორდინირებულ მუშაობასაც შეუწყობს ხელს. დეტალებზე თსუ-ის რექტორის მოადგილე და საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი მერაბ ელიაშვილი *გვესაუბრება.*

ნატო ოგოლაძე



— ბატონო მერაბ, რატომ გახდა აუცილებელი თსუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში ცვლილებების განხორციელება?

— დებულება გამარტივდა, რადგან იგი აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. ბოლო 6-7 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ასე თუ ისე ჩამოყალიბდა სტრუქტურები და ფაკულტეტებზე სარედაქციო საბჭოები ამუშავდა. შესაბამისად, ჩვენ შევეცადეთ ეს რეგულაცია საგამომცემლო პროცესში მონაწილე პერსონალისთვის უფრო მარტივი და გასაგები გამხდარიყო.

— როგორ მოხდება უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ასევე ფაკულტეტების საგამომცემლო საბჭოებისა და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დაკომპლექტება?

— უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეა რექტორი. მისი ბრძანებით ინიშნება საბჭოს მოადგილე და მდივანი. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეა დეკანი და მის წევრებს დეკანის წარდგინებით ირჩევს საფაკულტეტო საბჭო. დარგობრივ სარედაქციო კოლეგიებს ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო ფაკულტეტის დეპარტამენტების მიხედვით აყალიბებს.

— როგორც დებულებაშია აღნიშნული, უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო ამა თუ იმ ლიტერატურის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარდგინებით იღებს. მანამდე კი გამოსაცემად გამზადებული მასალის რეცენზირება ხდება. როგორ წარიმართება რეცენზირების პროცესი — ღია თუ დახურული წესით?

— შესაძლებელია როგორც ღია, ასევე, დახურული წესით მოქმედება. ეს საჭიროების მიხედვით განისაზღვრება. უკეთესია დახურული რეცენზირება, მაგრამ ჩვენ, გარკვეულწილად, შეზღუდულები ვართ. კონკრეტული დარგის სპეციალისტები იმდენად ბევრი არ არის, რომ რეცენზირების პროცესი მართლაც დახურული იყოს. შესაძლებელია რეცენზიის მიხედვით მიხვდნენ, თუ ვისი დაწერილია. თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც ნაშრომთან დაკავშირებით ორი რეცენზენტის მოსაზრება განსხვავდება. ასეთ დროს მესამე რეცენზენტი (სპეციალისტი, რომელიც უნივერსიტეტთან არ არის დაკავშირებული) ამზადებს დასკვნას, სასურველია ეს იყოს ფარული, რომ ავტორმა მასზე ზემოქმედება არ სცადოს.

— შეიძლება ითქვას, რომ დებულების გამარტივება უნივერსიტეტში საგამომცემლო საქმიანობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს?

— გაუმჯობესების განმსაზღვრელი არის ის ხარისხი, რა ხარისხის ლიტერატურის გამოცემაც მოხდება ამ წესების ფარგლებში. ვერ გეტყვით, რომ ხვალ გავიღვიძებთ და ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს ვიგრძნობთ, მაგრამ მცირე გაუმჯობესებაც კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მთავარია, ყოველდღიური მუშაობის ტემპის შენარჩუნება, დაინტერესებულმა პირებმა იცოდნენ — რა ნაშრომები გამოდის და რა არ ან რატომ არ გამოდის. მხოლოდ ვიღაცების ნება-სურვილზე უნივერსიტეტი წიგნებს არ უნდა გამოსცემდეს. ეს საკმაოდ ძვირი პროცესია და ფინანსები არ უნდა დაიხარჯოს იმაში, რაც არ გვჭირდება. მეორე საკითხია, რამდენად იქნება სტუდენტისთვის წიგნები ხელმისაწვდომი, რადგან მათი გამოცემა ძვირი ჯდება. ვგულისხმობ, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას.

— უნივერსიტეტში გამოცემულ ლიტერატურას მიენიჭება სპეციალური გრიფიც...

— იმ შემთხვევაში, თუ წიგნი უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოიცა, მას ექნება თსუ-ის ლოგო და წარწერა, რომ გამოცემულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი გამოცემული წიგნის ხარისხზე პასუხს აგებს. ასევე, დაიბეჭდება წიგნები, რომელთაც თსუ-ის გრიფი არ ექნებათ. ასეთ შემთხვევებს შეიძლება კომერციული ხასიათი ჰქონდეს. შესაძლოა, ავტორმა იპოვოს სპონსორი ან თავისივე ხარჯებით გამოსცეს წიგნი. ასეთ პროცესში ჩვენ არ ვერევით.

— რაც შეეხება სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემას, დაიწყო თუ არა თარგმნითი სამუშაოები და რა ეტაპზეა ეს პროცესი?

— თარგმნითი სამუშაოები მიმდინარეობს. დაახლოებით, 4 თვეა, შექმნილია სპეციალური კომისია, სადაც თითო ფაკულტეტიდან თითო კოორდინატორია წარმოდგენილი. ამ პროცესს მე ვხელმძღვანელობ. ეს ბატონი რექტორის ინიციატივაა. გამოიყო ბიუჯეტი 300 000 ლარის ოდენობით. თითოეულმა ფაკულტეტმა 2 ან 3 უცხოური სახელმძღვანელო შეარჩია. სხვათა შორის, შერჩევას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ახლა უკვე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ იმ გამომცემლობებთან, რომლებიც ამ წიგნების გამოცემაზე ლიცენზიებს ფლობენ.

— საუბარია უშუალოდ სახელმძღვანელოს თარგმნაზე და არა რიდერების გაკეთებაზე?

— ჩვენ რიდერად გამოვცემთ თუ მთლიანად, ამას საავტორო უფლება სჭირდება. დაახლოებით 16-17 წიგნზე ვცდილობთ ლიცენზიის მოპოვებას. უმრავლესობაზე თანხმობა პრაქტიკულად მოსულია, თუმცა საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. მომდევნო ეტაპია ხელშეკრულების გაფორმება, რომელსაც ამჟამად თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტი განიხილავს. როგორც გაირკვა ლიცენზიის ყიდვა ჩვენთვის ხელმისაწვდომია. პარალელურად ვარჩევთ თარჯიმნებს, რომლებიც სახელმძღვანელოებს თარგმნიან. ეს პრობლემატური საკითხია, რადგან მთარგმნელის განათლებასთან ერთად საჭიროა დარგობრივი ცოდნაც. ვფიქრობ, თარჯიმნებმა და კონკრეტული მიმართულების სპეციალისტებმა ერთად უნდა იმუშაონ.

— თსუ-ის 6 ფაკულტეტისთვის მხოლოდ 16-17 სახელმძღვანელო ითარგმნება?

— მოთხოვნა მეტია, მაგრამ ამ ეტაპზე ბიუჯეტი მეტის საშუალებას არ გვაძლევს.

— ტირაჟი რა რაოდენობის იქნება?

— ტირაჟს 200-დან 500 ცალამდე ვფიქრობთ. თუმცა, მაგალითად, მედიცინის ფაკულტეტისთვის 1000 ეგზემპლარის დაბეჭდვას ვვარაუდობთ.

— სახელმძღვანელოები რა ღირება?

— გააჩნია სახელმძღვანელოს, წიგნი შეიძლება 20-დან 80 ლარამდე ღირდეს.

— საქართველოში არსებულ სოციალურ ფონს თუ გავითვალისწინებთ, ბევრი სტუდენტისთვის სახელმძღვანელო შეიძლება ხელმიუწვდომელი იყოს...

— ეს პრობლემატური საკითხია, მაგრამ წიგნის გამოცემა ძვირი ჯდება. სახელმძღვანელოების ნაწილის ელექტრონული ვერსიაც იქნება, ასევე, იგი განთავსდება ბიბლიოთეკაშიც.

— სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა კომერციულად მომგებიანი არ იქნება?

— ეს პროექტი კომერციულად მომგებიანი არ არის, თუმცა მედიცინის ფაკულტეტის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოები, ამავე ფაკულტეტის პროფესურის აზრით, მოთხოვნადი იქნება სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. სურვილის შემთხვევაში, მათ ჩვეულებრივად შეეძლებათ გამოცემული ლიტერატურის ყიდვა.

სახელმძღვანელოების გამოსაცემად მუშაობა ყოველდღიურად მიმდინარეობს. ვვარაუდობ, რომ შემოდგომისთვის რამდენიმე ნათარგმნი ლიტერატურა უკვე გამოცემული იქნება.

რატომ უნდა კითხულობდე წიგნს

ნატო ოგოლაძე

წიგნიერების ხელშეწყობის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ერთობლივი შემეცნებითი პროექტი „თაობა L“ დაიგეგმა. პროექტის იდეის ავტორები უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, რომლებმაც უნივერსიტეტის კიდევ ერთ პროექტში „მისია 2013“ მიიღეს მონაწილეობა და აღნიშნული პროექტის განხორციელებასაც სწორედ ისინი შეუდგნენ. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პროექტი 10 მარტს კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტის, ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექციით თემაზე — „წიგნიერების მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში“ დაიწყო. სტუდენტებთან შეხვედრაზე მან რამდენიმე საინტერესო გზავნილი გააჟღერა — წიგნიერების მიღწევა შესაძლებელია მხატვრული ლიტერატურის კითხვით! წიგნს ტელევიზიასთან და კინოსთან შედარებით მეტი უპირატესობა აქვს და ავითარებს წარმოსახვას! წიგნი ადამიანს ეხმარება სიძნელეების გადალახვაში!

„არ ვარ მარტო ქაღალდის წიგნის გულშემატკივარი, მსოფლიოში გამომცემლობებს, ჩვეულებრივად, უფრო მეტი ელექტრონული წიგნი ეყიდებათ, ვიდრე ქაღალდის. მეც ყოველთვის შეიარაღებული ვარ ელექტრონული წიგნით და ბევრი წიგნი წავიკითხე ასე. ეს არ არის პრობლემა. პრობლემა სხვა რამ გახლავთ — ვკითხულობთ თუ არ ვკითხულობთ? განსაკუთრებით ძნელი ასახსნელია: რატომ უნდა წავიკითხოთ წიგნი, თუკი კინო არსებობს და თუ კინო ზუსტად მიყვება წიგნის შინაარსს? განსხვავება ის არის, რომ, როდესაც ვუყურებთ ფილმს, ის გვეუბნება — რა უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ, ანუ ფილმი ემსახურება ჩვენი წარმოსახვის გამოთიშვას და აღქმის ჩართვას. მაგალითად, როდესაც ანა კარენინას ვკითხულობ, თვალწინ მიდგას მისი ღიმილიც, მოძრაობებიც... ფილმის ყურებისას, შეიძლება, გაოგნებულიც დავრჩე, რადგან ნანახი, შესაძლოა, არ დაემთხვეს იმას, რაც წარმოვიდგინე, მიუხედავად იმისა, რომ ანა კარენინას ბევრი ეკრანიზაცია არსებობს...“

ლიტერატურა და კინო სხვადასხვა რამ აღმოჩნდა. მაგალითად, ლიტერატურას დღეს თუ არა, ხვალ წაიკითხავენ, ხოლო კინოს თუ არ ნახავენ, დღესვე რეჟისორი „მოკვდება“. წიგნებში არის ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც ავტორს დაბეჭდილი არ უნახავს. მოკვდა ავტორი, გავიდა რამდენიმე წელი და დაიბეჭდა. ასეთი წიგნიც არსებობს. განსხვავება არ არის მარტო აღქმაში, მთავარია, რომ ჩვენ როდესაც ვკითხულობთ, ხმას ვაძლევთ არა მწერალს, არამედ საკუთარ თავს, ხოლო ფილმის ყურებისას მაყურებელი ხმას აძლევს რეჟისორს, ანუ მაყურებელი წყვეტს რეჟისორის წარმატებას და არა თავისას. არ ვამბობ, რომ კინო არაფერს გვაძლევს, მაგრამ რასაც წიგნი გვაძლევს, იმას ვერასდროს ვერ მოგვცემს ფილმი... ამიტომ მათ შორის დიდი განსხვავებაა...“

ასეთი შედარებებითა და მაგალითების მოყვანით ცდილობდა ლევან ბერძენიშვილი სტუდენტებისთვის წიგნის განსაკუთრებულობის ახსნას.

საჯარო ლექციაზე ლევან ბერძენიშვილმა პროექტის „თაობა L“-ის შერჩეული პირველი წიგნიც დაასახელა. შემეცნებითი პროექტი გულისხმობს 10 წიგნის წაკითხვას გამომცემლობის „პალიტრა L“-ის სერიული გამოცემებიდან: „50 და 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ და ტესტის წერას. ამ დროისათვის პროექტში უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტის 300 სტუდენტია ჩართული. კონკურსის ფინალური ტური წიგნის საერთაშორისო დღეს – 23 აპრილს გაიმართება. გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელიც გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ დანესებულ მთავარ პრიზს აირჩევს — 1000 ლარს ან წიგნის თაროს 100 წიგნით. პროექტის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მომავალი წლიდან მისი მასშტაბი გაიზრდება და სტუდენტებს უფრო მეტი და მრავალფეროვანი მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა შეეძლებათ.

ახალი თაობა ოცნებობს სამსახურზე, ძველი თაობა ოცნებობდა ნობელის პრემიაზე

ლევან ბერძენიშვილი:

— მე 40 წელია ვასწავლი და საკმაოდ მოძველებული ფიგურა ვარ. განსხვავება არის ასეთი: ადრე სტუდენტები თუ არ კითხულობდნენ წიგნს, ისინი ითვლებოდნენ ჩამორჩენილად, ახლა სტუდენტები, რომლებიც არ კითხულობენ წიგნს, არ ითვლებიან ჩამორჩენილად, რაოდენობა მაშინაც და ახლაც ერთი იყო — 2% კითხულობდა და 98% არ კითხულობდა არც მაშინ და არც ახლა, მაგრამ მაშინ ის 2% ითვლებოდა, ასე რომ ვთქვათ, მოწინავედ და 98% — ჩამორჩენილად. ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ სტუდენტი, რომელიც არ კითხულობს, შეიძლება თავის თავზე ფიქრობდეს, რომ იგი კარგი სტუდენტია — ეს შეიცვალა. მეორე, რაც შეიცვალა, არის ის, რომ ადრე სტუდენტები არ გვეკითხებოდნენ — ეს რაში მჭირდება, როცა, მაგალითად, საუბარი იყო მხატვრულ ლიტერატურაზე, ვერავინ ბედავდა ამ შეკითხვის დასმას — რაში მჭირდება წიგნი და მხატვრული ლიტერატურაო — რატომღაც ითვლებოდა, რომ ესმოდათ. ახლა ეს შეკითხვა ისმება და მეტსაც გეტყვით, რომ შეკითხვას ისე სვამენ, ჰგონიათ, რომ პასუხიც იციან, იციან რომ არ ჭირდებათ ეს „სისულელე“, უბრალოდ საქართველოს პრეზიდენტი თუ უნდა გახდე, დიახ, არ გჭირდება, თუ ადამიანი უნდა გახდე — გჭირდება! და გააჩნია — რა გინდა, გახდე საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს ადამიანია, თუ გახდე მარტო პრეზიდენტი, რომელიც პრეზიდენტი როცა აღარ იქნება, მერე სამშობლოში ვეღარ ჩამოვა?! გააჩნია რა გინდა.

დღევანდელი ახალგაზრდობის მთავარი პრობლემაა — დროზე გაერკვნენ წიგნების მნიშვნელობაში და GPI-ზე მაღლა დააყენონ ის სულიერი ცოდნა, რომელიც მოაქვს წიგნებს. ადრე ასე იყო: ამ თვალსაზრისით ძველი თაობა ჯობდა. ახალი თაობა ძველ თაობას ჯობია იმით, რომ გაცილებით უკეთესად ესმის ცხოვრება, ახალი თაობა ნაკლებად იდეალისტურია, ახლოს არის პროგრამებთან და ძალიან ადრეულ ასაკში არის მზად მუშაობის დასაწყებად. უბრალოდ, ძველ თაობას ჰქონდა დიდი ოცნებები და ახალ თაობას აქვს პატარა ოცნებები. ეს ახალი თაობის ნაკლია. ახალი თაობა ოცნებობს სამსახურზე, ძველი თაობა ოცნებობდა ნობელის პრემიაზე.

არადა, ჩემი აზრით, არც სიმდიდრე და არც თანამდებობა არ არის წარმატების ნიშანი, წარმატების ნიშანი არის სწორი ცხოვრება და კვალი, რომელსაც ადამიანი ტოვებს. ჩემთვის ყველაზე წარმატებული ადამიანი არის ის, ვინც აბსოლუტურად წარუმატებელი იყო ცხოვრებაში ყველასათვის, მაგალითად ნიკოლოზ ბარათაშვილი, კაცი, რომელიც უხელფასობის გამო უცხოეთში წავიდა სამუშაოდ და იქ მოკვდა უპატრონოდ, არ დაიტირა არავინ და უფრო მეტიც, მის ოჯახში შავი ვერ ჩაიცვეს იმიტომ, რომ ძვირი იყო ეს ამბავი, არ ისესხეს მაგისთვის ფული, შავი რომ ჩაეცვა დედას, დას (ოჯახს ისედაც ბევრი სესხი ჰქონდა). მაგრამ, მე ის მიმაჩნია ყველაზე წარმატებულ კაცად, რადგან ათასი წელი გაივლის და ნიკოლოზ ბარათაშვილი დარჩება, უწიგნური პრეზიდენტები კი წავლენ, მივლემ, მოვლენ და გაქრებიან.

(ამონარიდი mediamall.ge-სთვის მიცემული ინტერვიუდან)

თსუ-ის ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი განხილვის საგნად იქცა

პირველი გვერდიდან

2013 წლის 21 ნოემბერს უნივერსიტეტის რექტორის ლადო პაპავას ბრძანებით შეიქმნა აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ვიცე-რექტორი მარინე ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს. ჯგუფის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი დეტალური კვლევის და დებატების შემდეგ, 2014 წლის 4 თებერვლისთვის უკვე მზად იყო დოკუმენტი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში“, რომელშიც, გარდა თსუ-ში არსებული რეალობის ანალიზისა, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც, აღნიშნული ჯგუფის წევრების აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნას უნივერსიტეტის მოდენიზაციის პროცესში.

ცოტა ხნის წინ ეს დოკუმენტი საუნივერსიტეტო საზოგადოების განხილვის საგნად იქცა. დაიწყო ფაკულტეტებზე ინტენსიური შეხვედრები, რომელზეც დოკუმენტი წარადგინა ჯგუფის ხელმძღვანელმა, თსუ-ის ვიცე-რექტორმა მარინე ჩიტაშვილმა. შეხვედრები უკვე დასრულდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროფესორ-მასწავლებელთა წინადადებებისა და მოსაზრებების განხილვა-შეჯერება, რის შემდეგაც დოკუმენტი წარედგინება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფს, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის რექტორს. ამით ჯგუფი მუშაობას დაასრულებს და დაელოდება წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების გადაწყვეტილებებს, რომელმაც საფუძველი უნდა დაუდოს უნივერსიტეტის მოდერნიზაციისთვის სამომავლო სტრატეგიისა და გეგმის შემუშავებას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტის ავტორები აცხადებენ, ეს არის „სამომავლო ხედვა“ — 2015-2018 წლებში განსახორციელებელი გეგმის პროექტი, რასაც უნდა დაეფუძნოს 2019-2028 წლების სტრატეგია.

დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისაგან:

პირველი საკითხი ეხება „აკადემიური პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების გაზომვადი კრიტერიუმების შემოტანას, ნაცვლად მხოლოდ სააუდიტორიო საათებისა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის აღრიცხვა (სწავლება, კვლევა, სერვისი); ასევე არსებული ორმაგი დისკრიმინაციის მოხსნა სხვადასხვა რანგის პროფესორთა ანაზღაურებაში და რანგის მიხედვით სამუშაო დროის ანაზღაურება.“ აღნიშნულ საკითხს ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი უწოდებს „ამოსავალ პრინციპს ბიუჯეტირებისთვის“: „უნივერსიტეტში დღეს ხელფასი მიბმულია სააუდიტორიო დატვირთვაზე. ჩვენი აზრით, ხელფასის მიბმა უნდა მოხდეს ერთეულზე, ანუ სამუშაო საათებზე, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ რომელიმე ორგანიზაციამ დამიქირავა, მაშინ უნდა შემითანხმდეს, რამდენ საათს მამუშავებს და რამდენ ხანს მაძლევს შვებულებას. შესაბამისად, მე ის მინაზღაურებს არა მხოლოდ სააუდიტორიო საათების რაოდენობას, არამედ მიყენებს გარკვეულ მოთხოვნებს მთელი სამუშაო წლის განმავლობაში,“ — განმარტავს იგი.

დოკუმენტის პრეზენტაციაზე ხაზი გაესვა ამ პუნქტში მოცემულ სხვა მოსაზრებებსაც. კერძოდ, საუბარია პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის ანაზღაურებაზე დამატებითი დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისმობს იმას, რომ უნივერსიტეტში პროფესორებს, ასოცირებულ პროფესორებსა და ასისტენტ-პროფესორებს აქვთ განსხვავებული ხელფასები, რომელიც არ არის მიბმული მხოლოდ რანგზე. „მათ ეუბნებიან, რომ უნდა ჩაატარონ შესაბამისად 4, 6 და 8 საათი. ეს კი გულისხმობს ორმაგ დისკრიმინაციას, რადგან თუ მე – პროფესორს, ვთქვათ, 1 ლარს მიხდით ერთ საათში, ასოცირებულ პროფესორს — 80 თეთრს და ასისტენტ-პროფესორს — 60 თეთრს, ასეთ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს 1 საათზე და არა გაორმაგებულ და გასამმაგებულ საათებზე. რელურად კი გამოდის, რომ ასისტენტ-პროფესორებს ჩვენ ვუხდით 60-ის ნაცვლად 30 თეთრს,“ — განაცხადა მარინე ჩიტაშვილმა დოკუმენტის წარდგენისას და აქვე განმარტა, რომ ანაზღაურების წესში უნდა შემოვიდეს ინდივიდუალური კონტრაქტების სისტემა განხორციელებული სამუშაოს მიხედვით, რაც, მისი აზრით, მოქნილი ვარიანტია: „უნივერსიტეტის აქამდე არსებული რეგულაციები პრინციპულად უნდა შეიცვალოს. უნდა გაიზარდოს ფაკულტეტებზე არსებული ავტონომია, რათა იმ საქმიანობის მიხედვით აეწყოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რასაც ეს ფაკულტეტები აკეთებენ“.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ანაზღაურების ახალ სისტემაზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტის სახელფასო და ინდივიდუალური კონტრაქტების შემოღების პოლიტიკა. ქალბატონი მარინე ჩიტაშვილის თქმით, ამ წინადადებებს მოჰყვა მითქმა-მოთქმა, რომ თითქოს უქმდება კონტრაქტები და ხვალიდან იწყება ამ პუნქტების განხორციელება. „გარკვევით ვაცხადებთ – არც ერთი კონტრაქტი არ დაირღვევა და აკადემიური კონკურსის გავლის შედეგად გაფორმებული კონტრაქტები იმუშავებს ზუსტად იმ დრომდე, რამდენიც მათ კანონით ჰქონდათ მინიჭებული (2017-2018 წლამდე). ხოლო, როცა 2018 წელს გამოცხადდება კონკურსები, ჩვენ უნდა ვიცოდეთ — როგორ პერსონალს ვეძებთ. ამის შესახებ კი ინფორმაცია უნდა იდოს დღეს – 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წინასწარ ეცოდინება, რას მოითხოვენ 2017-2018 წელს კონკურსებში,“ — განმარტავს იგი.

თსუ-ის მიერ სამუშაო განაკვეთის პოლიტიკის შემუშავების კომენტირებისას ჯგუფის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ: „რიგ უნივერსიტეტებში იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავებული არიან ადმინისტრაციული საქმიანობით, სასწავლო საქმიანობას აღარ სთხოვენ, რადგან ეს არის სრული სამუშაო დატვირთვა და არის ანაზღაურებადი. თუმცა რიგ უნივერსიტეტებში, იმისთვის, რომ პროფესორმა სახე არ დაკარგოს, მას სასწავლო ან სამეცნიერო საქმიანობას სთხოვენ. რას ნიშნავს ეს? თუ თქვენ 100 პროცენტით ხართ ადმინისტრაციული საქმიანობით დაკავებული, თქვენი არჩევანია, რა ნაწილს დაიმატებთ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობიდან, იმისათვის, რომ, როგორც პროფესორმა, იფუნქციონიროთ. მაგალითად, შეიძლება დაიტოვოთ მარტო დოქტორანტების ხელმძღვანელობა, ან კიდევ რომელიმე კურსისათვის სასწავლო წიგნის მომზადება. ეს სასწავლო საქმიანობაა, ამიტომ, პროფესორი იტყვის, მე ამას გავაკეთებ და სასწავლო ან სამეცნიერო საქმეს ჩაიბარებს. ამჟამინდელი მდგომარეობით, ადამიანებს უკავიათ სრული ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს 24 საათის განმავლობაში არ ძინავთ, ანუ უნივერსიტეტი აგებულია ფავორიტიზმზე და არა გაზომვად კრიტერიუმებზე — ვინ რას აკეთებს“.

დოკუმენტში ასევე მოცემულია პუნქტი — ფაკულტეტის მიერ ყოველწლიური რეზერვის შექმნა მდგრადი განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვისათვის. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი განმარტავს, ამ პუნქტის ამოქმედება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბლოკ-გრანტების სისტემის შემთხვევაში, რასაც უკვე გეგმავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

შეხვედრებზე განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო უნივერსიტეტის სახელფასო პოლიტიკა. რეკომენდაციების გაცნობამდე ქალბატონმა მარინე ჩიტაშვილმა აკადემიურ პერსონალს გააცნო წინაპირობა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს მინიმალური სასწავლო დატვირთვა 4-6-8 საათი. თუ მექანიკურად იქნება გაანგარიშებული 8 საათი სასწავლო დატვირთვა იმ აკადემიურ პერსონალზე, რომელიც უნივერსიტეტშია, გამოვა, რომ დაახლოებით 6000 საათი დარჩება ასანაზღაურებელი მოწვეულთათვის. თუ მომავალში იარსებებს ინდივიდუალური კონტრაქტები და ხელფასები მიებმება არა საათების რაოდენობას, არამედ სასწავლო-სამეცნიერო აქტივობას, ასეთ შემთხვევაში პროფესორს შეუძლია წაიკითხოს მარტო თავისი 4 საათი და დანარჩენი საათები შეავსოს რიდერის მომზადებით, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მომზადებით, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტის სუპრევიზიებით და ა.შ. (ამ სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი დოკუმენტში 2 გვერდზეა გაწერილი).

„ჩვენ უნივერსიტეტის ხელფასების დარეგულირების ორი ვარიანტი განვიხილეთ. პირველი: უნივერსიტეტს შეემუშავებინა აუცილებელი მინიმუმი, რომელსაც გადაუხდიდა ყველას და არსებული განსხვავება ფაკულტეტებს შორის ხელფასებში დაიფარებოდა თითოეულ ფაკულტეტზე დანამატის სახით. და მეორე: გაგვეწია ამჟამად არსებული ხელფასების ოპტიმიზაცია. სამუშაო ჯგუფის ანგარიშში სწორედ მეორე ვარიანტია განხილული.

რისი შესაძლებლობა გვაქვს ამ ეტაპზე?

დოკუმენტის ავტორთა თქმით, დათვლის შემდგომ გაირკვა, რომ თუ უნივერსიტეტში განახევრდება მოწვეული პერსონალი, არსებული ხელფასების შენარჩუნება შეგვიძლია 1 მილიონის დამატების საფუძველზე. „თეორიულად წარმოვიდგინოთ, რომ ყველა პროფესორმა გადაწყვიტა 1760 საათის შესრულება და მაქსიმალური თანხის აღება. ასეთ შემთხვევაში გვჭირდება დამატებით 1 მილიონი ლარი. ყოველი შემთხვევისათვის, ეს აღმოჩნდა ამ ეტაპზე ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი, რის საფუძველზეც უკვე გაფორმებული კონტრაქტების შენარჩუნებას შევძლებთ და მოვხსნით დამატებით დისკრიმინაციას პროფესორებისთვის,“ — განაცხადა მარინე ჩიტაშვილმა.

დოკუმენტის მეორე ნაწილი შეეხება თსუ-ის ბიუჯეტის მიმოხილვას (2013 ნლის გეგმიური ბიუჯეტის მონაცემებზე დაყრდნობით) და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფაკულტეტებზე თანხების გადანაწილების პრინციპებს. ასევე, მოცემულია პირველადი რეკომენდაციები ბიუჯეტის ოპტიმიზაციის შესაძლებლობების შესახებ.

ბიუჯეტის საკითხებზე საუბრისას შეხვედრებზე გარკვეულად ითქვა, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაციის ჯგუფი მომხრეა ფაკულტეტების მაქსიმალური ავტონომიისა. არსებული სიტუაციით კი ფედერალური ბიუჯეტის განაწილება რამდენიმე ფაკულტეტს (აღინიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტები) დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს.

დოკუმენტის მესამე ნაწილში მოცემულია თსუ-ის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ რეკომენდაციები. ავტორთა აზრით, უნდა შეიცვალოს დეპარტამენტების დაქვემდებარების სისტემა, დაჯგუფდეს მსგავსი პროფილის დეპარტამენტები და დამატებით შეიქმნას: კვლევისა და განვითარების დეპარტამენტში განყოფილება — თსუ-ის კვლევითი სამდივნო (გრანტების და განვითარების პროექტების კოორდინაციისათვის), სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, თსუ-ის ბიბლიოთეკის კომიტეტი და კურსდამთავრებულებთან ერთიერთობის სამსახური (კარიერული ცენტრი). სტრუქტურული რეფორმა ითვალისწინებს ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ გაერთიანებას ერთ დეპარტამენტში.

დოკუმენტის განხილვა მედიცინის ფაკულტეტზე

მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის შემდეგ განაცხადეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში შეაჯერებენ მოსაზრებებს და მიაწვდიან ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფს. უშუალოდ შეხვედრაზე კი რამდენიმე საინტერესო საკითხი დაისვა.

აკადემიკოს რომან შაქარაშვილის რეკომენდაცია ზუსტად მიესადაგა ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ მოდელს. მისი აზრით, იმისათვის, რომ პროფესიონალი კადრები აღიზარდოს, საჭიროა ისეთ პროფესორებს, რომლებსაც კლინიკური პრაქტიკა აქვთ, მეტი თავისუფლება მიეცეთ. „მე ჩემს კლინიკაში შემოვლების დროს ან დილის კონფერენციებზე მეტ გამოცდილებას მივცემ სტუდენტს, ვიდრე ოთახში ჯდომით და თეორიული ცოდნის გადაცემით. ამიტომ, უნდა იყოს საშუალება, რომ ჩვენი ფაკულტეტის პროფესორს არც პედაგოგიური საქმიანობა შეეზღუდოს და არც კლინიკური,“ — განაცხადა მან.

„სამედიცინო განათლება არის სახელმწიფო რეგულირებადი პროფესია. თქვენ ხართ ის ადამიანები, რომელმაც უნდა თქვან, რა არის კარგი სამედიცინო განათლებისთვის და მოგვთხოვოთ ჩვენ — რა უნდა გვქონდეს, რომ ეს განათლება მივცეთ სტუდენტს. სტანდარტი არის თქვენი დასანერი. თუ ჩვენ შევძლებთ, რომ ეს სტანდარტი ამაღლდეს, ეს იქნება მისასალმებელი. სჯობს გაიზარდოს 20 კარგი ექიმი, ვიდრე — 100 ცუდი ექიმი. რაც შეეხება კლინიკური პრაქტიკის მქონე პროფესორთა ჩართვას სასწავლო პროცესში, გეთანხმებით, სწორედ ამგვარი საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სასწავლო საათებში. ამისთვის გვინდა ინდივიდუალური კონტრაქტების შემოღება. თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ შესავალი კურსი, მაგრამ სასწავლო საქმიანობაა ისიც, თუ თქვენთან მოვა 7 სტუდენტი და მათ ექიმად გამოზრდით. ამაში ჩვენ ფულს გადაგიხდით ინდივიდუალური კონტრაქტის საფუძველზე,“ — უპასუხა რომან შაქარაშვილს ვიცე-რექტორმა მარინე ჩიტაშვილმა.

დოკუმენტის განხილვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ჰუმანიტარებთან შეხვედრაზე რამდენიმე რეკომენდაციის მიმართ გამოითქვა მოსაზრებები. პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ფორმულირება — „უნივერსიტეტში უნდა დაბრუნდეს კვლევა“ სწორი არ არის, რადგან უნივერსიტეტში კვლევა წარმოებს და ის არსად წასულა. იგი დაინტერესდა, რა პერსპექტივა უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს, რომელიც შემოსავლების 72 %-ს მხოლოდ ხელფასებზე ხარჯავს და არ აქვს ბაზისური დაფინანსება. ამ საკითხს ვიცე-რექტორმა უპასუხა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს იმ შემოსავალს და შესაძლებლობებს, რაც დღეისათვის გააჩნია უნივერსიტეტს. რაც შეეხება კვლევის დაბრუნებას, ქალბატონი მარინე ჩიტაშვილის თქმით, თუ სახელმწიფოს უნდა — ჰქონდეს კვლევითი უნივერსიტეტი, მაშინ პროფესორს კვლევა უნდა დაუფინანსოს და მოთხოვოს შესრულებული სამუშაოს ხარისხიც, ანუ არსებული ჩარჩოს ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა დაადგინოს რეალისტური მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმები სამეცნიერო პროდუქციისათვის და არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ რაოდენობაზე. „მთელ რიგ შემთხვევებში ის, რაც ჩვენთან მონოგრაფიად არის მიჩნეული, არსად არ და ვერ ჩაითვლება მონოგრაფიად,“ — განაცხადა მან.

დოკუმენტის შესახებ მოსაზრება გამოთქვა მიმართულების პროფესორმა ლევან გორდეზიანმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა მოდერნიზაციის ჯგუფს გაწეული მუშაობისთვის და განაცხადა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან ბევრია ისეთი, რომელზეც ადრე მხოლოდ ოცნებობდნენ. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ფაკულტეტების ავტონომიურობას, მაგრამ აქვე დასძინა, რომ ამ საკითხში სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. „ალბათ, უნდა დავფიქრდეთ, რა დოზით უნდა მოხდეს ხვადასხვა უჯრედების ფინანსური თუ სხვა ტიპის დამოუკიდებლობა. ამ დოკუმენტში ბევრი რამაა, რასაც პრინციპულად მივესალმები და თანახმა ვარ, მაგრამ ეშმაკი დეტალებში იმალება და ვერც იმ გამოთვლებში დაგეთანხმებით, რაც აქ არის ნაჩვენები. ცოტა სხვანაირად შეიძლება შეხედვა, იგივე, იმ ჯგუფზეც, რომელიც ამ დოკუმენტზე მუშაობდა. როცა მე და კიდევ ზოგიერთი სხვა ჩვენი კოლეგა ბატონ ლადოს ვეუბნებოდით, რომ ჯობდა იგი სხვანაირად დაკომპლექტებულიყო, იგულისხმებოდა ის, რომ ადმინისტრაციით დაკომპლექტებული ჯგუფი ვერ დადებდა ვერაფერს სხვას, თუ არა იმას, რომ ადმინისტრაცია კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. ასეთი აზრი იკითხება პირდაპირ. მე მენდომებოდა, რომ იმ დოკუმენტში, რომელიც საბოლოოდ დაიდება, ის, რაც მეორე და მესამე წაკითხვაზე კარგი ჩანს, უფრო მკაფიოდ ჩანდეს და გათვლებიც უფრო ზუსტი და ადეკვატური იყოს,“ — განაცხადა ლევან გორდეზიანმა.

მე-7 გვერდზე

პირველი რესპუბლიკური კონფერენცია

სტუდენტების გზავნილი სახელმწიფო სტრუქტურებს

თსუ-ში პირველი რესპუბლიკური კონფერენცია „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები“ გაიმართა. სამეცნიერო ღონისძიებაზე სტუდენტებმა დასაქმების, ჯანდაცვის, ეთნიკური უმცირესობების, სასკოლო და უმაღლესი განათლების, სპორტის, პრობაციის საკითხებზე მოხსენებები წარმოადგინეს. ნაშრომებში აღნიშნულ სფეროებში არსებულ პრობლემებთან ერთად ავტორებმა რეკომენდაციებიც განერეს. სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებითა და თსუ-ის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა. ცენტრი, ასევე, პასუხისმგებლობას იღებს, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს გადაეგზავნებათ. თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული ახალგაზრდების რეკომენდაციები, ამას დრო გვიჩვენებს.

ნატო ოგოლაძე

„მოგეხსენებათ, ვილნიუსის სამიტზე პარაფირების დოკუმენტს მოეწერება ხელი, სადაც დიდი ნაწილი ახალგაზრდების საკითხს აქვს დათმობილი. შესაბამისად, მე, როგორც საინიციატივო ჯგუფის ერთერთმა წევრმა, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად გადავწყვიტე ამ კონფერენციის ჩატარება, სადაც ბევრი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს. ვგეგმავთ, გამოვავლინოთ საუკეთესო ნაშრომები, რომელსაც შესაბამისი დარგის სამინისტროებში გადავგზავნით. თუ რამდენად გაითვალისწინებენ სტუდენტების ხედვას, ეს მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო უნივერსიტეტში მოსული, მან თქვა, რომ მზად არის ახალგაზრდებთან კომუნიკაციისთვის. დაწყებულია სპეციალური პროგრამებიც და მზად ვართ, რომ ჩვენი იდეები მივაწოდოთ. იმედი გვაქვს, გაითვალისწინებენ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის თანაშემწემ გიორგი ბენაშვილმა.

> როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო უნივერსიტეტში მოსული, მან თქვა, რომ მზად არის ახალგაზრდებთან კომუნიკაციისთვის. დაწყებულია სპეციალური პროგრამებიც და მზად ვართ, რომ ჩვენი იდეები მივაწოდოთ. იმედი გვაქვს, გაითვალისწინებენ.

კონფერენციის მოხსენებების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ, თუმცა ძირითადი აქცენტები შემდეგი მიმართულებით დაისვა — სასკოლო ახალგაზრდული პოლიტიკა, უმაღლესი განათლების პოლიტიკა, განათლების შემდგომი პერიოდი — დასაქმება.

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის” პროგრამებისა და პროექტების კოორდინატორი გიორგი გრიგოლაშვილი საჯარო სკოლებში განხორციელებულ სასკოლო თვითმმართველობის რეფორმას აანალიზებს, რომელიც 2006 წელს დაიწყო.

„ბოლო პერიოდში სკოლაში განხორციელებული რეფორმების შედეგად ორი ორგანიზაციული წარმონაქმნი მივიღეთ — „მოსწავლეთა თვითმმართველობა“ და „სამოქალაქო კლუბები“. სასკოლო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა თვითმმართველობის და სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბების იდეის წარმომავლობის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ დღის წესრიგის შედგენის დროს ახალგაზრდების „სურვილები“ ნაკლებად იყო გათვალისწინებული. სტატისტიკურ მონაცემებს თუ მოვიყვანთ, 100 გამოკითხული მოსწავლიდან, რომელთანაც ურთიერთობა მაქვს, 95 მათგანი სასკოლო თვითმმართველობისა და სამოქალაქო კლუბის მიზნად კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას ასახელებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო თვითმმართველობები და სამოქალაქო კლუბები იდეაში ყველა სკოლის განუყოფელი ნაწილია, სკოლების 70%-ში არ მუშაობს, დარჩენილი სკოლების 5-8%-ში იდეების გენერირება „გარედან“ ხდება, ხოლო 10%-ში დირექცია ამაყობს, რომ აღნიშნულ გაერთიანებებს ისინი ამუშავებენ. მხოლოდ 2-3% აკმაყოფილებს ახალგაზრდული პოლიტიკის შემქმნელის და განმახორციელებლის სტატუსს“, — აღნიშნულია გიორგი გრიგოლაშვილის მოხსენებაში. მოხსენების ავტორი აღნიშნული ვითარების გამოსწორებისთვის უნივერსიტეტებისა და საჯარო სკოლების დაახლოების აუცილებლობაზე საუბრობს, კონკრეტულად კი, გამოსავლად უნივერსიტეტისა და სასკოლო თვითმმართველობების მხრიდან ერთობლივი პროექტების განხორციელებას ასახელებს.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნოდარ ეჟიშვილმა კონფერენციაზე რეგიონებში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ხარვეზებზე ისაუბრა. მისი ხედვით, პრობლემები შემდეგია: დაბალეფექტური კომუნიკაცია სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის, სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის, ასევე, სტუდენტებს შორისაც; დაბალი გამჭვირვალობა; იდეურ-სოციალური მოწყვეტილობა რეგიონალურ-ეროვნული სივრცისგან; სოციალური და პროფესიული კონკურენტუნარიანობის მინიმალური ტრანსფერი; არაეფექტური მენეჯმენტი, რაც გულისხმობს „გაბერილ შტატებს“, დაბალკვალიფიციურ პერსონალს, ბიუჯეტის არადემოკრატიულ განკარგვას, ჩაკეტილ სივრცეს, მიღებული გადაწყვეტილებების დაბალეფექტურობას. ნოდარ ეჟიშვილს რამდენიმე რეკომენდაციაც აქვს მოცემული, მათ შორის აღსანიშნავია რეგიონალურ უნივერსიტეტებსა და თბილისის წამყვან უნივერსიტეტებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, აკადემიური პერსონალის გაცვლა, დოქტორანტების გაცვლითი პროგრამების ამოქმედება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება და ა.შ. ნაშრომში ავტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებების მნიშვნელობაზეც საუბრობს: „რეგიონის უნივერსიტეტის გაუმჯობესება უნდა იქცეს განათლების სამინისტროს პრიორიტეტად და მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს მის განვითარებას. ეს ხელშეწყობა სამინისტროს მხრიდან შეიძლება იყოს რეკომენდაციის, ფინანსური დახმარების, მაქსიმალური კომუნიკაციის დამყარების ან სხვა დახმარების სახით“.

კონფერენციაზე „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები“ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების შესახებ რამდენიმე მოხსენება წარმოადგინეს. აღსანიშნავია, რომ ნაშრომებში მხოლოდ სამუშაო ადგილების ნაკლებობაზე, ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მის შედეგებზე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული. მოხსენებებში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა კადრების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზეც.

> სასკოლო ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა თვითმმართველობის და სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბების იდეის წარმომავლობის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ დღის წესრიგის შედგენის დროს ახალგაზრდების „სურვილები“ ნაკლებად იყო გათვალისწინებული.

ნატალია და სოფიო ჯაშები მოხსენებაში „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები, დასაქმება“ აღნიშნავენ: „დასაქმების პრობლემა არ რჩებოდა ხელისუფლების ყურადღების მიღმა. მაგალითად, 2006 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობამ დასაქმების 4 ოფიციალური პროგრამა განახორციელა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს უკავშირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდს. მოხდა თუ არა ამის შედეგად უმუშევრობის შემცირება? — ცალკე თემაა. ხელისუფლების მხრიდან ისმოდა შთამბეჭდავი დაპირებები, მაგრამ რეალურ შედეგებამდე მაინც ვერ გავდიოდით. ფული ისეთ გადამზადებაზე იხარჯებოდა, რაც არ იყო საჭირო. ახალგაზრდების დასაქმებამ არ უნდა მიიღოს „Summer job“-ის სახე, რომელიც მხოლოდ გულის მოგების ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს“.

> ახალგაზრდების დასაქმებამ არ უნდა მიიღოს „SUMMER JOB“-ის სახე, რომელიც მხოლოდ გულის მოგების ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს.

სტუდენტებს მოხსენებაში მოცემული აქვთ შემდეგი რეკომენდაციებიც: ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ მაღალი ხარისხის, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიღება; ქვეყანაში უნდა განვითარდეს სტაჟირების და სასწავლო პრაქტიკის პროგრამა; უნდა დაანგარიშდეს სახელმწიფოს ფარგლებში საჭირო პროფესიული კადრების რაოდენობა; უნდა აღმოიფხვრას კვალიფიციური კადრისა და პოტენციური დამქირავებლის ერთმანეთთან დაკავშირების პრობლემა; და ბოლოს, სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კვალობაზე უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებითა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფით. მოხსენებაში სტუდენტები დასკვნის სახით აღნიშნავენ: „არ გვაქვს ილუზია, რომ დასაქმების პრობლემის აღმოფხვრა მცირე დროშია შესაძლებელი, თუმცა სწორი პოლიტიკის გატარების დაწყება მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის“.

სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ორგანიზატორების ერთერთი მთავარი მიზანი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ ახალგაზრდების ინტერესის გაღრმავებაც გახლავთ. უკვე დაგეგმილია, რომ კონფერენციის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები“ მონაწილეების მოხსენებები კრებულის სახით გამოიცემა.

„ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას და, აქედან გამომდინარე, დაიგეგმა ეს კონფერენცია. ჩვენი მიზანია, რომ ვიმუშაოთ იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც დაგროვილია და აწუხებს ახალგაზრდებს. სწორედ ამ ფორმატში ჩვენ გვქონდა ორი გასვლითი შეხვედრა თელავის უნივერსიტეტისა და ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. იქაც ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა. იყო დისკუსია და ჩვენ დაგვრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ, სამწუხაროდ, რეგიონებში არ არიან ინფორმირებულნი, არ არიან ჩართული პროცესებში და არც აინტერესებთ არსებული მდგომარეობა. ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ რეგიონებთან კომუნიკაციის გააქტიურებას“, — განაცხადა თსუ-ის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის ახალგაზრდული პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მეტრეველმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი რესპუბლიკური კონფერენცია „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები“ 22 მარტს გაიმართა.

P.S. 27 მარტს თსუ-ის რექტორთან ვლადიმერ პაპავასთან სტუდენტების მორიგი შეხვედრის დროს სტუდენტების ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკური კონფერენციის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები“ გამართვის შესახებ ინფორმაცია მათ არ მიუღიათ. ასევე აღნიშნეს, რომ რექტორის თანაშემწემ და კონფერენციის ერთერთმა ორგანიზატორმა გიორგი ბენაშვილმა აღნიშნული კონფერენცია მხოლოდ მის ახლობელ სტუდენტებთან ერთად მოაწყო. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია ამ სამეცნიერო ღონისძიების ანონსს, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში სოციალური ქსელის www.facebook.com საშუალებით იღებდა, რასაც ორგანიზატორები პერმანენტულად ავრცელებდნენ.

თსუ-ის ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი განხილვის საგნად იქცა

მეხუთე გვერდიდან

მის მოსაზრებებს ნაწილობრივ დაეთანხმა ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ის დათვლები, რომელიც დოკუმენტშია, ეფუძნება რიცხვებს, რომელზეც ჯგუფს წვდომა ჰქონდა. რაც შეეხება ჯგუფს, აღნიშნა, რომ იგი არ შედგება ადმინისტრაციის წევრებისაგან, მისი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა თსუ-ის პროფესორია. ეს ჯგუფი არ იღებს გადაწყვეტილებებს, მან მხოლოდ რეკომენდაციები შეიმუშავა, რომელსაც წარუდგენს რექტორს. „მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნება ის ჯგუფი, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ამ ჯგუფის თავში უნდა იდგეს რექტორი და, შესაბამისად, ვის შეიყვანს ამ ჯგუფში, როგორ დააკომპლექტებს მას და რა ლეგიტიმაციას მისცემს, ეს იქნება მისი გადასაწყვეტი“, — აღნიშნა მან.

ჰუმანიტარებთან შეხვედრაზე დაინტერესდნენ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნებით. პროფესორმა ლალი ქეცბახუნდაძემ ხაზი გაუსვა, რომ პუბლიკაციების მხოლოდ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნება არ უნდა ითვლებოდეს სამეცნიერო მუშაობად, რადგან არსებობს სოლიდური გამოცემები, რომლებში გამოქვეყნებაც არანაკლებ მიანიშნებს სტატიის სამეცნიერო ხარისხზე. „გეთანხმებით, რომ წელიწადში უამრავი სტატიის გამოქვეყნება და მონოგრაფიების ხარისხიც საეჭვოა, და ამის საწინააღმდეგოდ რაღაც ნაბიჯი უნდა გადაიდგას, მაგრამ არ მეჩვენება სამართლიანად მხოლოდ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნა. მაგალითად, გერმანიაში ძალიან სოლიდურ გამომცემლობებში 30 გვერდიანი სტატიის გამოქვეყნება არ უნდა ითვლებოდეს სამეცნიერო მუშაობად? ან საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება, ვთქვათ, რაღაც თემას, ეს არ ითვლება საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომად?“ — განაცხადა ლალი ქეცბა-ხუნდაძემ.

აღნიშნულ კითხვებზე ქალბატონმა მარინე ჩიტაშვილმა უპასუხა, რომ პუბლიკაციების მოთხოვნები არ ეხება მხოლოდ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებს, მაგრამ ეს ჟურნალები აუცილებლად უნდა იყოს European Research Index in Humanities (ERIH) ჩამონათვალში ან საერთაშორისო რეცენზირებადი, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი, უნდა იყოს ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის, უნდა იყოს ინდექსირებული და იძებნებოდეს Google Scholar-ში. „თუ თქვენ შეხვალთ საძიებო სისტემაში, ნახავთ, რომ, მაგალითად, ჩემს სფეროში, ფსიქოლოგიაში არის 600-მდე ჟურნალი, სხვა დარგებშიც რაოდენობა 75 ჟურნალზე ქვემოთ არ ჩამოვა. ამ ჟურნალთაგან იშვიათ შემთხვევაში შეიძლება იყოს იმპაქტ ფაქტორიანი. ესენი არის მიღებული, როგორც აღიარებული რეცენზირებული ჟურნალები. რაც შეეხება კონფერენციის შემდგომ გამოცემას, თუ მას აქვს სარედაქციო საბჭო, რომელმაც კონფერენციის 500 მოხსენებიდან 100 აარჩია, ასეთი გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, ითვლება,“ — განაცხადა მან.

დოკუმენტის განხილვა იურიდიულ ფაკულტეტზე

დოკუმენტის შესახებ საინტერესო დისკუსია გაიმართა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე. ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი ბურდულმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, იგი კატეგორიულად არ დაეთანხმა დოკუმენტის ავტორებს პროფესორის მიერ გაწეული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დათვლის სისტემაში და და კონტრაქტის გაუქმების აუცილებლობაში. „ჩვენ ჰომოგენურად ყველა ფაკულტეტს ერთი და იგივე წესებს და ნორმებს ვერ დავუწესებთ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ იმ მინიმალურ სტანდარტზე, რომელიც ყველა ფაკულტეტისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს და შემდგომ უკვე ამის გათვალისწინებით ფაკულტეტებმა დააშენონ ის შენობა, რომელსაც ჩათვლიან, რომ წარმატებული იქნება მათთვის. რა მაქვს მხედველობაში? 1) არსებობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის № 3 ბრძანება, რომელიც შეეხება უნივერსიტეტებში პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს. ამ ბრძანებაში, 2007 წლიდან მოყოლებული, შევიდა რამდენიმე ცვლილება, თუმცა ეს დოკუმენტი გაუქმებული არ არის. მასზეა აგებული მთლიანად კრედიტების და საათების დათვლის და გაანგარიშების წესი და ამ ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტშიც ეს არის ასახული. ჩვენ გავეცანით ამ დოკუმენტს და ვფიქრობთ, რომ ეს დოკუმენტი შეეხება მხოლოდ სტუდენტის მიერ მოხმარებულ დროს, რომელიც აისახება კრედიტებში. ამიტომ ამ დოკუმენტის აღება პროფესორის მიერ გაწეული სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის დასათვლელად, ჩემი აზრით, არ შეიძლება.

დოკუმენტში ნახსენებია დისკრიმინაცია, როცა საუბარია სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების საათობრივი დატვირთვის შესახებ. ის, რაც საათობრივი დატვირთვის თაობაზე, თავისი საქმიანობიდან და ინტერესებისდან გამომდინარე, შეიძლება დაადგინოს ფაკულტეტმა, ჩემი აზრით, არანაირ დისკრიმინაციას არ გამოიწვევს.

შემდეგი საკითხი შეეხება ყველაზე მტკივნეულ და არსებით საკითხს, რასაც ფაკულტეტი არაფრით არ დათმობს, ეს არის ე.წ. A და B, ანუ ექსკლუზიური კონტრაქტები. ეს არის ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და ამიტომ იურიდიული ფაკულტეტი იყო პირველი, ვინც თქვა, რომ კარგი პროფესორი, ანუ ის პროფესორი, რომელიც ქმნის ამ ფაკულტეტის, და, შესაბამისად, უნივერსიტეტის სახეს, ჩვენთან უნდა ასწავლიდეს. მიგვაჩნია, რომ თუ ჩვენ გვინდა მოვიპოვოთ პირველობა, კონკურენტუნარიანი ვიყოთ განათლების ბაზარზე და იურიდიული საზოგადოების ბაზარზე, ასეთი პროფესორები აქ უნდა დავამაგროთ. ეს არის ექსკლუზიური კონტრაქტები. როგორც კი ეს სისტემა დაიშლება და დაინგრევა, ჩვენ დავკარგავთ ბევრ სტუდენტს, რადგან აქ ისინი ამ ადამიანების ლექციების მოსასმენად მოდიან. უამრავი ფაქტი არსებობს, როცა ჩვენს პროფესორებს ეხვეწებიან სხვა, ზოგჯერ უფრო მაღალი ანაზღაურების გაცემის შესაძლებლობის მქონე უნივერსიტეტები. ამას გარდა, მე რომ 4 საათი წავაკითხო თედო ნინიძეს, ერთი მხრივ, კარგია — გვექნება მეტი კვლევა და გამოქვეყნებული სტატიები, მაგრამ, მეორე მხრივ, ვინ შევუშვა იმ დარჩენილ საათებზე? ქუჩიდან პროფესორს ვერ ავიყვან, მე მჭირდება ხარისხიანი პროფესორები. ჩვენ ეს სისტემა კბილებით გვიჭირავს და მას არ დავთმობთ,“ — განაცხადა ირაკლი ბურდულმა.

აღნიშნულ საკითხებზე ქალბატონმა მარინე ჩიტაშვილმა განაცხადა, რომ მთელი ეს დოკუმენტი არის მიმართული სწორედ იმისკენ, რომ ინდივიდუალური კონტრაქტი დაიდოს კონკრეტულ პროფესორთან. „დიახ, ამ შემოთავაზებით ჩვენ A და B კატეგორიას ვაუქმებთ, მაგრამ ყველას ვუტოვებთ იმ ხელფასს, რაც აქვს, თქვენს შემთხვევაში 3550 ლარს, ანუ იმ ხელფასს, რომელსაც პროფესორი იღებს. პარალელურად, ვაძლევთ შესაძლებლობას კატეგორიის პროფესორსაც, რომ თუ დამატებით სამუშაოს შეასრულებს, აიღოს ამდენივე. რაც შეეხება ექსკლუზივს, ჩემი აზრით, არანაირი პრობლემა არ არის — ფაკულტეტმა დააყენოს ექსკლუზიურობის საკითხი. უბრალოდ, ამას არ ერქმევა კონტრაქტი და ინდივიდუალურ კონტრაქტში ჩაიწერება ამის შესახებ. რაც შეეხება მინისტრის მესამე ბრძანებას, იგი განსაზღვრავს სასწავლო კვირების რაოდენობას, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ პროფესორი ამდენი დროით დაკავებულია, ძირითადად, სასწავლო საქმიანობით და კვლევისათვის კი მას დრო რჩება მხოლოდ 6 კვირა. კრედიტები არ ეხება პროფესორს, მას ევალება ის საქმეები, რომელიც სასწავლოა და დოკუმენტში მათი ჩამონათვალი ორ გვერდზეა,“ — განაცხადა მან.

პროფესორმა დავით ბოსტოღანაშვილმა ისაუბრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებაში მითითებულ რეგულაციებზე, ფაკულტეტის ბიუჯეტირების საკითხებზე, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის გაზომვის სისტემაზე. მან, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ წინააღმდეგია უნივერსიტეტის ცენტრალური სტრუქტურული ერთეულების გაძლიერებისა. „მიმაჩნია, რომ სტრუქტურები ფაკულტეტებზე უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს. ამ დოკუმენტში კი ნაჩვენებია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კიდევ 6 სტრუქტურული ერთეული ემატება, რაც უკან გადადგმული ნაბიჯია,“ — განაცხადა მან.

პროფესორ დავით ბოსტოღანაშვილის მოსაზრებების პასუხად, ვიცე-რექტორმა განაცხადა, რომ ნახსენებ მესამე ბრძანებაში არავინ არ ითვლის პროფესორის საათებს და დამოუკიდებელ მუშაობას. „ამ ბრძანებამ უნივერსიტეტი მთლიანად გადააკეთა სასწავლო უნივერსიტეტად და პროფესორი 38 და 40 კვირა ჩართო სასწავლო საქმიანობაში, ანუ მას აღარ ეძლევა საშუალება — იმუშაოს საკუთარ თავზე.

ადმინისტრაციული ერთეულებიდან კი მხოლოდ ორი მოითხოვს დამატებით ხარჯებს, დანარჩენი შეეხება პროფესურის ჩაბმას უნივერსიტეტის მართვის პროცესში. იმ ორი სამომავლო შესაძლო სტრუქტურული ერთეულიდან ერთი საერთოდ შესაფასებლად არის გამოტანილი, როგორი ფორმით სჯობს იარსებოს (სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, სამსახური თუ აპარატი).

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, რომელიც აქ დაისვა, მიმაჩნია, რომ საკუთარ ბიუჯეტს უნდა იყენებდეს ის ფაკულტეტი, რომელიც ამ თანხების გენერირებას ახდენს, ხოლო ის ფაკულტეტები, რომლებსაც რჩენა სჭირდებათ, ფედერალური ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს,“ — განაცხადა მან.

შეხვედრის ბოლოს აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს, ასევე, განათლების სტრატეგიის დოკუმენტზე, რომელიც საფუძვლად დაედება ახალ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. სამინისტროს სრულად აქვს გადაგზავნილი თსუ-ის სამუშაო ჯგუფის ანგარიში. ამ ეტაპზე ეს ანგარიში სავსებით თავსდება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. მისი პრინციპული განსხვავება არსებულისაგან ისაა, რომ შემოაქვს გაზომვადი კრიტერიუმები სამუშაოს შესრულებისათვის და ქმნის ახალ სტრუქტურას ჰორიზონტალური მმართველობისა და ფაკულტეტების დამოუკიდებლობისათვის.

P.S. თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაციის ჯგუფმა შეხვედრები ჩაატარა ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებთანაც. მასალებს ამ შეხვედრების შესახებ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

სტუდენტთა კრიტიკული აზროვნება რექტორმა წაახალისა

რექტორის მორიგი შეხვედრა სტუდენტებთან

მესამე გვერდიდან

რულებელი თამარ მახარაძე სტუდენტთა რეპლიკებს მისი მისამართით. რექტორმა ლადო პაპავამ კი ქალბატონ თამარ მახარაძის გულისტკივილი უფრო ვრცლად გაშიფრა: „მეგობრებო, ეს საკითხი ჩემთვისაც მწვავეა. მას შემდეგ, რაც რექტორი გავხდი, უკვე ორ ფაკულტეტზე გაიმართა დეკანის არჩევნები და მალე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტებზეც ჩატარდება... და, როგორც რექტორს, ნამდვილად მირჩევნია, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტსაც არჩეული დეკანი ჰყავდეს და არა მოვალეობის შემსრულებელი. არჩეულ დეკანთან ურთიერთობა ბევრად უფრო ადვილია, რადგან მას ლეგიტიმაცია უფრო მეტი აქვს და თანამშრომლობის პროცესიც უფრო გრძელვადიანია. და რატომ ვერ ვნიშნავთ ამ ფაკულტეტზე დეკანის არჩევნებს? იმიტომ კი არა, რომ არ გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ერთ-ერთი კანდიდატის სასამართლო პროცესი გრძელდება, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩატარებული არჩევნების კონკურსის შედეგს აპროტესტებს. მან ერთ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო წააგო, მაგრამ მეორე საკითხზე სასამართლო ახლა სააპელაციო დონეზეა. სანამ სასამართლო პროცესი არ დამთავრდება, მანამ არჩევნებს ვერ ჩავატარებთ. ეს არის სირთულე, რომელიც ამ ფაკულტეტზე გვაქვს. როგორც კი სასამართლო დასრულდება, არჩევნებს გავმართავთ,“ — აღნიშნა რექტორმა.

რექტორის დავალება ადმინისტრაციას სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ალექსანდრე ახალკაცმა სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თსუ-ის ცხელ ხაზზე დაკავშირებისას სატელეფონო ჩანაწერების გაკეთების ინიციატივა გააჟღერა და აღნიშნა, რომ, ვინაიდან ადმინისტრაციის წარმომადგენელი ოპერატორები ზოგჯერ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პასუხების გაცემას სტუდენტებისთვის და ზოგჯერ მათ თავიდანაც კი იშორებენ სხვასთან გაუთავებელი გადამისამართებით, ამიტომ კარგი იქნება გაკეთდეს სატელეფონო ჩანაწერები, რაც რეალური სურათის დახატვას და პრობლემის აღმოფხვრასაც შეუწყობს ხელს. საკითხს რექტორი მყისიერად გამოეხმაურა და განაცხადა: „დღესვე ვაძლევ I-თ დეპარტამენტს დავალებას, რომ, სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შეიძინოს ის აპარატურა, რომელიც ტელეფონით საუბრის ჩაწერას უზრუნველყოფს. ეს ნამდვილად დაადგენს ტყუილსა და მართალს და გამორიცხავს მითქმა-მოთქმას. ხოლო იმ თანამშრომლებს, რომლებიც დაკისრებული მოვალეობის შესრულებას თავს ვერ ართმევენ, ჩვენ სხვაგვარად გავცემთ პასუხს,“ — აღნიშნა ლადო პაპავამ.

რა სიახლე გაიგეს სტუდენტებმა

ვლადიმერ პაპავა, ***რექტორი:***

— ჩემი ინიციატივით, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა დებულება, რომლის თანახმადაც ყველა ფაკულტეტზე შეიქმნება სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, რაც სტუდენტთა აქტიურობასაც მოითხოვს. ეს წრეები შეიძლება იყოს ფაკულტეტთაშორისიც, რათაშესაძლებელი გახდეს უფრო კომპლექსური კვლევების განხორციელება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ინტენსიურად ვმუშაობთ უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხზეც, რაც, ჯერ კიდევ, გადაუჭრელი პრობლემაა. მოგეხსენებათ, რომ ამ ეტაპზე ორი სპეციალობა დაგვემატა, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს — ეს არის კავკასიოლოგია და არმენოლოგია. ჩვენ მოთხოვნაზე, რომ დაფინანსებულიყო კიდევ სამი სპეციალობა: გეოგრაფია, გეოლოგია და ეთნოლოგია, ჯერ-ჯერობით მხარდაჭერა ვერ მივიღეთ. ეს მოთხოვნა არ გამორიცხავს მთავრობის მხრიდან ბაზური დაფინანსების საჭიროებას, რადგან ბაზური დაფინანსების გარეშე უნივერსიტეტს ბევრი დასახული ამოცანის გადაწყვეტის საშუალება არ მიეცემა.

ჩვენ ხშირად გვსტუმრობენ უცხოელი პროფესორები, აქ სწავლობენ უცხოელი სტუდენტებიც, რომელთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაც უნივერსიტეტს ძალიან ძვირი უჯდება. ამიტომ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ერთ-ერთ კერძო სტრუქტურასთანაც, რომელიც შეგვპირდა, რომ სტუდენტებისა და უცხოელი პროფესორებისათვის 100-ადგილიან საცხოვრებელ კომპლექსს ააშენებს თავისი საკონფერენციო დარბაზითა და კვების ობიექტით. კომპლექსი ჩვენ მიერ შეთავაზებულ ტერიტორიაზე აშენდება.

მოამზადეს
ნინო კაკულიამ და
თამარ დადიანმა

სტუდ-ეტიკი

№6

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

მსოფლიო იცავს შენს კულტურას, დაიცავი შენც!

სალომე გორგოძე

მეგი საჯაია

ბოლო პერიოდში საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგნად იქცა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს გარშემო განვითარებული მოვლენები. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მაღარო უნიკალურია, იმდენად, რამდენადაც იგი პრეისტორიულ ოქროს მაღაროთაგან უძველესია მსოფლიოში, რომელიც ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. შესაბამისად, მისი, როგორც მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლის დაცვა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოფილყოს. ამჟამად საყდრისი-ყაჩაღანის ობიექტს მოხსნილი აქვს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ასევე, არქეოლოგიური ზონის დაცვის სტატუსი. დღემდე მიმდინარეობს დავა ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.

ბოლო პერიოდში არაერთი აქცია გაიმართა საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს დასაცავად. მოქალაქეები აღნიშნულ ტერიტორიაზე მადნის მომპოვებელი ქარხნის RMG GOLD-ის სამუშაოებს აპროტესტებდნენ. 23 მარტს თბილისიდან ჩასულ აქციის მონაწილეებს ადგილობრივი მოსახლეობაც შეუერთდა, მათ ობიექტის დასაცავად სიმბოლურად ცოცხალი კედელი შეკრეს. აქციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისადმი გასაგზავნ მიმართვაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ნებართვა, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მადნის მომპოვებელ კომპანიას მისცა და, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროზე სამუშაოების დაწყებას შეეხება, არქეოლოგიური ობიექტის განადგურებას გამოიწვევს. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ დასკვნაში, რომლის საფუძველზეც შემდგომში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გასცა მუშაობის ნებართვა, გაყალბებულია ქართულ-გერმანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევების შედეგები. ეჭვქვეშაა დაყენებული ქართველი და გერმანელი სპეციალისტების კომპეტენტურობა, ასევე, იგნორირებულია პროექტში ჩართული გერმანული და ევროპული სამეცნიერო ინსტიტუციების კვალიფიკაცია და სანდოობა. გთხოვთ, შეხვდეთ მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გერმანელ მეცნიერებთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობდნენ საყდრისი-ყაჩაღიანის საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში“, — ნათქვამია მიმართვაში.

მაღაროს დასაცავად გამართულ აქციებში სტუდენტები განსაკუთრებით აქტიურობენ. როგორ აფასებენ ისინი განვითარებულ მოვლენებს?

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის თამარ ქუმსიაშვილის თქმით, საყდრისი-ყაჩაღიანის პრეისტორიული ხანის საბადოები, უპირველეს ყოვლისა, დიდი კულტურული მნიშვნელობის მატარებელი ობიექტებია, შესაბამისად, კულტურული თუ ისტორიული ღირებულების გააზრების გარეშე დაუშვებელია მათი ეკონომიკური მიზნით ექსპლუატაცია. თამარს მიაჩნია, რომ აუცილებელია, ხელისუფლებამ გაიზიაროს არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვა, რომლებიც აღნიშნული საბადოების შესასწავლად სპეციალური, საერთაშორისო კომისიის შექმნისკენაა მიმართული. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არასწორმა პოლიტიკამ გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა არასახარბიელო შედეგი მოგვიტანოს, ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება კი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების დაკარგვის ფასად დაგვიჯდეს. სახელმწიფომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რადგან კულტურული საგანძურის დაცვა-შენარჩუნება მისი მორალური და კონსტიტუციური ვალდებულებაა“, — ამბობს თამარი.

მის აზრს იზიარებს თსუ-ის სტუდენტი ოთარ კობახიძე და მიიჩნევს, რომ, როგორც სახელმწიფო, ასევე, საზოგადოება ვალდებულია, უფრთხილდებოდეს კულტურულ მემკვიდრეობას. „საყდრისი, როგორც უძველესი ოქროს მაღარო, უნიკალური ძეგლია და მინდა, სახელმწიფო გაუფრთხილდეს მას. მიუღებელია, როცა მთავრობას არ ესმის მისი მნიშვნელობა და ყალბი ფსევდო-მეცნიერული დასკვნებით ამართლებს მის განადგურებას. ვაცნობიერებ, რომ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის ინვესტორის შემოსვლა აუცილებელია, მაგრამ ყველაფრის ინვესტორზე გაყიდვა დაუშვებელია“, — ამბობს ოთარი.

მარიამ გურგენიძეს, სტუდენტური მოძრაობა „მწვანე მუშტის“ წევრს, მიაჩნია, რომ კომპანიამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიწყოს ძეგლზე სამუშაოების ჩატარება. „ეს არის რუსული კომპანია, რომელიც ყველა მიმართულებით უკანონობას ჩადის, მაგრამ პასუხს არავინ სთხოვს. როგორც ჩანს, იგი კანონზე მაღლა დგას — გარდა იმისა, რომ ანგრევს ძეგლებს, წლებია საშინელ ეკოლოგიურ ზიანს აყენებს გარემოს, ანადგურებს ადამიანების ჯანმრთელობას, უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობენ ამ კომპანიაში მომუშავე მუშები“, — ამბობს მარიამი.

თსუ-ის სტუდენტ ასლან ართმელაძეს მიაჩნია, რომ საყდრისის მაღაროსთან დაკავშირებით ძალიან დიდი კამპანია წარმოებს და სასიხარულოა, როცა ამას სტუდენტები უწევენ ორგანიზებას. მისი თქმით, „კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს და აწესრიგებდეს მსგავს პრობლემებს. რესურსების ათვისება მნიშვნელოვანი პროცესია ქვეყნებისთვის მაგრამ, მანამდე საფუძვლიანი გამოკვლევა უნდა ჩატარდეს, რომ მავანის გამდიდრების მიზნით მსგავსი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლი არ დაზიანდეს“.

თსუ-ის სტუდენტი სალომე ჭანტურიძე ამბობს, რომ მათი მთავარი მოთხოვნა საყდრისის კვლევის გაგრძელებაა, რომელშიც ჩაერთვებიან დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტები. „მე და ჩემი მეგობრები 2013 წლის 17 მაისიდან ვაპროტესტებთ მაღაროს გაურკვეველ მომავალს. თითქმის ერთწლიანი ბრძოლა გვაქვს ხელისუფლებასა და საყდრისის ტერიტორიის ლიცენზიის მფლობელთან, მაგრამ სახელმწიფო კომპანია RMG GOLD-ის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებს. ყველაზე სამწუხაროა, რომ კულტურის სამინისტრომ შექმნა 11 კაციანი კომისია, რომლის წევრებიც დაკავშირებული არიან კომპანიასთან, შესაბამისად, ეს დასკვნა არაკომპეტენტურია და კანონდარღვევით არის შექმნილი“, — ამბობს სალომე.

სტუდენტ დავით ყურაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება აქციები კვლავაც გაგრძელდება, „გვინდა გავაგებინოთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას და დახმარება ვთხოვთ. ჩვენი სლოგანია — „მსოფლიო იცავს შენს კულტურას — დაიცავი შენც!“

აღნიშნული აქციის შემდეგ, 25 მარტს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ და შპს „RMG GOLD“-ის კომერციულმა დირექტორმა სოსო ცაბაძემ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის მიზნით, ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

დოკუმენტი ხაზს უსვამს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის აუცილებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, გადარჩენას, განვითარებასა და პოპულარიზაციას. გავრცელებული ინფორმაციით, მხარეების ურთიერთვალდებულებათა შეთანხმებით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, შეიქმნება არქეოლოგებისა და ინჟინერ-გეოლოგებისგან შემდგარი საერთაშორისო დამკვირვებლების დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც კომპანია RMG GOLD-ის მიერ, საყდრის ყაჩაღიანის უბანზე წარმოებული მიწის სამუშაოების მონიტორინგს განახორციელებს. კომპანია კი, თავის მხრივ, სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, ხელს შეუწყობს საერთაშორისო მონიტორინგს და მის სრულყოფილ განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდება ახალი არტეფაქტები, რომლის ღირებულება მეცნიერულად და ლაბორატორიულად დადგინდება, კომპანია უზრუნველყოფს მათ გადატანას შესაბამის სივრცეში. ამას გარდა, კომპანია „RMG GOLD“-ი ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ერთი წლის განმავლობაში ახალ თანამედროვე ტიპის არქეოლოგიურ მუზეუმს შექმნის და ფინანსურად და ტექნიკურად უზრუნველყოფს ქვემო ქართლის რეგიონის არქეოლოგიური რუკის შედგენას.

გავრცელებულ ინფორმაციაში ასევე ნათქვამია, რომ კომპანია „RMG GOLD“-ი მემორანდუმის ფარგლებში, იღებს გრძელვადიან ვალდებულებას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მეთოდოლოგიური ზედამხედველობით განახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის ერთერთ მასშტაბურ პროექტს — პირიქითა ხევსურეთის, არხოტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა-აღწერა-პასპორტიზაციას და შემდგომ მათი კონსერვაცია-რეაბილიტაციას.

აქციის ერთერთი აქტივისტის, თსუ-ის სტუდენტ ხვიჩა ყაზაიშვილის აზრით, ამ მემორანდუმით არ არის გათვალისწინებული, აქციის მონაწილეთა მოთხოვნები. „ჩვენი უპირველესი მოთხოვნაა, მთლიანად შეჩერდეს სამუშაოები საყდრისის მიდამოებში. ეს არის უძველესი მაღარო და მისი თუნდაც ერთი ნაწილის გადატანა ვერ უზრუნველყოფს მის შენარჩუნებას, აუცილებელია მთლიანად შენარჩუნდეს ეს ძეგლი. თუ ხელისუფლებას მართლა უნდა საყდრისის გადარჩენა, უცხოელ მეცნიერებთან ერთად ექსპერტიზაში უნდა ჩართონ ქართველი მეცნიერებიც“.

სტუდენტები აცხადებენ, რომ, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციები საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხის გარშემო კვლავ გაგრძელდება.

„ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“ — დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

2006 წლიდან ყოველ 21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღეს, ადამიანები, რომლებიც დაავადებულები არიან დაუნის სინდრომით, ასევე ისინი, ვინც მუშაობენ და ცხოვრობენ მათთან ერთად, ერთიანდებიან და მართავენ ღონისძიებებს, რომელთა მთავარი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და დაუნის სინდრომით დაავადებულ ადამიანთა უფლებების დაცვა.

თათია კაკიაშვილი

თამარ ნატრიაშვილი

21 მარტს 15 საათზე კუს ტბაზე დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდული მსვლელობა გაიმართა, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის ამერიკული აკადემიის 200-ზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. 17 საათზე „ღია გალერეაში“, ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით, ფოტო გამოფენა გაიმართა. ფოტოგრაფ ლევან ხერხეულიძის ნამუშევრები ასახავდა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების აქტიურ ჩართულობას ცხოვრების სხვადასხვას ფეროში. ფოტოექსპოზიციის პარალელურად წარმოდგენილი იყო თერაპიის სახლის ახალგაზრდების მიერ მომზადებული ხელნაკეთი ნივთებიც.

ამ დღისთვის გამიზნულ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთო კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. ჩვენ კოალიციის თანამშრომელს, პოლიტიკურ მიმართულებათა პროექტების მენეჯერსა და გამგეობის წევრს **რატი იონათამიშვილს** გავესაუბრეთ, რომელმაც კოალიციის შესახებ გვიამბო:

— კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც არაოფიციალურად ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაარსდა, ხოლო 2003 წელს გაიარა რეგისტრაცია. ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და სამოქალაქო ინტერესების დაცვა, ასევე, თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ვცდილობთ, კანონმდებლობაზე ლობირება მოვახდინოთ და ადვოკატირების კამპანიების გზით გავააქტიუროთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რათა მათი ჩართულობის დონე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში იყოს მაღალი. ჩვენ ვამაყობთ, რომ კოალიციაში გაერთიანებული არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სხვადასხვა კატეგორია. შეზღუდული შესაძლებლობა, ზოგადად, მრავალფეროვანი მიმართულებაა: მასში მოიაზრებიან როგორც უსინათლოები, სმენადაქვეითებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მენტალური შეფერხების მქონე ადამიანები, ასევე, ეტლით მოსარგებლე ახალგაზრდების მშობელთა ორგანიზაციების გაერთიანებები. კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, შეიძლება ითქვას, გარკვეული ბრენდია ჩვენს სამოქალაქო სექტორში, რადგანაც ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც სამოქალაქო სექტორიდან რეალურად განსაზღვრავს პოლიტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და არის ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) პირდაპირი კონტრაქტორი, რაც ჩვენს სფეროში პირველი შემთხვევაა“, – გვითხრა რატი იონათამიშვილმა.

დაუნის სინდრომი არის ქრომოსომული დაავადება, რომლის დროსაც ადამიანს 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 აქვს. როგორც წესი, 21-ე წყვილი ქრომოსომის მაგივრად არის 3 ქრომოსომა. ამიტომ, მას სხვანაირად 21-ე წყვილის ტრისომიასაც უწოდებენ. ზედმეტი ქრომოსომული მასალა იწვევს დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებებს. ეს დაავადება პირველად აღწერა ინგლისელმა ექიმმა დაუნმა მე-19 საუკუნის ბოლოს და ამის გამო უწოდეს დაავადებას დაუნის სინდრომი. 1959 წელს ფრანგმა ექიმმა ლეჟანმა დაუნის სინდრომი განსაზღვრა, როგორც ქრომოსომული ანომალია. მან აღმოაჩინა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს თითოეულ უჯრედში 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 ქრომოსომა აქვს.

ყოველი 800 ბავშვიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი შესაძლოა გაუჩნდეს ნებისმიერ ადამიანს. დაუნის სინდრომი დაავადება კი არა, გენეტიკური ცვლილებაა. იგი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. დაუნის სინდრომისგან სრული განკურნების წამალი ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა ამ სინდრომით დაავადებული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე მეშვიდე წელია აღინიშნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ოფიციალურად ეს დღე წელს აღიარა. ამ დაავადებით ყოველწლიურად 3 ათასიდან 5 ათასამდე ბავშვი იბადება. საქართველოში 2012 წელს რეგისტრირებული იყო 149 შემთხვევა 0-დან 15 წლამდე ბავშვებში.

სტუდენტები თსუ-ში საუნივერსიტეტო მაღაზიის გახსნას მიესალმებიან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ახალი სივრცე შეიქმნა — სახელმძღვანელოების, საუნივერსიტეტო თუ სხვა საკითხავი ლიტერატურის, თსუ-ის ლოგოს გამოსახულებიანი საკანცელარიო ნივთების, რაგბის ბურთის, სპორტული ტანსაცმლის, ქუდებისა და სუვენირების შეძენა უკვე თსუ-ის პირველ კორპუსშია შესაძლებელი. 18 მარტს გაიხსნა საუნივერსიტეტო მაღაზია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის. იგი ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე ფუნქციონირებს.

ლალი შენგელია

„უნივერსიტეტში აუცილებლად უნდა იყოს წიგნის მაღაზია, სადაც გაიყიდება სახელმძღვანელოები, სხვა საჭირო ლიტერატურა, საუნივერსიტეტო ატრიბუტიკა. კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების გამო, აქამდე გაჭიანურდა უნივერსიტეტში მაღაზიის ფუნქციონირება. ვულოცავ მთელ საუნივერსიტეტო საზოგადოებას მაღაზიის გახსნას“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას თქმით, „იჯარით ფართის გაცემა სავალდებულო პროცედურების გავლით მოხდა. ფართი დროებით სარგებლობაშია გაცემული და დაწესებულია კონკრეტული დრო – ერთი წელი, რომლის გასვლის შემდეგ ისევ გამოცხადდება აუქციონი. მაღაზიის შენარჩუნებას თვითონ უნივერსიტეტი შეეცდება, რადგან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სურვილია, აუცილებლად ფუნქციონირებდეს საუნივერსიტეტო მაღაზია“.

ამჯერად აუქციონში გაიმარჯვა იურიდიულმა პირმა „ქართული რაგბი“. „გვიხარია, რომ თსუ-ში გავხსენით წიგნების მაღაზია, სადაც საუნივერსიტეტო სუვენირებიც გაიყიდება. ვისურვებდით, მაღაზია გახდეს ის ადგილი, რომელსაც სტუდენტები შეიყვარებენ. აქ სპეციალური შეთავაზება გვექნება სტუდენტებისთვის. ამასთან, გაიყიდება სპორტული და სხვა სასაჩუქრე ატრიბუტიკა. რაც მთავარია, გავითვალისწინებთ სტუდენტების მოთხოვნებს“, — აღნიშნა მაღაზიის დირექტორმა „ქართული რაგბის“ დირექტორის მოადგილემ ირაკლი ფაღავამ.

მაღაზიის მენეჯერის თქმით, აქ იყიდება საუნივერსიტეტო წიგნები, რომლებიც თავად უნივერსიტეტს შემოაქვს და საკითხავი ლიტერატურაც, რომლებსაც მაღაზიას სხვადასხვა გამომცემლობა აწვდის. „უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გვაქვს სპეციალური შეთავაზება — 7%-იანი ფასდაკლება ყველა გასაყიდ ნივთზე, გარდა სუვენირებისა. სუვენირები ისედაც ძვირ ფასში შემოვიდა და ჩვენ აღარც დაგვიმატებია ფასი. ასევე, ძვირად ღირებულია უნივერსიტეტის სიმბოლოკიანი ჭიქები, მომდევნო ჯერზე ისინი შედარებით გაიაფდება, რადგან ყველა მსურველს შეეძლოს მისი შეძენა. სისტემატურად განახლდება წიგნები და უნივერსიტეტი შემოიტანს მეტ საუნივერსიტეტო ლიტერატურას. დასაწყისისთვის გაყიდული ნივთების თუ წიგნების რაოდენობა საკმაოდ დიდია“, — აღნიშნავს საუნივერსიტეტო მაღაზიის მენეჯერი მაია ქათამაძე.

საუნივერსიტეტო მაღაზიის დაარსება საერთაშორისო გამოცდილებაა და უნივერსიტეტის სიმბოლიკიანი ნივთების შეძენა მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტშია შესაძლებელი.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების IV კურსის სტუდენტი მამუკა საფარიძე გამოცდილებას გვიზიარებს. იგი გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრის განმავლობაში იმყოფებოდა ჩეხეთში და სწავლობდა მასარიკის უნივერსიტეტში. „მასარიკში ოთხი ფაკულტეტის შენობაში და სტუდენტურ კლუბშია განლაგებული საუნივერსიტეტო მაღაზია, რომლებსაც სიმბოლურად „memorabilia shop“ ჰქვია. აქ შეგიძლია შეიძინო მაისურები მასარიკის უნივერსიტეტის ლოგოთი, ბლოკნოტები, ჭიქები, პიჯაკები, კალმები და საკანცელარიო ნივთებიც. აქვთ სპეციალური საიტი, სადაც წინასწარ შეგიძლია შეუკვეთო, მაგალითად, შენი ზომის მაისური. სტუდენტურ კლუბში კი ნახავ ამ ყველაფერს, მასარიკის ლოგოს გარდა, ქალაქის ლოგოიანი წარწერით “I love Brno“. რაც შეეხება ფასებს, ნივთები საკმაოდ ძვირია. მოსასხამი პიჯაკი 700 კრონაა, რაც ქართულ 70 ლარს უტოლდება. მაისური 250 კრონა მაინცაა, რაც 24-25 ლარია. ამ ნივთებს, ჩვეულებრივ, უცხოელი სტუდენტები ყიდულობენ, რომელთაც მაღალი სტიპენდია აქვთ. ადგილობრივი სტუდენტები კი ამხელა თანხებს ვერ იხდიან“, – ამბობს მამუკა საფარიძე.

დავინტერესდი სტუდენტების შეფასებით, რამდენად მისაღები იყო მათთვის ახალი შეთავაზება, საუნივერსიტეტო მაღაზიის ფასები და მაღაზიაში დამატებით რა ნივთების შემოტანას ისურვებდნენ:

„მივესალმები მაღაზიის გახსნას. კარგი იქნება უფრო მეტი სამეცნიერო ლიტერატურა იყიდებოდეს, რათა სტუდენტებს სხვაგან არ მოგვიწიოს ამ ლიტერატურის ძებნა და ყიდვა. მთავარია, შეთავაზებულ ნივთებს ჰქონდეს ხელმისაწვდომი ფასი“, – ამბობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი თეონა ფანჩულიძე.

„უნივერსიტეტში გახსნილ მაღაზიაში შესვლისთანავე, რაც შევნიშნე, იყო მაღალი ფასები. ეს შეუსაბამოა სტუდენტური სივრცისთვის. ჩემი აზრით, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მაინც უნდა გააკეთონ ფასდაკლება. რაც შეეხება გასაყიდ სუვენირებს უნივერსიტეტის ლოგოთი, არც თუ ისე ბევრი ნივთი აქვთ. ვისურვებდი, გასაყიდ ნივთებს შორის იყოს „ბრელოკები“ უნივერსიტეტის ლოგოთი, რომელსაც ექნება დაბალი ფასი. მაღაზია არაფრით გამოირჩევა სხვა მაღაზიებისგან თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გვთავაზობენ 12 ლარიან ჭიქას უნივერსიტეტის ლოგოთი და მაისურს 33 ლარად. აქ იყიდება ისეთი ნივთებიც, რასაც სხვაგანაც შეიძენ, თანაც გაცილებით იაფად“, — ამბობს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების IV კურსის სტუდენტი ლანა დარჯანია.

საუნივერსიტეტო მაღაზია სიახლეა სტუდენტებისთვის, უმეტესობამ ჯერ არც კი იცის მისი არსებობის შესახებ. უახლოეს მომავალში მსგავსი მაღაზიის გახსნა დაგეგმილია თსუ-ის X (მაღლივ) კორპუსშიც.

ფოტოგრაფის თვალით დანახული დუხობორები

მე-19 საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის მიერ საქართველოში იძულებით გადმოსახლებული დუხობორების ყოველდღიური ცხოვრება ფოტოგრაფ ნათელა გრიგალაშვილის ობიექტივში მოექცა.

დუხობორთა ისტორიულ-რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ჯავახეთში ცხოვრობენ, ნელ-ნელა ტოვებენ ამ რეგიონს. ამჟამად ჯავახეთში მხოლოდ 150 დუხობორია დარჩენილი. სწორედ მათ ცხოვრებას მიეძღვნა ცნობილი ფოტოხელოვანის და თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების პედაგოგის ნათელა გრიგალაშვილის ფოტოგამოფენა „დუხობორები საქართველოში“, რომელიც 19 მარტს ევროპის სახლში გაიმართა. ეს პროექტი „სამხრეთ კავკასიის ხელოვნებისა და კულტურის რეგიონული პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა.

ფოტოგრაფ ნათელა გრიგალაშვილის თქმით, დუხობორებთან კონტაქტში შესვლა ადვილი არ ყოფილა, თუმცა მან მოახერხა და მათ ოჯახებშიც შევიდა და დაუმეგობრდა კიდეც: „პროექტი ითვალისწინებდა ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის — დუხობორების ყოველდღიური ცხოვრების, ტრადიციების, დღესასწაულების ასახვას. ეს ოთხთვიანი პროექტია. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე კვირა გავატარე მათთან ერთად. ვიღებდი მათ ცხოვრებას. დაგროვდა ძალიან ბევრი ფოტო, თუმცა აქ მხოლოდ 44 ფოტოა წარმოდგენილი“, — გვითხრა ქალბატონმა ნათელამ.

დუხობორების კონფესია 1750 წელს ჩამოყალიბდა, მათი პირველი სულიერი ლიდერი საველ კაპუსტინი იყო. ისინი არ აღიარებენ რელიგიურ ატრიბუტიკას, ჯვარს და ხატებს. მათ მიაჩნიათ, რომ ღმერთთან საურთიერთოდ შუამავალი არ სჭირდებათ. დუხობორები მხოლოდ სამლოცველოებში წარმოთქვამენ განსაკუთრებულ ფსალმუნებს. მათ რადიკალიზმი ახასიათებთ და ეწინააღმდეგებიან ყოველგვარი სახის სამხედრო სამსახურს, რის გამოც ისინი უკრაინის მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა. მათ საცხოვრებელ ადგილად კავკასია აირჩიეს, რადგან მას ყოველთვის წმინდა ადგილად თვლიდნენ. დუხობორებმა საქართველოში, ჯავახეთის რეგიონში, სომხეთის საზღვრის მახლობლად, 8 სოფელი დააარსეს. ჯავახეთში დასახლებისთანავე მათ ობოლთა და მიუსაფართა სახლი ააშენეს, სადაც ობოლ ბავშვებსა და მოხუცებს უვლიდნენ.

მათი ცხოვრება საქართველოში მძიმე პირობებში დაიწყო. 13 000 გადმოსახლებულიდან 7000 პირველივე ზამთარს დაიღუპა. დღეს სოფელ გორელოვკაში (სოფელი ჯავახეთში) ჯერ კიდევაა შემორჩენილი წმინდა საფლავები, რომელთა მოსანახულებლად დუხობორები ყველა სოფლიდან ჩამოდიან.

„მომეწონა ამ ადამიანების ცხოვრება. ბევრი რამ, რასაც მიყვებოდნენ, არის ლეგენდები, წინასწარმეტყველებები. მათმა წინამძღოლმა იწინასწარმეტყველა, რომ მოვიდოდა დრო, როცა დუხობორები დატოვებდნენ საქართველოს და ეს ახდა კიდეც. დარჩენილია ბოლო წინასწარმეტყველება — რომ მოვა დრო, როცა დუხობორები ისევ დაბრუნდებიან ჯავახეთში და კვლავ აღორძინდება დუხობორია. ჩემთვის ეს ლეგენდები ძალიან საინტერესო იყო“, — ამბობს ნათელა გრიგალაშვილი.

ამჟამად ჯავახეთში 150-მდე დუხობორია შემორჩენილი. მათი უმრავლესობა მოხუცები არიან. დუხობორებმა შეინარჩუნეს რუსული კულტურა და ტრადიციები, ისინი ჯერ კიდევ ცხოვრობენ რუსულ-უკრაინული ტიპის სახლებში, რომლებსაც „ხატას“ უწოდებენ. ამ სახლების უმეტესობა 100 წელზე მეტი ხნისაა. გორელოვკა ცოცხალი მუზეუმია, რომელიც თანდათან კვდება.

მარიამ ბერია

სტუდენტები მოხუცთა თავშესაფარს ესტუმრნენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების (რუსულ-ქართული განყოფილება) პირველი კურსის სტუდენტები ნობათით ეწვივნენ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს. ახალგაზრდებს ამ საქველმოქმედო აქციის ორგანიზებაში დაეხმარა თსუ-ის ასოცირებული პროფესორი მაია კვეზერელი-კოპაძე. აღნიშნული ღონისძიების გამართვის თანამონაწილე და ხელშემწყობი იყო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე). მათი დახმარებით სტუდენტებმა შეიძინეს ტკბილეული, ხილი, დაიფასოვეს ასოციაციის ოფისში და ორგანიზაციის ავტობუსით გაემგზავრნენ ხანდაზმულთა პანსიონატში. სტუდენტები სასადილოს დარბაზში შეხვდნენ მოხუცებს და სახელდახელო პოეზიის საღამოც გაუმართეს მათ. ხანდაზმულები გამხიარულდნენ, განვლილი ცხოვრების გზაზე ესაუბრნენ ახალგაზრდებს. ასე აჩუქეს სტუდენტებმა ერთი ღირსშესანიშნავი დღე პანსიონატის ბინადართ.

ანჟელა თორია, სტუდენტი:

— მოვლენებმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბეს... შენობაში ციოდა, რადგან მოხუცების საცხოვრებელი ოთახები ელექტრონული გამათბობლებით თბებოდა. ფიზიკური სიცივე არ მიგრძვნია... სულს შესცივდა, როდესაც ვაკვირდებოდი მათ სევდიან თვალებს, თბილ ღიმილს და ხელებს — ამდენი წლის შრომითა და ჯაფით დამჭკნარს... გული მეკუმშებოდა.. ყელში ბურთი მაწვებოდა...

ვის აღარ შეხვდებოდით აქ: ადამიანს, რომელმაც საქართველოში პირველმა ჩამოასხა საეკლესიო ზარი, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ნათელ-მირონს. გამომგონებელს, ფინანსისტს, ეკონომისტს, 93 წლის ვეტერანს, კავკასიაში პირველი ქართველი ოპერატორის შთამომავალს, ექიმ გინეკოლოგს, რომელსაც ნოემბერში 95 წელი შეუსრულდება, თვითნასწავლ მხატვარს, ტაძრის დამლაგებელს... ყველაზე საოცარი კი, ალბათ, 91 წლის ასაკში ცოლის შერთვაა. ბატონი შოთას მეუღლეს, ქალბატონ რიმას, ხუმრობით დღესაც პატარძალს ეძახიან. ქორწილი თავშესაფრის მაცხოვრებლებმა გადაუხადეს. ჯვრის დასაწერად, ანტიკვარული მერსედესით წაიყვანეს ტაძარში. სხვათა შორის, მათ ქორწილში ნინი შერმადინი და მამუკა ონაშვილი მღეროდნენ. წყვილი ღამის პირველ საათამდე ცეკვავდა... ყოველივე ეს გვიამბო ჩვენმა კოლეგამ, პროფესიით ჟურნალისტმა ბატონმა მურმან ხაჭაპურიძემ. იგი ბოლო 18 წელი, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მუშაობდა, ეხმარებოდა გაჭირვებულებს, ახლა კი თავად აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი და მეუღლესთან ერთად თავშესაფარში ცხოვრობს. მან ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა თითოეულ მაცხოვრებელზე და ერთ წიგნში — 320 გვერდზე მოუყარა თავი, მაგრამ ფინანსური სახსრების უქონლობის გამო ვერ ახერხებს წიგნის გამოცემას.

თავშესაფარში სულ 92 მოხუცია, ყველამ ვერ მოახერხა კიბეზე ჩამოსვლა, ამიტომ ჩვენ მივედით მათთან საჩუქრებისა და წერილების გადასაცემად. წამოვედით დანაღვლიანებულები და სევდიანები, მაგრამ ბედნიერები იმით, რომ ცოტა ხნით მაინც გავულამაზეთ სოცოცხლე თითოეულ მათგანს.

ინიციატივა

რევაზ მიშველაძის საჩუქარი თსუ-ს

„ცხოვრება უნივერსალური მასალაა, ცხოვრება არის წყარო, მე ვარ ცხელ კვალზე მოსიარულე მწერალი... შიშველი ფაქტების ასახვას ხომ ნებისმიერი ჟურნალისტი შეძლებდა. მწერალმა ცხოვრებისეული მასალა ლიტერატურულ მასალად უნდა აქციოს, ეს არის მწერლობა“, — ამბობს თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე, რომლის მრავალფეროვანი შემოქმედება კარგა ხანია მსოფლიო ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა. „ჭეშმარიტი მწერალი თავისი ერის სულიერი ბელადი და მებაირახტრეა. არც ის არის სადავო, რომ ყოველი საღი, ეროვნული, პროგრესული და, თუ გნებავთ, რევოლუციური აზრი ქვეყანას, ტრადიციულად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მწერლის ბაგეთაგან მოევლინება და მერე მას მილიონები აიტაცებენ“, — აღნიშნავს მწერალი თავის ერთერთ ესსეში.

თუ გინდა, ნამდვილი საქართველო გაიცნო და ქართველი კაცის საოცარ ბუნებას ჩასწვდე, რევაზ მიშველაძის ნოველები უნდა წაიკითხო, უკეთესი მეგზური არც გჭირდება! უფრო მეტიც, შენს თვალწინ გადაიშლება ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც. ამიტომ არ აქვს მის შემოქმედებას „გეოგრაფიული“ საზღვრები და, ამიტომაც არის მისი ნაწარმოებები თარგმნილი და ცალკე წიგნებად გამოცემული მსოფლიოს 14 ენაზე...

სულ ახლახან გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეული გამოსცა, რომელიც მწერალმა 12 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა. ბოლო წლების მანძილზე, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართველმა მწერალმა დედა უნივერსიტეტს საკუთარი წიგნები უსახსოვრა. ამ სასიამოვნო ფაქტზე სასაუბროდ ვეწვიეთ თანამედროვეობის გამორჩეულ მწერალს, თუმცა ჩვენი საუბარი აღნიშნულ თემას გასცდა და უნივერსიტეტის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები მოიცვა. ეს არც გამკვირვებია, რადგან მწერლისთვის უნივერსიტეტი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ამ კედლებში გატარებული მოღვაწეობის 50 წელი. ბევრი ვისაუბრეთ უნივერსიტეტის ახლო წარსულზე, საუნივერსიტეტო ცხოვრების შუქ-ჩრდილებზე, დღევანდელ დღესა და მომავალზე...



თამარ დადიანი

რევაზ მიშველაძესთან საუბარი რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულის გამოცემის მნიშვნელობით დაიწყო, რომელიც მწერალმა თსუ-ს უსახსოვრა:

— ეს საქმე ერთმა კარგმა გამომცემლობამ, „საქართველოს მაცნემ“ ითავა. მისმა ხელმძღვანელმა ლევან ფოფხაძემ ჩემი რჩეული პროზის ტომებად შეკვრა და გამოცემა შემომთავაზა. დღეს, საქართველოში რომ ამას გეტყვის გამომცემელი, ცოტა გასაკვირიც არის, რადგან მკითხველი უფრო მსუბუქ ნაწარმოებს ეტანება... მოვაგროვე ეს ჩემი ნაწერები, გამოქვეყნებული, გამოუქვეყნებელი, გავცხრილე და გამოვიდა 30 ტომი. აქედან 15 ტომი სუფთა პროზაა, ერთი ტომია რომანი — „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, დანარჩენი პოლიტიკაა, ლიტერატურული წერილები და სახელმძღვანელოები.

ამ გამოცემაში არა მარტო ჩვენი ცხოვრებაა ასახული, არამედ გაღებულია სარკმელი მკითხველისთვის, რომ ნათლად დაინახოს, თუ რას ვაკეთებდით, სად დავუშვით შეცდომა და სად დავიკარგეთ... აქ არის ჩვენი ცხოვრების ანი და ჰოე, აქ არის თავმოყრილი ის, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე განმიცდია.

რადგან გამოცემაში შესულია სახელმძღვანელოებიც, აზრად მომივიდა თსუ-ის ბიბლიოთეკისათვის მისი გადაცემა, იქნებ მომავალ თაობებს რამეში გამოადგეს... ჩემი გადაწყვეტილება თსუ-ის რექტორს გავუმხილე. მან დიდი ყურადღებით მომისმინა და მადლობა გადამიხადა. ეს წიგნები დღეს თსუ-ის ბიბლიოთეკის თაროზე დევს და მისი დათვალიერება ყველას შეუძლია, წაკითხვათქო, ამის თქმას ვერ გავბედავ... უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მისი ელექტრონული ვერსიაც განთავსდა. როგორც ბატონმა ლადო პაპავამ აღნიშნა თავის სატელევიზიო გამოსვლაში, ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა უკანასკნელ წლებში, როცა მწერალმა თსუ-ს საკუთარი ტომეულები გადასცა. ბევრი სხვა თბილი სიტყვაც ბრძანა რექტორმა ჩემი მისამართით, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ მადლობელი თვითონ ვარ, რომ ჩემმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა, სადაც მოღვაწეობის 50 წელი გავატარე, მიიღო ჩემგან ეს მოკრძალებული საჩუქარი და თავის კედლებში ადგილი მიუჩინა. ეს ჩემთვის დიდი პატივია.

უნივერსიტეტი უნდა გაცოცხლდეს, როგორც კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების მექა

— ბატონო რევაზ, თქვენი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნივერსიტეტში გაატარეთ... პირველივე კურსიდან უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში ჩაეწერეთ და 1974 წლიდან 2006 წლამდე ამ წრის ხელმძღვანელი იყავით, პარალელურად ალმანახის „პირველი სხივის“ რედაქტორიც ბრძანდებოდით, ხოლო 30 წელი თსუ-ის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდით. აქედან გამომდინარე, სათქმელიც ბევრი გექნებათ...

— უნივერსიტეტის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა. ისე მოხდა, რომ 17 წლის ქუთაისელი ყმაწვილი თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ამის შემდეგ უნივერსიტეტიდან არსად წავსულვარ, აქ დავიცავი ორი დისერტაცია, საკანდიდატო და სადოქტორო და 30 წელი ვხელმძღვანელობდი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. პარალელურად გახლდით მწერალთა კავშირის წევრი, ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციის თავმჯდომარე, ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აზრად არ მომსვლია უნივერსიტეტიდან წასვლა. რომ მკითხავდნენ სად მუშაობო, უნივერსიტეტში-მეთქი, ვპასუხობდი. უნივერსიტეტი იყო ჩემთვის ალმა-მატერი, ის იყო ჩემი აღმზრდელი და დამფრთიანებელი. დიდმა მონაკვეთმა საუნივერსიტეტო ცხოვრებისა ჩემს თვალწინ ჩაიარა, 50 წელი ცოტა ხომ არ არის? უნივერსიტეტში ცხოვრება დუღდა. ბესარიონ ჟღენტის შემდეგ 30 წელი ვხელმძღვანელობდი ახალგაზრდა მწერალთა წრეს, რომელიც საინტერესო ტრიბუნა იყო ახალგაზრდა მწერლებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ყველა თანამედროვე ცნობილი მწერალი სწორედ ამ წრეში დაოსტატდა. ამავე დროს თსუ იყო უაღრესად საინტერესო შეხვედრების, დისპუტების ადგილი, რისიც საბჭოთა ხელისუფლებას ნამდვილად ეშინოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებდით, ახალგაზრდებისთვის ეროვნული სულისკვეთება ჩაგვენერგა, ისინი ეროვნული ღირსების მატარებელ, ღირსეულ მოქალაქეებად გაგვეზარდა. ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა ეროვნული მოძრაობის დასაწყისშივე.

ჩემს სათაყვანებელ უნივერსიტეტს რეანიმაციის ნიშნები აშკარად დაეტყო

— თქვენ საუნივერსიტეტო ცხოვრების იმ ავადსახსენებელი პერიოდის თვითმხილველიც ბრძანდებით, როცა ეროვნულ ნიადაგზე დგომის გამო უნივერსიტეტიდან ღირსეული პროფესორების დიდი ნაწილი დაითხოვეს, მათ შორის თქვენც...

— 2006 წლის ერთ ჩვეულებრივ სასწავლო დღეს უნივერსიტეტში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის კახა ლომაიას ბრძანება თსუ-ის ყველა თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ. ეს ჯერ ხუმრობა გვეგონა, რადგან ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. ამ გადაწყვეტილების გამო საშინელი პროტესტი გამოთქვა ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ და რექტორობაზე უარი განაცხადა. მის შემდეგ რექტორად გიორგი ხუბუა დაინიშნა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარბია, ეროვნულად მოაზროვნე პროფესორები სპეცრაზმის დახმარებით გამოგვყარა და შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები გააუქმა! ძალიან აღვშფოთდი! წარმოიდგინეთ, როგორი მტერი უნდა იყო უნივერსიტეტის, რომ ეს კაბინეტები გააუქმო! სასწავლებლის წინ დაიწყო საპროტესტო აქციები...

უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობა შეჩერდა. მერე გამოცხადდა კონკურსები, მაგრამ ეროვნული პოზიციის გამო უკან არავინ დაგვაბრუნა. მე უკვე ვიყავი რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით აღმაშენებლისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, გამოქვეყნებული მქონდა 250 მეცნიერული ნაშრომი და 9 სახელმძღვანელო. და, არ მინდა ეს ტრაბახში ჩამომართვათ, უნდა გენახათ ჩემი გაოცება, როცა გაირკვა, რომ კონკურსში გასასვლელად ქულები არ მეყო! ეს ამბავი მაშინვე აიტაცეს ჟურნალ-გაზეთებმა — რევაზ მიშველაძე უნივერსიტეტიდან დაითხოვესო! მე ვინ ვიყავი მაშინ, როცა ჩემთან ერთად, უნივერსიტეტიდან 154 დამსახურებული პროფესორი გაუშვეს! კონკრეტულად ბრალს ვერავის დავდებ, არ შეიძლებოდა რექტორის, გიორგი ხუბუას სურვილი ყოფილიყო ჩემი უნივერსიტეტიდან გაშვება. ეს ყველაფერი ზემოდან მოდიოდა... ჩამოწერილი იყო სია ეროვნულად მოაზროვნე პროფესორებისა, რომლებიც უნდა წავსულიყავით, და ამ სიის სათავეში თსუ-ის ყოფილი რექტორი როინ მეტრეველი იდგა.

154 გაძევებული პროფესორიდან ზოგს გული გაუსკდა, ზოგი ისეთ ასაკშია, უკან დაბრუნება აღარ უნდა. ძნელია, როცა მთელ ცხოვრებას უნივერსიტეტს შესწირავ და ბოლოს ასე მოგექცევიან. საშინლად შეურაცხყოფილებმა დავტოვეთ უნივერსიტეტი. ხომ შეიძლებოდა, ეს ისე გაეკეთებინათ, რომ ასე მტკივნეული არ ყოფილიყო! მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის მიმართ მოწიწება არასდროს დამიკარგავს და არც იმედი... ველოდებოდი იმ დროს, როცა უნივერსიტეტში ეროვნული სულისკვეთების მატარებელი რექტორი მოვიდოდა, რომელსაც ეცოდინებოდა ფასი და დამსახურება ყველა თაობისა. 2013 წელს სწორედ ასეთი რექტორი აირჩიეს — ბატონი ვლადიმერ პაპავა, რომელიც თვითონ დამიკავშირდა ტელეფონით და შეხვედრა მთხოვა. 7 წლის შემდეგ უნივერსიტეტს ისევ დავუბრუნდი. რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ თანამედროვე ლიტერატურის პრობლემების მკვლევარად დამნიშნა. სექტემბრიდან შეიძლება თანამედროვე ლიტერატურის ერთი სპეცკურსიც წავიკითხო. უსაზღვროდ მადლობელი ვარ — 2006 წლიდან 2013 წლის ნოემბრამდე უნივერსიტეტში ფეხი არ დამიდგამს, არ შემოვსულვარ! მთელ ცხოვრებას რომ აქ გაატარებ და მერე უცებ კარს მოგიხურავენ, ძალიან მტკივნეულია!

გაოცებული ვარ ბატონი ლადოს ტაქტით, ოჯახიშვილობით... მას დიდი ნოსტალგია აქვს იმ უნივერსიტეტის მიმართ, რომლის შვილიც თავად იყო... იგი ჯერ ახალგაზრდა კაცია და ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს. მართალია, დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ აქვს, მაგრამ მაინც მოახერხა ოთხი გაძევებული პროფესორის უკან, უნივერსიტეტში დაბრუნება: მე, პროფესორები: შოთა ქისტაური, გიორგი გოგოლაშვილი და ჯემალ მებონია. როგორც შევატყვე, იმ 11 კაცის დაბრუნებაც სურს, ვინც აქ მუშაობის სურვილი გამოთქვა და რაღაც საშუალების გამოძებნას ცდილობს.

უნივერსიტეტში დაბრუნება ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ რადგან ჯერ თავს კარგად ვგრძნობ, დიდი სურვილი მაქვს, უნივერსიტეტის ცხოვრებაში უფრო აქტიურად ვიყო ჩართული. მინდა, ბატონ ლადოს ჩემი პატარა შესაძლებლობებით წინსვლაში დავუჭირო მხარი. უნივერსიტეტი რომ ეროვნულ კალაპოტს უბრუნდება, ამას აშკარად ვგრძნობ. თქვენს გაზეთსაც სისტემატურად ვკითხულობ და ძალიან მომწონს, კარგ და სწორ გზაზე დგახართ. საშურ საქმედ მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში აღდგეს ახალგაზრდა მწერალთა წრე — ეს დიდი ტრიბუნაა, მნიშვნელოვანი და საჭირო. რექტორს სურვილი აქვს, უნივერსიტეტში კვლავ იყოს სამეცნიერო-საკვლევი კაბინეტები: შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები, რომლებიც, დაახლოებით, 10 წლის წინ დაანგრიეს. დროთა განმავლობაში ყველაფერს ეშველება, მაგრამ არაფერი ეშველება ადამიანის ღირსების შელახვას, იმ კოლეგებს, რომლებიც უნივერსიტეტიდან გაძევებულები საფლავში წვანან. ეს შეურაცხყოფა ჩემმა საქმემ გადამატანინა, თორემ, ალბათ, მეც იგივე ბედს გავიზიარებდი...

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე გამიჩნდა იმედი, რომ უნივერსიტეტში ლიტერატურული ცხოვრება გამოცოცხლდება. მახსოვს, როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი, ერთი სული მქონდა, როდის გამოვიდოდა ლიტერატურული ალმანახი „პირველი სხივი“, რომელსაც თსუ გამოსცემდა. ის დიდი სტიმული იყო დებიუტანტი ავტორებისთვის. ალბათ, 93-ე აუდიტორიაც გახსოვთ, რომელიც ყოველთვის გადაჭედილი იყო ახალგაზრდებით და სადაც საინტერესო დისპუტები, დიალოგები იმართებოდა ახალგაზრდა მწერლებსა და მკითხველებს შორის. რა უნდა გაკეთდეს ამ ტრადიციის აღსადგენად?

— ეს არც ისე ძნელია. უნდა გაკეთდეს პატარა განცხადება, რომ ამა და ამ დღეს იკრიბება უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე... დარწმუნებული ვარ, უამრავი მსურველი გამოჩნდება და ეს იქნება დასაწყისი უნივერსიტეტში დიდი ლიტერატურული ცხოვრებისა. ამას თანხა არ სჭირდება და მზად ვარ, ლიტერატურულ წრეს სრულიად უსასყიდლოდ ვუხელმძღვანელო... თქვენ თვითონ ნახავთ, რა ხმაურს გამოიწვევს ასეთი შეხვედრები. ახალგაზრდა მწერალთა წრე მარტო ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებების განხილვით არ შემოიფარგლება, აქ გაიმართება საინტერესო შეხვედრები მწერლებთან, პოპულარულ ადამიანებთან. ისე წავიდნენ ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, ჩვენი ლიტერატურის სხვა კლასიკოსები ამ ცხოვრებიდან, რომ საოცნებოდ ჰქონდათ უნივერსიტეტში ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება... ყველას უნდოდა მოსულიყო უნივერსიტეტში, შეხვედროდა ახალგაზრდებს, ესაუბრა მათთან... ცოცხალ აუდიტორიასთან კონტაქტი სულ სხვაა. მწერლისთვის მეტად საინტერესოა ახალგაზრდა მკითხველთან ურთიერთობა. უნივერსიტეტი უნდა გაცოცხლდეს, როგორც კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების მექა, რადგან ჩვენი გამომჩენი და გადამრჩენი მსოფლიოში ისევ და ისევ ლიტერატურა და ხელოვნებაა...

— მწერალთა წრის დანიშნულება იყო განვითარებინა ახალგაზრდებში ლიტერატურული გემოვნება. დღეს ხომ ლიტერატურული ბაზარი მდარე ხარისხის ლიტერატურით არის გაჯერებული, რადგან მკითხველიც არ გვყავს მაღალი გემოვნების. თსუ-ის ლიტერატურული წრე არა მარტო კარგ ლიტერატორს, კარგ მკითხველსაც ზრდიდა. ეს საკითხიც ხომ მნიშვნელოვანია?

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით... დღეს წიგნის მაღაზიის დახლებზე ხელუხლებლად დევს შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, ჭაბუა ამირეჯიბის და ოტია იოსელიანის წიგნები, მაშინ, როცა დიდი მაზანდა აქვს ახალგაზრდა ავტორების საეჭვო მხატვრული ღირებულების წიგნებს... აი, ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ არის საჭირო ახალგაზრდებისთვის ნამდვილი, ღირებული ლიტერატურის გაცნობა და შეყვარება. სამწუხაროდ, ჩვენთან ლიტერატურული გემოვნების დევალვაცია მოხდა, გემოვნება არ გაიზარდა და წიგნის ბაზარი უხარისხო, ყვითელი ლიტერატურით არის გაჯერებული... ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სათაყვანებელ უნივერსიტეტს რეანიმაციის ნიშნები აშკარად დაეტყო, ეს უპირველეს ყოვლისა, ეროვნულად მოაზროვნე რექტორის დაუცხრომლობამ განაპირობა. მოდით, ერიცა და ბერიც გვერდით დავუდგეთ მას ყველა კეთილშობილურ საქმეში.

პროფილი

რევაზ გაჩეჩილაძის პირადი ისტორია უნივერსიტეტისა და მსოფლიო ისტორიის კონტექსტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის რევაზ გაჩეჩილაძის 70 წლის იუბილე წელს თსუ-ში გამართული მისი ვრცელი მონოგრაფიის — „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“ პრეზენტაციით აღინიშნა. ამ ნაშრომის გარდა ბატონი რევაზი 18 მონოგრაფიისა და 150-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია.

განათლებით აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიკოსმა სამეცნიერო ასპარეზად საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია აირჩია, რამაც მოგვიანებით დიპლომატიამდე მიიყვანა. 1997 წლიდან იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში, 2003 წლიდან კი — სომხეთში. დიპლომატიურ საქმიანობას ხელი არ შეუშლია რევაზ გაჩეჩილაძის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის: სხვადასხვა დროს ასწავლიდა საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში; არის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი; იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი; ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების უცხოელი წევრი. მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიები.

— ბატონო რევაზ, მრავალმხრივი საქმიანობის მიუხედავად, თქვენ მაინც უნივერსიტეტელად ხართ ცნობილი. გვიამბეთ, როგორ დაუკავშირდა თქვენი ბედი უნივერსიტეტს?

— ჩემი ოჯახი მთლიანად არის დაკავშირებული უნივერსიტეტთან. ბიძაჩემი — რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც მამაჩემზე 15 წლით უფროსი და, შესაბამისად, მისი გამზრდელიცაა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, პირველი კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1919 წელს გახდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი. იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. ოჯახში შემორჩენილია პარტიული ჟურნალები, სადაც ბიძაჩემი ჯერ კიდევ მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს წერდა. სამწუხაროდ, იგი 1937 წელს დახვრიტეს ტერორისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით, თუმცა, არც ტერორისტი ყოფილა და არც შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ უნდა ყვარებოდა. მისი დახვრეტიდან ექვსი წლის შემდეგ, 1943 წელს, მე დავიბადე და მისი სახელი დამარქვეს.

რაც შეეხება მამაჩემს, გივი გაჩეჩილაძეს, მან 1931 წელს შემოაბიჯა უნივერსიტეტის შენობაში, რომელსაც მაშინ პედაგოგიური ინსტიტუტი ეწოდებოდა (1933 წელს მას კვლავ დაუბრუნეს უნივერსიტეტის სტატუსი). ამ დროს მამა 17 წლის იყო. მანაც იგივე სკოლა დაამთავრა, რომელიც ბიძაჩემმა, თუმცა 30-იან წლებში პირველ გიმნაზიას სტალინის სახელობის პირველი საცდელ-ექსპერიმენტული შრომითი სკოლა ეწოდებოდა. მამაჩემის თანაკლასელები და თანაჯგუფელები იყვნენ აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი; აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე; სახელგანთქმული არქეოლოგი, აკადემიკოსი გოგი ლომთათიძე; აკადემიკოსი, მორფოლოგი ნინო ჯავახიშვილი; აკადემიკოსი, გეოლოგი არჩილ ცაგარელი... მართალია, მამაჩემი აკადემიკოსი არ გამხდარა, მაგრამ პროფესორი იყო. ეს ადამიანები ერთმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენდნენ. ყველამ თავისი დარგი აირჩია ასპარეზად, მაგრამ მათ მეცნიერების სიყვარული და რაღაცის გაკეთების სურვილი აერთიანებდათ. შემომრჩა მამაჩემის დღიური, რომელსაც 1931-1934 წლებში წერდა, სადაც კარგად არის დახასიათებული ის ეპოქა და მისი ამხანაგები. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმე იყო 30-იანი წლები, მათ სისხლსავსე ცხოვრება ჰქონდათ — იმართებოდა დისკუსიები სხვადასხვა თემებზე, თუმცა, უკვე 37 წელს, როგორც ჩანს, უკვე აღარაფერი მსგავსი აღარ ხდებოდა: ყველანი ჩუმად იყვნენ და ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც პარტია და მთავრობა მოითხოვდა. მამა ნიჭიერი კაცი იყო და ლექსებსაც წერდა, მაგრამ მისი ლექსების კრებული პირველად მისი გარდაცვალებიდან 40 წლის შემდეგ, 2012 წელს მე გამოვაქვეყნე და „უცნობი ლირიკა“ დავარქვი. ძალიან კარგი ლექსებია, ძირითადად 30-იან წლებში დაწერილი, მაგრამ არ ბეჭდავდა, რადგან კრებულის გამოცემის შემთხვევაში პირველი ლექსი სტალინზე, პარტიაზე, ძლევამოსილ საბჭოთა არმიაზე ან ლენინზე უნდა ყოფილიყო და ეს არ უნდოდა. ამის შესახებ თავად მითხრა სიკვდილის წინ. სანაცვლოდ, უცხოური ლიტერატურის თარგმნა დაიწყო. თავდაპირველად ინგლისურიდან შელი და ბაირონი თარგმნა. ინგლისურს მაშინ სკოლაში ასწავლიდნენ და იმდენად კარგად, რომ მამაჩემი და მისი თანაკლასელი არჩილ ცაგარელი ერთმანეთს ინგლისურად წერდნენ წერილებს. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მისი თარგმანი კრებულად გამოიცა — ასე გახდა ცნობილი მთარგმნელი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დისერტაცია დაიცვა ჯონ გოლსუორსის შემოქმედებაზე, მისი ხელმძღვანელი იყო შალვა ნუცუბიძე. მოგვიანებით, 1962 წელს უნივერსიტეტში მამის ინიციატივით ინგლისური ფილოლოგიის კათედრა დააარსა, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, მან შემოიღო თარგმანის თეორიის სწავლება და მანვე შექმნა მხატვრული თარგმანის თეორიის პირველი სახელმძღვანელოები ქართულ და რუსულ ენებზე საბჭოთა კავშირში. როგორც ამას წინათ მითხრეს, რუსეთში, ლიტერატურის ინსტიტუტში ამ ნაშრომს დღემდე იყენებენ, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი 1940 წელს გაიცნეს. დედაჩემი პედიატრი იყო. იგი მალე 92 წლისა გახდება და საკმაოდ მხნედ უჭირავს თავი. იცით, დედა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ გავლენას ჩემს აღზრდასა და სწავლაზე მაინც მამა ახდენდა, თუმცა შეიძლება ეს ნაკლებად ჩანდა.

— მამისა და ბიძის შემდეგ უკვე თქვენ შემოხვედით უნივერსიტეტში. როგორ გააკეთეთ არჩევანი?

— არჩევანი მამაჩემის საწინააღმდეგოდ გავაკეთე! მამაჩემს უნდოდა, რომ გამოვსულიყავი ფილოლოგი და მის კვალზე წავსულიყავი. მე გამოვაცხადე, რომ არ ავირჩევ დასავლეთევროპის ფაკულტეტს და წავალ აღმოსავლეთმცოდნეობაზე. აღმოსავლეთმცოდნეობაზეც იყო ფილოლოგიური და მამაჩემი მარწმუნებდა — ჯობია, ფილოლოგიურზე ჩააბაროო... ავდექი და ისტორიულზე ჩავაბარე. არ მინდოდა, ელაპარაკათ, რომ მამის დამსახურება იყო ჩემი მიღწევები. ის, რასაც ვსწავლობდი – თურქეთის ისტორია, არაბული ენა, მამაჩემს არ ესმოდა. ამ არჩევანს არ ვნანობ, თუმცა, ხანდახან მაინც ვფიქრობ, რომ 17 წლის ასაკში ადამიანი ჯიუტია...

— ტრადიცია როგორ გაგრძელდა შემდეგ თაობებში?

— ჩემმა ვაჟიშვილმა, რომელსაც მამაჩემის სახელი ჰქვია, მათემატიკური დაამთავრა. ჩემმა ქალიშვილმა, მართალია, თავიდან საერთაშორისო ურთიერთობები აირჩია, მაგრამ მაშინვე ხელოვნება აინტერესებდა და შემდეგ უკვე მაგისტრატურა მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში დაასრულა. ახლა თეატრის დიპლომირებული რეჟისორია. ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს, სადაც რამდენიმე სპექტაკლი, მათ შორის ჩეხოვის „თოლიაც“ დადგა.

— გეოგრაფიის შესწავლა როდის და რატომ გადაწყვიტეთ?

— ამ კათედრაზე მოვხვდი ყოფილი აღმოსავლეთმცოდნის ნოდარ ნაჭყებიას დამსახურებით, რომელიც იმ პერიოდში კათედრის გამგე იყო. მან გეოგრაფიაში დაიცვა დისერტაცია და კათედრაზე მოსვლის შემდეგ, 1965 წელს, გადაწყვიტა — შეექმნა საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართულება, რაც პირველი შემთხვევა იყო მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სისტემაში. სწორედ ამ მიმართულებაში მოვედი ასპირანტად, სადაც ვსწავლობდი საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას.

— დიპლომატიური კარიერა როგორ დაიწყეთ?

— 1997 წელს დავინიშნე ელჩად. ძალიან რთული პერიოდი იყო. ისრაელს უკვე ჰქონდა ჩვენთან საელჩო გახსნილი და ჩვენგანაც იყო დაპირება, რომ იქაც გაიხსნებოდა საქართველოს საელჩო. საელჩოს გახსნის დროს უნივერსიტეტის გარდა საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ვმუშაობდი საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორად. შევარდნაძემ, რომელიც იმ პერიოდში პრეზიდენტი იყო, არჩევანი ჩემზე შეაჩერა. ერთი სიტყვით, გავემგზავრე ისრაელში და 6 წელზე მეტი ვიყავი ელჩი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სომხეთში იყო ელჩი საჭირო. იქაც წავედი. სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ სომხეთში ბევრად უფრო სერიოზული სამუშაო იყო, რადგან სომხეთთან გაცილებით მეტი კონტაქტები გვაქვს. საერთოდ, გასათვალისწინებელია, რომ სომხეთი სერიოზული და მნიშვნელოვანი მეზობელია და აუცილებელია, რომ ვიცოდეთ — რა ტრენდები და განვითარების

> ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში, ჩვენი მეცნიერების ძალებით, უფრო ღრმად და სისტემურად უნდა შევისწავლოთ მეზობელი ქვეყნების პოლიტიკა, რისთვისაც ვქმნი უნივერსიტეტში საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტს.

როგორი ტენდენციებია მეზობელ ქვეყნებში.

— საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი ცოდნა და გამოცდილება დაგიგროვდათ. რაში ხედავთ დღეს ქართული დიპლომატიისა და განათლების სისტემის გამოწვევებს?

— საერთოდ, განათლება და დიპლომატია ერთმანეთთან არის მიბმული. ვამაყობ, რომ ჩემი 17 სტუდენტი საქართველოს ელჩი იყო და დღემდე არის ელჩად სხვადასხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, ძალიან ბევრ მინისტრს, სხვადასხვა რანგის დიპლომატსა და საჯარო მოხელეს ერთ დროს ჩემთან უსწავლია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვასწავლე ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც ჩემთანაც ისწავლეს.

ჩემს შემთხვევაში, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ერთმანეთთან არის შერწყმული და, მიუხედავად ჩემი სოლიდური ასაკისა, ახლა ვქმნი უნივერსიტეტში საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტს. სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი რუსეთი, ირანი (რომელიც უშუალო მეზობელი არ არის) — აი, ამ ქვეყნების შესწავლას ვაპირებთ. უნივერსიტეტში არის ძალები, რომლებსაც, ძირითადი საქმიანობისგან მოწყვეტის გარეშე, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოლოგიის, სამართლის ხაზით შეუძლიათ შეისწავლონ ეს ქვეყნები. ჩვენ ეს გვჭირდება, თანაც ვფიქრობ, რომ აქ ძირითადი ძალა უნდა იყოს დოქტორანტები და ახალგაზრდა მეცნიერები. როდესაც სომხეთში ელჩად ვმუშაობდი, ვნახე, რომ იქ რამდენიმე კვლევითი ცენტრი იკვლევდა საქართველოს. აქ კი არაფერი ვიცით სომხეთის შესახებ. გასარკვევია, როგორი დემოგრაფიული ტრენდებია მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში, ან ჩრდილოეთ კავკასიაში. გასაანალიზებელია რუსეთის პოლიტიკა მეზობლების მიმართ: ვინმე სწავლობს იმას, თუ რა პოლიტიკა შეიძლება განახორციელოს რუსეთმა მეზობლების მიმართ?! რას ნიშნავს საბაჟო კავშირი, ევრაზიული კავშირი?! თუ რამე ვიცით, ვიცით ჟურნალისტურ დონეზე! ამიტომ ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში, ჩვენი მეცნიერების ძალებით, უფრო ღრმად და სისტემურად უნდა შევისწავლოთ მეზობელი ქვეყნების პოლიტიკა. ამ კვლევით ცენტრში შერწყმული იქნება მეცნიერება, განათლება და დიპლომატია. ინიციატივის განსახორციელებლად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან დიდი მხარდაჭერა გვაქვს და მალე მოვახერხებთ მის რეალიზაციას.

— თქვენ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი და პრაქტიკოსი დიპლომატი ბრძანდებით. შეუძლებელია, არ გკითხოთ უკრაინის გარშემო დღეს შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც უკვე მთელ მსოფლიოს შეეხო და რაც, ბუნებრივია, გვაღელვებს საქართველოშიც. როგორც პროფესიონალი, რას გვეტყვით?

— ძნელია კონკრეტული პროგნოზის გაკეთება, რადგან ყოველდღიურად იცვლება ვითარება. ერთი რამ ნათელია: როცა 2003 წელს დავიწყე ჩემი წიგნის — „ჩემი მეოცე საუკუნის” წერა, მაშინ აღვნიშნე, რომ მსოფლიო არის ერთპოლარული, 2008 წელს, როდესაც წიგნი გამოვიდა, მსოფლიო უკვე აღარ იყო მონოპოლარული. ახლა უფრო მეტად ვრწმუნდები ამაში, რომ პაქს-ამერიკანა, იგივე წესრიგი ამერიკული წესებით, სამწუხაროდ, დედამიწაზე მთავრდება. მართალია, 2014 წელს 100 წელი შესრულდება პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან, თუმცა არავითარი შიში არ მაქვს, რომ მსოფლიო ომი დაიწყება. არ დაიწყება, რადგან არსებობს შეკავების იარაღი ორივე მხრიდან, მაგრამ სულ უფრო იზრდება სხვა სახელმწიფოების მნიშვნელობა. დაახლოებით 15 წელიწადში ჩინეთი ეკონომიკურად უძლიერესი სახელმწიფო იქნება. ახლაც, პროდუქციის აბსოლუტური მოცულობით იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს უსწრებს, მაგრამ ერთ სულზე გადაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტით, ამერიკა ჯერ კიდევ ლიდერობს, თუმცა ჩინეთი აუცილებლად დაეწევა თუნდაც იმის გამო, რომ იგი ამერიკაზე ოთხჯერ დიდია მოსახლეობით. სხვათა შორის, მინდა ისიც გითხრათ, რომ 30 წლის შემდეგ ჩინეთი არ იქნება პირველი ქვეყანა მოსახლეობით, მას უკვე ეწევა და მალე გადაასწრებს ინდოეთი.

— ანუ, მალე ჩვენ ძალიან გააქტიურებულ შორეულ აღმოსავლეთთან გვექნება საქმე?

— არა მარტო შორეული აღმოსავლეთი, საყურადღებოა სამხრეთ აზია. დასავლური ორიენტაციის გამო, ჩვენ ახლა არც სამხრეთით ვიხედებით და არც აღმოსავლეთით, გვაშინებს ჩრდილოეთი და გვახარებს დასავლეთი, მაგრამ მსოფლიოს მარტო ორი მხარე არ აქვს და აღმოსავლეთი და სამხრეთი, რასაკვირველია, თავის როლს ითამაშებს მსოფლიო წესრიგის ორგანიზაციაში. ამჟამად ჩვენ პროცესს ვუყურებთ, თუმცა მერე, დრო რომ გავა, ვიტყვით, რომ დღევანდელი მოვლენები რაღაც პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. ასეთ სიტუაციაში უნდა შევაფასოთ, როგორ ხდება ძალთა გადანაწილება და შევეცადოთ, რომ აქლემების ჭიდაობაში კოზაკი არ გაიჭყლიტოს.

ჩვენ დღეს გარკვეულ დოგმატიზმში ვართ გადავარდნილი, თუმცა, როდესაც საუბარია დიპლომატიის ამოცანებზე, აუცილებელია შემუშავდეს მოქნილი პოლიტიკა, რაც ღრმა და სერიოზული დისკუსიის თემაა.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

ქრონიკა

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შორის

18 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები ერთმანეთში გაცვლიან ინფორმაციას და საჭირო მასალებს, ყველა საინტერესო სიახლეს დროულად აცნობებენ ერთმანეთს.

ტელეკონფერენცია მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტს შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ტელეკონფერენცია თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტსა და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკას შორის, რომელიც არსებული თანამშრომლობის ფარგლებში მოეწყო. პირველი ტელეკონფერენცია ტრანსპლანტაციის ევროპულ ზოგად საფუძვლებს მიეძღვნა.

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის ცნობილი გერმანელი პროფესორები თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, დოქტორანტების, რეზიდენტებისა და სტუდენტებისთვის გაუძღვებიან ტელეკონფერენციებისა და ლექციების ციკლს. ტელელექციები და კონფერენციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ყოველთვიურად გაიმართება.

თურქული ენის სახელმძღვანელოს პრეზენტაცია თსუ-ში

19 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქული ენის სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა.

სახელმძღვანელო დაწერილია სპეციალურად ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის. თუმცა, წიგნით სარგებლობა შეუძლია თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სახელმძღვანელოს შექმნა არის პირველი ცდა.

თურქული ენის სახელმძღვანელოს ავტორები არიან თეონა აფხაზავა და ელისაბედ ბჟალავა. სახელმძღვანელოში თურქული ენა სტუდენტს მიეწოდება ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით და ამდენად, აადვილებს მის შესწავლას. სახელმძღვანელო აგებულია თანამედროვე მეთოდოლოგიისა (მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი) და ევროპის სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილი ენის დონეების შესაბამისად და შედგება 4 კომპონენტისგან: სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, ვოკაბულარი და CD.

თსუ-ის რექტორმა ყაზახეთის ელჩი უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა

„საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 24 ივლისს დამყარდა. ყაზახეთის რესპუბლიკა ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დღითიდღე უფრო გაძლიერდეს. საქართველომ უნდა იცოდეს, რომ მას ყაზახეთის რესპუბლიკის სახით ჰყავს ერთგული პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო მეკავშირე. ჩვენ არასდროს ვაღიარებთ აფხაზეთსა და ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ყაზახეთი ერთმნიშვნელოვნად პატივს სცემს და მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რის შესახებაც არაერთხელ განუცხადებია ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას“, — განაცხადა სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე, 20 მარტს, საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ერმუხამეტ ერტისბაევმა, რომელმაც თსუ-ში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ყაზახეთის გზა — 2050: საერთო მიზანი, საერთო ინტერესები, საერთო მომავალი“. საჯარო ლექციას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, სტუდენტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორმა ყაზახეთის ელჩი ერმუხამეტ ერტისბაევი უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა და აღნიშნა, რომ „ყაზახეთი საქართველოს არა მხოლოდ მეგობარი, არამედ სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყაზახეთი საქართველოს ეკონომიკაში ფულს აბანდებს, პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“.

ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩმა საინტერესოდ ისაუბრა ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის ახალ პოლიტიკურ კურსზე, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე, რომელიც ეყრდნობა შემოსავლიანობის, ინვესტიციებიდან სარგებლის მიღებისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპებს: „ჩვენ მიერ არჩეულმა ქვეყნის განვითარების პოლიტიკურმა, სოციალურ ეკონომიკურმა და საგარეო პოლიტიკურმა მოდელმა თავისი ეფექტურობა დაამტკიცა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენ პირველებმა ჩამოვაყალიბეთ საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, თავისუფალ კონკურენციასა და გახსნილობის პრინციპზე. ქვეყანაში 160 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი უცხოური ინვესტიცია მოვიზიდეთ. გვინდა, მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ქვეყნების სამ ათეულში მოვხვდეთ.

ყაზახეთის ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპლექსი მთელი ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ნედლეულის რესურსებიდან მიღებული შემოსავალი გადავაგზავნეთ ეროვნულ ფონდში, რომელიც შესაძლო ეკონომიკური და ფინანსური არეულობისგან დამცავ საშუალებას წარმოადგენს. ეს ჩვენი აწმყო და მომავალი თაობების უსაფრთხოების გარანტიაა. ასევე, აღსანიშნავია ჩვენი აქტიური როლი ცენტრალურ აზიაში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნაში, ბირთვული რეჟიმის გაუვრცელებლობის შენარჩუნებასა და გამყარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთი მდიდარია წიაღისეულით, იგი გარშემორტყმულია რუსეთით, ჩინეთით და მუსლიმური სამყაროთი და ზღვაზე გასასვლელი არსად გვაქვს. ამიტომ სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფანს დიდი მნიშვნელობა აქვს ყაზახეთისთვის. ასე რომ, ბათუმის პორტი, რომელიც ყაზახურ კომპანიას 49 წლიანი იჯარით აქვს აღებული, ჩვენი ფანჯარაა ევროპაში“, — განაცხადა ერმუხამეტ ერტისბაევმა.

ელჩმა ასევე საინტერესოდ ისაუბრა საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ: „ყაზახეთი წარმოადგენს საქართველოს მნიშვნელოვან და სტრატეგიულ პარტნიორს. ჯერ კიდევ 2005 წელს პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა საქართველო გამოაცხადა ყაზახეთისათვის პრიორიტეტულ პარტნიორად, რაც დღესაც აქტუალური რჩება. ამასთან, ჩვენ სახელმწიფოებს შორის არსებობს ძლიერი მეგობრული, კულტურული და ისტორიული კავშირები”.

„დიდია ყაზახეთის რესპუბლიკის ინვესტიციების წილი საქართველოს ეკონომიკაში. საქართველო და ყაზახეთი თანამშრომლობენ საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის TRACECA-ს (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა) ფარგლებში მიმდინარე პროექტებში. გარდა ამისა, ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიები დიდ ინტერესს იჩენენ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო გადასასვლელის მიმართ. აღნიშნული გადასასვლელის მეშვეობით შესაძლებელი გახდება ტვირთბრუნვის, მათ შორის, ყაზახეთის ტვირთის გადაზიდვების განხორციელება საქართველოს რკინიგზის გავლით ევროპასა და აზიას შორის“, — აღნიშნა ყაზახეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ერმუხამეტ ერტისბაევმა.

შეხვედრის დროს სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი თსუ-ში გაიხსნას ყაზახეთ-საქართველოს კაბინეტი, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობებს შეისწავლის.

სტუდენტებს ასევე აინტერესებდათ რუსეთის ხელისუფლების ზენოლა ყაზახეთის მთავრობასა და პრეზიდენტზე, რის პასუხადაც ელჩმა განაცხადა: „არავითარ ზეწოლას რუსეთის მხრიდან ადგილი არა აქვს, პირიქით, ბევრ რამეს რუსეთი ჩვენგან სწავლობს“.

ყაზახეთის ელჩმა საუბრის დროს ხაზი გაუსვა აგრეთვე ტრანზიტის განვითარების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისთვის. „საქართველო მარტო ევროპის მიმართულებით არ უნდა იყურებოდეს, მაშინ როცა ირანი და ცენტრალური აზიის რეგიონები მის მეზობლად არიან. აუცილებელია სატრანსპორტო მიმართულებების დივერსიფიკაცია. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი გადარჩენის გზაა ქართული ეკონომიკისთვის, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში მოგებული რჩებიან ის ქვეყნები, ვისაც ტრანზიტი კარგად აქვს განვითარებული. ასევე, მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნისთვის პორტების განვითარებაც, რომელიც მიმზიდველი იქნება სხვა ქვეყნებისთვისაც. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, დიდი პერსპექტივები აქვს“, — აღნიშნა ყაზახეთის ელჩმა.

შეხვედრაზე სხვა აქტუალურ საკითხებზეც ისაუბრეს, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობებს უფრო ეფექტურსა და ნაყოფიერს გახდის. შეხვედრის ბოლოს თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მადლობა გადაუხადა ყაზახეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს ერმუხამეტ ერტისბაევს საინტერესო საუბრისათვის და წარმატებები უსურვა.

თამარ დადიანი

მეცამეტე საერთაშორისო პედაგოგიური კონფერენცია

21 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა მეცამეტე საერთაშორისო პედაგოგიური კონფერენცია. კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო კითხვები 2002 წლიდან ყოველწლიურად ტარდება. ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრის საპატიო პრეზიდენტია აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი. კონფერენცია საქართველოში წელს პირველად გაიმართა და მასში 17 ქვეყნის 500-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

კონფერენცია 23 მარტს დასრულდა.

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

უკრაინა დღეს

თეიმურაზ პაპასქირი

უკრაინის კრიზისი, მისი წინაპირობები და სამომავლო პროგნოზები — ამ თემასთან დაკავშირებული ნებისმიერი კვალიფიციური მოსაზრება და კვლევა დღეს, როდესაც კვლავ უცნობია — რა განვითარებას შეიძენს „მაიდანზე“ დაწყებული პროცესები და რას დაუპირისპირებს მსოფლიო რუსულ აგრესიას, ბუნებრივად იწვევს საზოგადოების ინტერესს.

თსუ-ის სრული პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თეიმურაზ პაპასქირის მიერ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წაკითხულმა საჯარო ლექციამ — „უკრაინა დღეს“ ფართო საზოგადოებას საშუალება მისცა, უკეთესად გარკვეულიყო უკრაინის სახელმწიფოს შიდაპოლიტიკურ საკითხებში და ქვეყანაში განვითარებული კრიზისის შინაარსში.

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობის მსგავსად, უკრაინის სახელმწიფოსთვის ეთნიკური პრობლემა ის რუბიკონი აღმოჩნდა, რომლის გადალახვასაც ჯერ-ჯერობით ვერც ერთი ახალი დემოკრატიის სახელმწიფო ვერ ახერხებს. მიზეზი დიდი ხანია ცნობილია და მას კრემლის პოლიტიკა ჰქვია, თუმცა, როგორც ბოლო მოვლენებმა გვიჩვენეს, ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მსოფლიოს დღემდე არ გააჩნია ქმედითი და ეფექტური მექანიზმი.

უკრაინაში მოსახლეობის განსახლების ეთნიკური სურათი XX საუკუნის დასაწყისიდან მრავალჯერ შეიცვალა. თეიმურაზ პაპასქირის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით, XX საუკუნის 10-იან წლებში, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაიშალა, უკრაინულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის წილი დომინანტური იყო იმ რეგიონების უმეტესობაში, სადაც დღეს რუსულენოვანი მოსახლეობა სჭარბობს. თუმცა, იმ პერიოდისთვის უკრაინაში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რამაც ხელი შეუშალა უკრაინის ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას და, საბოლოო ჯამში, 1922 წელს უკრაინა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა და ნაწილი გახდა. საყურადღებოა, რომ არსებული მონაცემებით, ყირიმში, რომლის ტერიტორია იმ პერიოდისთვის უკრაინას არ ეკუთვნოდა, უკრაინულენოვანი მოსახლეობის წილი ასევე მაღალი იყო. რეალურად დომინანტური იყო უკრაინულად მოლაპარაკე მოსახლეობა ყუბანში, რომელიც ასევე არ ეკუთვნოდა საბჭოთა უკრაინას. რეგიონის ეთნიკური რუკა 30-იანი წლების „გოლოდომორის“ შემდეგ შეიცვალა, რომელიც, მკვლევართა უმეტესობის აზრით, საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვნურად მოაწყო უკრაინელების გენოციდისთვის. კერძო მეურნეობების მოშლისა და კოლექტივიზაციის შედეგად გამოწვეულ შიმშილს როგორც უკრაინულ, ისე რუსულ ტერიტორიებზე, მთლიანობაში, 20 მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა, თუმცა, რადგან ამ ტერიტორიებზე იმ დროისთვის ძირითადად უკრაინული ეთნოსი სჭარბობდა, „გოლოდომორის” შედეგად სწორედ მათ საზიანოდ შეიცვალა დემოგრაფიული სურათი.

მკვლევრების აზრით, უკრაინის დღევანდელი კრიზისი სათავეს ენობრივი საკითხიდან იღებს.

დღეისათვის უკრაინის მოსახლეობა, ძირითადად, რამდენიმე ეთნიკური ჯგუფით არის წარმოდგენილი: დასავლეთ უკრაინაში სჭარბობენ უკრაინელები, აღმოსავლეთში — რუსები, ასევე ვხვდებით ბულგარელებს, რუმინელებს, მოლდოველებს, უნგრელებს. რაც შეეხება ყირიმს, რომელიც 1954 წელს გადავიდა რუსეთიდან უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, აქ მოსახლეობის 58 % რუსია, 12 % — თათარი, ეთნიკური უკრაინელები 24 %-ს შეადგენენ, თუმცა მათი ნაწილი რუსულენოვანია. ასევე, რუსულენოვანი მოსახლეობა სჭარბობს დონეცკის, ხარკოვის, ლუგანსკისა და ოდესის ოლქებში.

ენობრივი საკითხი მთავარ პოლიტიკურ თემად იქცა 2010 წლის არჩევნებში. იმ პერიოდში არც პროდასავლური და არც პრორუსული პარტიები არ აყენებდნენ რუსეთთან ან დასავლეთთან ურთიერთობის რადიკალურად გაწყვეტის საკითხს და დაინტერესებულები იყვნენ ორივე მხარესთან ურთიერთობის შენარჩუნებით. ერთადერთი განსხვავებული დაპირება, რაც ვიქტორ იანუკოვიჩსა და მის „რეგიონების“ პარტიას ჰქონდა, რუსული ენის რეგიონული მნიშვნელობის ენად გამოცხადებას შეეხებოდა. 2010 წელს იანუკოვიჩმა მოიგო აღმოსავლეთ უკრაინის ის ოლქები, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა სჭარბობდა და მისი პარტიის გამარჯვების შემდეგ რუსული ენა ოფიციალურად გამოცხადდა კიდეც რეგიონული მნიშვნელობის ენად.

2010 წლის არჩევნებში პროდასავლური ძალების დამარცხების სხვა მიზეზებიც არსებობდა: ვიქტორ იუშენკოს მმართველობის პერიოდში უკრაინაში რეალურად ვერ გატარდა რეფორმები, რამაც პროდასავლური ძალების დისკრედიტაცია გამოიწვია. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი, თეიმურაზ პაპასქირის თქმით, ჩერნოვცის ოლქია, რომელიც დღეისათვის ეკონომიკურად ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მხრივ და სადაც დღემდე კონსერვირებულია საბჭოთა სისტემა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ უკრაინის ხელისუფლებას დასავლეთისკენ რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს. ე.წ. პროდასავლური ძალების მხრიდან რეფორმების ჩაგდებამ ბუნებრივად გამოიწვია მოსახლეობის იმედგაცრუება და, შესაბამისად, 2010 წლის არჩევნებში იუშენკომ მხოლოდ ხმათა 5 % მიიღო, ხოლო პროდასავლური ძალების ყველაზე აქტიური ლიდერი იულია ტიმოშენკო მეორე ტურში ვიქტორ იანუკოვიჩთან დამარცხდა.

იანუკოვიჩის პარტია „რეგიონებმა“ 2010 წლის არჩევნებში 280 მანდატი, ანუ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა, თუმცა კრიტიკულ მომენტში ამ ფრაქციამ რღვევა დაიწყო და 2014 წლის „მაიდანის“ ამბებისას მის შემადგენლობაში მხოლოდ 60 დეპუტატი-ღა დარჩა, რამაც საბოლოოდ განაპირობა ის, რომ იანუკოვიჩი მხარდამჭერების გარეშე აღმოჩნდა. ის, რომ „რეგიონების“ ფრაქცია თავის დროზე უმრავლესობით მოვიდა, თუმცა საბოლოოდ მონოლითური ვერ აღმოჩნდა, ისევ და ისევ 2010 წლის არჩევნებსა და პოლიტიკური პარტიების მიერ დაშვებულ შეცდომებს უკავშირდება. უკრაინაში სადაც მაჟორიტარულ-პროპორციული საარჩევნო სისტემაა, პროპორციული არჩევნები პროდასავლურმა ძალებმა მოიგეს, თუმცა, იმ პერიოდისათვის იანუკოვიჩის ოპოზიციაში მყოფმა პროდასავლურმა პარტიებმა ყველა მაჟორიტარულ ოლქში საკუთარი კანდიდატები წამოაყენეს და, საბოლოოდ, ერთმანეთს ხმები წაართვეს; „რეგიონების“ სიით გასული მაჟორიტარები, ძირითადად, ადგილობრივი გავლენიანი, თუმცა პოლიტიკურად ნაკლებად მოტივირებული ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებმაც კრიტიკულ მომენტში „ტყავის გადარჩენაზე“ დაიწყეს ფიქრი და პარტიულ ინტერესებზე მაღლა საკუთარი ინტერესები დააყენეს.

ვიქტორ იანუკოვიჩის პოლიტიკური ფიასკოს ერთერთ მთავარ მიზეზად სახელდება კორუფციის და ბიზნესის რეკეტის წარმოუდგენელი მასშტაბები. თავად იანუკოვიჩი ე.წ. დონეკკელების კლანს განეკუთვნებოდა, რომლებიც დიდ გავლენასა და ფინანსებს ფლობენ, თუმცა, პრორუსულობის მიუხედავად, დონეცკელი მილიარდერები რუსეთთან მიერთებით დაინტერესებულები არ იყვნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთში ბიზნესის კეთება გაცილებით ძნელია. სამაგიეროდ, იანუკოვიჩის მმართველობის პირობებში დონეცკელების კლანის თავგასულობამ აშკარად ზღვარს გადააბიჯა: საკმარისი იყო ერთი სიტყვა და ნებისმიერი ბიზნესი მათ ხელში გადადიოდა. ამან, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად განაპირობა მოსახლეობის დიდ ნაწილში უარყოფითი განწყობების გაჩენა და „მაიდნის“ პროცესების მორალური მხარდაჭერა, მით უმეტეს, რომ „მაიდნის“ ბოლო დღეებში იანუკოვიჩს აშკარად უმტყუნა ნერვებმა და უკვე იარაღით დაუპირისპირდა აჯანყებულებს, რამაც მის ლეგიტიმაციას საბოლოოდ გამოუთხარა ძირი. სწორედ ამ მიზეზებს უკავშირდებოდა იანუკოვიჩის პოლიტიკური მარცხი, თუმცა, ბიძგი „მაედანს“ ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების პარაფირებაზე უარის თქმამ მისცა. უარის მიზეზად იანუკოვჩმა საკმაოდ წონადი არგუმენტი დაასახელა: მისი თქმით, უკრაინას რამდენიმე ათეული მილიარდი (სხვადასხვა გამოთვლებით15-დან 40 მილიარდამდე) დოლარი ესაჭიროება საიმისოდ, რომ ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია მოახდინოს და კონკურენტუნარიანი გახდეს ევროპულ ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინის ფაბრიკა-ქარხნებს გაჩერება, მოსახლეობას კი უმუშევრობა ემუქრება. იანუკოვიჩისაგან ასეთი ღია ვაჭრობა, როგორც ჩანს, დასავლეთში საკმაოდ არადიპლომატიურ ტონად ჩაითვალა, ყოველ შემთხვევაში, კონკრეტული მიზეზი, რატომ არ დაუჭირა დასავლეთმა მხარი იანუკოვიჩის ამ მოთხოვნას — დღემდე უცნობია. კრიტიკულ სიტუაციაში იანუკოვიჩს 15 მილიარდს რუსეთი დაჰპირდა, თუმცა, თეიმურაზ პაპასქირის თქმით, რუსეთი ამ ნაბიჯით ფინანსურად არაფერს აგებდა, რადგან უკრაინისათვის ნასესხები ფული, ბუნებრივი აირის დავალიანების სანაცვლოდ, კვლავ უკან დაუბრუნდებოდა.

რუსეთის მხრიდან უკრაინულ პოლიტიკაში აშკარა ჩარევამ და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უარის თქმამ უკრაინის პოლიტიკური ძალები კონკრეტული არჩევანის წინაშე დააყენა — ან რუსეთი, ან ევროპა! შესაბამისი გაფორმება ამ დაპირისპირებამ „მაიდანზე“ ჰპოვა სამთვიანი სისხლიანი დაპირისპირების სახით სამთავრობო ძალებსა და ოპოზიციას შორის.

დღეს უკვე ცნობილია შედეგები: უმაღლესი რადას მიერ 25 მაისისათვის დანიშნული ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები; რუსეთის ღია ზეწოლა უკრინაზე; ყირიმის ე.წ. რეფერენდუმი და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მისი ფორსირებული წესით შეყვანა; პუტინის მიერ „პოლიტიკურ გვამად“ გამოცხადებული ვიქტორ იანუკოვიჩი; რუსული აგრესიით შეშფოთებული დასავლეთი, რომელიც ჯერ-ჯერობით ვერანაირ ეფექტურ მექანიზმს ვერ უპირისპირებს რუსეთის მზარდ აგრესიას და ურთულესი ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების პირისპირ მდგარი უკრაინა.

როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში 25 მაისამდე და შემდეგ, დღეს ძნელად პროგნოზირებადია. თუმცა, ბოლო სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ამ ქვეყანაში პრორუსულ განწყობებს სერიოზული დარტყმა მიაყენა. ამაზე წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებიც მეტყველებს. თეიმურაზ პაპასქირმა ლექციაზე მარტის ბოლოს ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც კანდიდატებს შორის უპირობო ლიდერია პეტრე პოროშენკო, უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი, მილიარდერი, რომელიც საკმაოდ დიდ ინდუსტრიას ფლობს და, ცნობისათვის, ჩვენში პოპულარული შოკოლადის „როშენის“ მწარმოებელიცაა. პოროშენკოს შემდეგ პარტია „უდარის“ ლიდერი ვიტალი კლიჩკო ლიდერობს, რაც შეეხება იულია ტიმოშენკოს, იგი მესამე ადგილზეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მან საერთოდ მოხსნას საკუთარი კანდიდატურა. სამივე ლიდერი პროდასავლური კურსის გამტარებელია. რაც შეეხება „რეგიონების“ პარტიას, იგი თითქმის გაქრა ძირითადი პოლიტიკური სპექტრიდან: იანუკოვიჩის მთავრობის ყოფილი წევრი სერგეი ტიგიპკო ამჯერად მხოლოდ მეოთხე პოზიციაზეა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტიგიპკო უფრო პროდასავლელად მიიჩნევა, ვიდრე პრორუსად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მთლიანად შეცვალა ამ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი და მოსახლეობის განწყობები.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

კონფერენცია

აკადემიური პერსონალის ტრენინგი მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

2014 წლის 3-დან 5 თებერვლამდე, ტემპუსის პროექტის — DOIT-ის (Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training) ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „აკადემიური პერსონალის ტრენინგი მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“.

კონფერენციაზე ძირითადად ყურადღება გამახვილდა პროექტის ფარგლებში შემუშავებული კურსის — „ბავშვთა უფლებების დაცვა განათლების მეშვეობით — ვსწავლობთ ერთად ცხოვრებას“ — პილოტირებისთვის პედაგოგების მომზადების საკითხებზე. პროექტი ხელს უწყობს მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და დანერგვას, რომლებიც დაეხმარებათ მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების გაცნობიერებაში.

პროექტში მონაწილეობდა 16 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მათ შორის, 6 — ისრაელიდან, 5 — საქართველოდან, 2 — გაერთიანებული სამეფოდან, თითო-თითო — გერმანიიდან, ავსტრიიდან, ნიდერლანდებიდან. მასში ასევე ჩართულია 4 არასამთავრობო ორგანიზაცია ისრაელიდან, საქართველოდან და ესტონეთიდან, ასევე, 6 სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზაცია.

პროექტის წარმდგენი მხარეა გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი ისრაელიდან, ხოლო პარტნიორები საქართველოდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აკადემიური პერსონალის ტრენინგის DOIT-ის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა იზაბელა პეტრიაშვილმა და DOIT-ის პროექტის კოორდინატორმა, დოქტორმა რონდა სოფერმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ 2014 წელს პროექტის ფარგლებში შეიქმნა კურსები — „ბავშვთა უფლებების დაცვა განათლების მეშვეობით – ვსწავლობთ ერთად ცხოვრებას“, „იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში“, „მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო“, „მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ისრაელი“ და „ინტერ–კულტურული ურთიერთობების ხელშემწყობი პედაგოგიური მიდგომები“.

ასევე ითქვა, რომ 2014 წლის გაზაფხულის სემესტრიდან იწყება 2 კურსის პილოტირება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების ინსტიტუტში, ხოლო 2014 წლის შემოდგომის სემესტრიდან — 2 კურსის პილოტირება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტში.

როგორც DOIT-ის პროექტის კოორდინატორმა, დოქტორმა რონდა სოფერმა აღნიშნა, მომავალი მასწავლებლები, რომლებიც ამ პროექტში ჩაერთვებიან, თავად იქნებიან მონადინებულები, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა ხორციელდებოდეს. „მთელი ჩვენი პროექტის სული და გული არის ის, რომ მასწავლებლები მიხვდნენ — ისინი არიან ბავშვთა უფლებების დაცვისკენ მიმართული სოციალური აგენტები. მაგრამ მათ, რომ ქმედება განახორციელონ, პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ. ნებისმიერი საზოგადოება, არა მხოლოდ ქართული, ბევრ დადებითს მიიღებს ამ პროექტიდან, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას. ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება — მიიღონ თანასწორი განათლება“, — განაცხადა მან.

DOIT-ის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა იზაბელა პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია — მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლების ხელშეწყობა და გაძლიერება განათლების სფეროში ჩართულ პროფესიონალთა შორის ცოდნის გაზიარების გზით. ასევე, ისრაელისა და საქართველოს მონაწილე უნივერსიტეტებისა და კოლეჯებისთვის კურიკულუმის/კურსების შექმნა, პილოტირება და დანერგვა.

თამარ ნატრიაშვილი

ჟურნალის მთავარი გზავნილი — გლობალური მომავლის პროგნოზი

ᲫᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲫᲕᲘᲚᲘ

„2014 წელს შოუ დაიწყება... ისევე, როგორც სპორტული შოუს თვალსაზრისით, ეს წელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების წელი იქნება...2014 წელს ცვლილებები გამოიწვევს მღელვარებასაც და აღფრთოვანებასაც...“, — ასეთ პროგნოზს აკეთებს გავლენიანი გამოცემის, ბრიტანული „ეკონომისტის“ წლიური ჟურნალის „მსოფლიო 2014“-ის რედაქტორი დანიელ ფრანკლინი სარედაქციო სტატიაში, რომლის გაცნობა უკვე ქართველ მკითხველსაც შეუძლია. ჟურნალის ქართულენოვანი ვერსიის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიებას, რომლის ორგანიზატორი იყო „ჯორჯია თუდეი ჯგუფი“, ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, თსუ-ის აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები.

ჟურნალში ცნობილი უცხოელი ექსპერტების, ეკონომისტების და წამყვანი ბიზნეს-კომპანიების ლიდერების გვერდით ქართველი ავტორების სტატიებიც არის გამოქვეყნებული. მათ შორის არიან: საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მინისტრები, ელჩები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები... ჟურნალში საავტორო სტატიები, ასევე, გამოქვეყნებული აქვთ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ლადო პაპავასა და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ირაკლი კოვზანაძეს.

„იმედისმომცველი 2014 წელი: ეკონომიკა, უმაღლესი განათლება და მეცნიერება“ — ამ სათაურით დაიბეჭდა ჟურნალში თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას სტატია, რომელშიც ავტორი 2014 წლის ძირითად ამოცანებზე ამახვილებს ყურადღებას: „2014 წლის მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა. ამისთვის საქართველოს მთავრობამ უნდა გააააქტიუროს ყველა მიმართულებით მუშაობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც აუცილებელია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოსაწერად. აუცილებელია, 2014 წლის დასაწყისში მთავრობამ შეიმუშაოს 2020 წლამდე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელის რეალიზაციას დაემყარება. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება კი შეუძლებელია უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და მეცნიერების ხელშეწყობის გარეშე“, — წერს ვლადიმერ პაპავა თავის საავტორო სტატიაში.

საქართველოში დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებზე ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკის მინისტრი ნოდარ ხადური, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ პროცესში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია „ევროპასთან ჰარმონიზაცია, ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ამ ღირებულებებზე დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობები“.

2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასა და NATO-სთან დაახლოებაზე აკეთებს აქცენტს გიორგი მარგველაშვილი პუბლიკაციაში „პოსტსაბჭოეთიდან — თანამედროვე დემოკრატიისკენ“.

„ყველა, ვინც წაიკითხავს „ეკონომისტის“ წლიურ გამოცემას, მიხვდება ჟურნალის მნიშვნელობას. განსაკუთრებით საინტერესოა რუბრიკა „საქართველო“, სადაც წარმოდგენილია როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო სექტორი. მე, როგორც ერთერთი ავტორი, ჟურნალში ვსაუბრობ საპარტნიორო ფონდზე, მის მნიშვნელობასა და ყველა იმ პროექტზე, რომელსაც ჩვენი ფონდი ახორციელებს“, — განაცხადა ჟურნალის პრეზენტაციაზე საპარტნიორო ფონდის დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ. მისივე თქმით, მაღალხარისხიანი გამოცემის ქართულ ბაზარზე დამკვიდრება მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

როგორც ჟურნალის პრეზენტაციაზე თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, „ჟურნალი „ეკონომისტი“ ერთერთი წამყვანი პროფესიული გამოცემაა ფართო აუდიტორიისთვის, რომელიც აშუქებს ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის მიმდინარე საკითხებს მთელს მსოფლიოში. ძალიან კარგია, რომ მისი ქართული ვარიანტი არსებობს. „მსოფლიო 2014“ — ეს არის სპეციფიკური ნომერი და მიძღვნილია იმ პრობლემებისადმი, რომელიც დგას მსოფლიოს წინაშე. მასში არის საქართველოს შესახებ შესაბამისი ინფორმაციაც, რომელიც საინტერესოა როგორც სტუდენტობისთვის, ასევე, ჩვენი პროფესურისთვის და ფართო აუდიტორიისთვის“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

„განსაკუთრებით საყურადღებოა ჟურნალის ქართული ბლოკი. ჩვენ გვყავს საკმაოდ ავტორიტეტული ავტორები, რომელთაც საზოგადოება, ძირითადად, რესპონდენტის როლში იცნობს, მაგრამ ამჯერად ისინი თავად არიან სტატიების ავტორები. ვფიქრობ, ძნელად მოიპოვება საქართველოში მეორე ისეთი გამოცემა, რომელიც თავს უყრის ერთად ამდენ ნაფიქრალს და გეგმას, განსაკუთრებით 2014 წლისათვის“, — აღნიშნა ჟურნალის გამომცემელმა გიორგი შარაშიძემ.

„საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ცნობილი გამოცემის „ეკონომისტის“ ქართული ვერსიის გამოშვება. განსაკუთრებით საინტერესოა ჟურნალის ქართულენოვანი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც საზოგადოებრივი, ასევე, კერძო სექტორი. დარწმუნებული ვარ, ეს ჟურნალი მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის“, - განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ.

„გლობალური მომავლის პროგნოზი ჟურნალის მთავარი გზავნილია“, — ასე შეფასდა ჟურნალი „მსოფლიო 2014“ პრეზენტაციაზე.

ფოკუსირებულები ვართ იმ კვლევებზე, რომელსაც რაღაცა ტიპის სერთაშორისო გამოხმაურება უკვე მიღებული აქვს

გამოვიდა „თსუ მეცნიერების“ მე-5 ნომერი

ეგვიპტეში ქართველ მამლუქთა ცხოვრება არაბულ, ეგვიპტურ და ევროპული წყაროების მიხედვით, პლატონური ტრადიციების გავლენა ევროპულ და ქართულ ფილოსოფიურ აზრზე, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური და რელიგიური ისტორია, საქართველოს სასკოლო განათლების პრობლემები და ემოციური ინტელექტის კვლევა, სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში და ლაზერულ თერმობირთვული სინთეზი, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში და ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის ეფექტური მეთოდები, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის გამოწვევები და თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის საქმიანობა და პრიორიტეტები — ამ და სხვა არანაკლებ საინტერესო საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებს ეძღვნება ჟურნალ „თსუ მეცნიერების” მე-5 ნომერი, რომლის პრეზენტაციაც თსუ-ის სააქტო დარბაზში გაიმართა და სადაც ჟურნალის ახალი სარედაქციო საბჭოს წევრები წარუდგინეს შეკრებილ საზოგადოებას.

ჟურნალი ექვს თვეში ერთხელ გამოდის და უფასოდ ვრცელდება სამეცნიერო საქმიანობით დაინტერესებულ წრეებსა და უნივერსიტეტში.

„ჩვენი სპეციფიკა ასეთია: ვამზადებთ მასალებს იმ კვლევების შესახებ, რომლებიც დაფინანსებულია ამა თუ იმ გრანტით, წარდგენილია საერთაშორისო კონფერენციაზე ან საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია, ანუ ფოკუსირებულები ვართ იმ კვლევებზე, რომელსაც რაღაცა ტიპის სერთაშორისო გამოხმაურება უკვე მიღებული აქვს. ასევე, ჟურნალში შესული კვლევების ყველა ავტორის შესახებ იბეჭდება მათი ბიოგრაფიული მონაცემები, ჟურნალი ორენოვანია. მასალები იბეჭდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, რათა უცხოენოვანმა საზოგადოებამაც იცოდეს, რა სიახლეებია და როგორი მასშტაბის მეცნიერები მუშაობენ უნივერსიტეტში. ეს არ არის წმინდა სამეცნიერო ჟურნალი, იგი უფრო საპრეზენტაციო-პოპულარულ-სამეცნიერო ხასიათისაა და გათვლილია მკითხველთა გაცილებით ფართო წრისთვის”, – ამბობს ჟურნალის რედაქტორი თამარ ხორბალაძე.

მისივე თქმით, 2013 წლის შემოდგომიდან ჟურნალს განახლებული სარედაქციო საბჭო ჰყავს, რომელიც სხვადასხვა დარგის მეცნიერებით არის დაკომპლექტებული, რაც ბევრად უფრო საინტერესოს გახდის გამოცემას.

მოამზადა ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲚᲐᲤᲔᲠ-ᲙᲔᲘᲜᲖᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ



ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლები სჭირდება, რათა ეფექტურად შეასრულოს მრავალმხრივი ფუნქციები — რაც დიდია ასეთი შემოსავლები, მით უფრო წარმატებულად ფუნქციონირებს სახელმწიფო. მაგრამ გადასახადების ამოღება გავლენას ახდენს კერძო სუბიექტების საქმიანობაზე და ზღუდავს მათ ეკონომიკურ შესაძლებლობას. არაერთი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ ზედმეტად ლიბერალური ან მძიმე საგადასახადო ტვირთის პირობებში ეკონომიკის ფუნქციონირება არაეფექტურია. სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ წარმოების ფაქტორების რაციონალური განაწილება-გამოყენების საქმეში სერიოზული როლი შეიძლება ოპტიმალური დაბეგვრის სისტემის შექმნამ ითამაშოს, რომლის ერთერთი ელემენტიც აგრეგირებული ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის დაწესებაა. როგორია ეს განაკვეთი? როგორ შეიძლება მისი განსაზღვრა? ეს ის მნიშვნელოვანი კითხვებია, რომლებზეც პასუხის გასაცემად აქტიურად მსჯელობენ სამეცნიერო წრეებში.

ამ მხრივ, საინტერესოა ქართველი მეცნიერების: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ვლადიმერ პაპავასა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იური ანანიაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი „ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა“, რომელიც ახლახან ნიუ-იორკში (აშშ) გამომცემლობა “NOVA“ -მ დაბეჭდა.

მეცნიერების მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე მიღებულ საინტერესო შედეგებზე გვესაუბრება წიგნის ერთერთი ავტორი იური ანანიაშვილი, რომელიც თვლის, რომ აღნიშნული მონოგრაფია მაკროეკონომიკურ თეორიაში კიდევ ერთი ახალი მოდელის დამკვიდრებას და ეკონომიკისათვის რამდენიმე საინტერესო შედეგის ახსნას შეუწყობს ხელს.

ᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ***ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ:***

„დაახლოებით 10 წლის წინ, ბატონმა ლადო პაპავამ ერთერთ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეკონომიკაში გადასახადების პრობლემას, კერძოდ კი ლაფერის თეორიას და მისგან გამომდინარე შედეგებს ეხებოდა. ნაშრომმა დამაინტერესა და რამდენიმე წლის შემდეგ მის საფუძველზე მეც დავწერე სტატია. ასე გაჩნდა იდეა, რომ ამ თემაზე ერთობლივად გვემუშავა. გამოვაქვეყნეთ სტატიები, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ გამოცემებში. შემდეგ გადავწყვიტეთ მასალების გადამუშავება, სისტემაში მოყვანა და ერთ წიგნად გამოცემა.

მუშაობის დროს ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში გადასახადების როლი ცალმხრივად განიხილება. მაგალითად, მაკროეკონომიკის ერთერთი მთავარი მიმართულება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მე-20 საუკუნის გენიალურმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა და რომელიც კეინზიანური სკოლის სახელწოდებითაა ცნობილი, ძირითადად სწავლობს იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს გადასახადების სიდიდე საქონლისა და მომსახურების შესაძენად ეკონომიკაში განხორციელებული ერთობლივი დანახარჯების სიდიდეზე, ანუ ერთობლივ მოთხოვნაზე. გადასახადების პრობლემას ცალმხრივად განიხილავს მაკროეკონომიკის კიდევ ერთი მიმართულება, რომლის რადიკალური წარმომადგენელია არტურ ლაფერი და ცნობილია მიწოდების თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიაში წინა პლანზე საგადასახადო განაკვეთის ერთობლივ მიწოდებაზე, ანუ ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ჯამური წარმოების მოცულობაზე, ზემოქმედებაა წამოწეული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკის მდგომარეობასა და ფუნქციონირების ეფექტიანობას მისი ორი მდგენელის — ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების — ურთიერთობა განსაზღვრავს, ბუნებრივად მივალთ დასკვნამდე, რომ გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და აღნიშნული თეორიების ცალმხრივობის გადალახვა მხოლოდ მათი სინთეზის გზითაა შესაძლებელი. ჩვენს მიერ შექმნილი და წიგნში ასახული კონცეფცია სწორედ ასეთი სინთეზის ილუსტირების ერთერთი შესაძლო ვარიანტია. იგი ეფუძნება ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილ მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებისგან შედგება. მაგრამ სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით, რომელშიც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონე განიხილება, ჩვენს მოდელში ასეთ განმსაზღვრელს საშუალო საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს. ასეთმა მიდგომამ აგრეგირებული საგადასახადო განაკვეთის როლის ახლებურად დანახვის საშუალება მოგვცა. რამდენიმე მომენტს გამოვყოფ.

პირველი, ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ წონასწორული და ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთები. პირველი მათგანი უზრუნველყოფს ეკონომიკის წონასწორობაში მოსვლას, რომლის დროსაც ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება ერთმანეთს უტოლდება. ოპტიმალური განაკვეთის დროს კი ეკონომიკაში ადგილი აქვს სრულ დასაქმებას და ერთობლივი გამოშვება პოტენციურ ანუ მაქსიმალურ დონეზე იმყოფება. როგორც წესი, საგადასახადო განაკვეთის ეს ორი მნიშვნელობა ერთმანეთს იშვიათად ემთხვევა.

მეორე, საგადასახადო განაკვეთის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობაზე, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოღებას თავისთავად არ შეუძლია დასაქმების დონის ზრდა და პოტენციური გამოშვების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებასა და სრული დასაქმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს, დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს.

მესამე, როცა სახელმწიფო დაბეგვრის არსებულ საშუალო საგადასახადო განაკვეთს სტაბილურ მდგომარეობაში ინარჩუნებს, მაშინ ფასების დონის ყოველ ახალ წონასწორულ მნიშვნელობას თავისი ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი შეესაბამება და ერთობლივი მოთხოვნის გარკვეულ საზღვრებში ცვლილებას თან ახლავს წონასწორული და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაახლოების პროცესი. აქედან მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი, კერძოდ ის, რომ სახელმწიფო ნაკლებად უნდა ცდილობდეს საგადასახადო განაკვეთის ცვლილებით ეკონომიკის რეგულირებას. როცა ეკონომიკას გადასახადის ცვლილებით „ანერვიულებ“, ცუდი შედეგი მიიღება, რაც არ უნდა კეთილი სურვილი გამოძრავებდეს.

წიგნი მეცნიერ-ეკონომისტებისა და პრაქტიკული მუშაკებისთვის, ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის არის განკუთვნილი. იგი საინტერესოა ეკონომიკური კანონზომიერებებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვისაც. წიგნის შეძენის მსურველებმა გარკვეული ინფორმაცია შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე მიიღოთ: http://www.amazon.com/Laffer-Keynesian-Synthesis-Macroeconomic-Equilibrium-Perspectives/dp/162948668X

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ!

დიდი ამერიკელი ნობელიანტი მეცნიერის აჰმედ ზევაილის ექსპერიმენტებში, რომელმაც საფუძველი დაუდო რეგიოსელექციური რეაქციების ახალ ერას ქიმიაში, გამოყენებულია ქართველი მეცნიერების მიერ შემოთავაზებული ციკლურ-დიმერული მექანიზმის კვანტურ-ქიმიური მოდელი, რაც ქართული სამეცნიერო სკოლის დიდი აღიარებაა.

ამ მოდელის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თსუ-ის ქიმიის დეპარტამენტის ემერიტუს პროფესორს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოში მოლეკულური სპექტრომეტრიისა და კვანტური ქიმიის სამეცნიერო სკოლის ერთერთ დამფუძნებელს ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲡ, *რომელსაც ახლახან 75 წელი შეუსრულდა. ბატონი ჯუმბერი დღემდე აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი კარგად იცნობს მოსკოვის, საარბრიუკენის (გერმანია) და ჯორჯიის (აშშ) უნივერსიტეტების სამეცნიერო სკოლებს. მას აღზრდილი ჰყავს 9 ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში.*

როგორც ბატონი ჯუმბერი აღნიშნავს, ქართველ ბუნებისმეტყველთა პოტენციალი საკმაოდ მაღალია და იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში თეორიული ქიმიის სამეცნიერო ჯგუფი შეიქმნება, რისთვისაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან სულ მცირე ყურადღებაა საჭირო.

თუ რით არის გამორჩეული ბატონ ჯუმბერ კერესელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა და როგორ ხედავს იგი ქართული მეცნიერების განვითარების პერსპექტივას, ამაზე თავად მეცნიერი გვესაუბრება.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

— ბატონო ჯუმბერ, თქვენ სამეცნიერო მოღვაწეობის მეტად საინტერესო და წარმატებული გზა გაიარეთ, რომელმაც საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი შეგძინათ. თქვენი მეცნიერული მემკვიდრეობიდან რა მიღწევებს გამოარჩევთ?

— სამეცნიერო მოღვაწეობა, გასული საუკუნის 60-იან წლებში, მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში დავიწყე, სადაც მოლეკულური სპექტრომეტრიის ლაბორატორია შევქმენი. უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ორგანული ქიმიის კათედრაზე, ჩვენი ინიციატივით, დაარსდა ორგანული სინთეზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სადაც სრულდებოდა წარმატებული კვლევები ინდოლის წარმოებულების სინთეზისთვის. ასევე, დავადგინეთ ინდოლიზაციის მექანიზმი, რაც საფუძვლად დაედო მრავალ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციას.

მეცნიერული კვლევის შედეგებს შორის აღსანიშნავია ჩვენ მიერ შექმნილი პროტონის გადატანის სტეკინგური და ციკლურ-პენტამერული მექანიზმები, რაც სრულიად ახალი წარმოდგენებია ქიმიური რეაქციების მექანიზმების თეორიაში. პროტონის გადატანის პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ბიომოლეკულებში. კერძოდ, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულია დნმ-ის დენატურაციის ე.წ. სოლვატოქრომული ეფექტი. ამას გარდა, შექმნილია პეპტიდური ბმის წარმოქმნის მექანიზმის მოდელი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ცილაში ამინომჟავების თანმიმდევრობის თვისებრივი დახასიათება.

პარალელურად, სამეცნიერო კვლევებს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში ვასრულებდი, სადაც, მოლეკულური სპექტრომეტრიის და კვანტური ქიმიის მეთოდების გამოყენებით, კარბონილურ ნაერთთა რეაქციის უნარიანობა გამოვიკვლიე. ეს თანამშრომლობა დღემდე აქტიურად გრძელდება.

— როგორც აღნიშნეთ, დღესაც აქტიურად თანამშრომლობთ რუსეთის ერთერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტთან და კარგად იცნობთ იქაურ ატმოსფეროს, სამეცნიერო წრეებს, სწავლების სპეციფიკას. როგორც უნივერსიტეტელს, შეგიძლიათ თუ არა რაიმე პარალელების გავლება თსუ-სა და რუსულ უნივერსიტეტებს შორის?

— 80-იან წლებში, უნივერსიტეტში, ორგანული ქიმიის კათედრას შეფობას დიდი რუსი მეცნიერი ნიკოლოზ სუვოროვი უწევდა, რომელიც აქ ხშირად ჩამოდიოდა და კურირებდა ორგანული სინთეზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, სადაც წარმატებული კვლევები სრულდებოდა ინდოლის წარმოებულების სინთეზისთვის. მოსკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო სკოლამ ბევრი რამ მომცა პროფესიული ზრდის თავალსაზრისით. ლომონოსოვის უნივერსიტეტში სამეცნიერო სკოლების დიდი ტრადიციებია. იქ ახალგაზრდა მეცნიერს მთელი დატვირთვით ამუშავებენ. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო სემინარებში, კონფერენციებში, რომელიც სისტემატურად იმართება და კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც შეეწყო ხელი ორგანული ქიმიის კათედრის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გაძლიერებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ლაბორატორია მოგვიანებით დაიშალა. 2006 წელს გატარებულმა საგანმანათლებლო რეფორმამ უნივერსიტეტში სამეცნიერო ერთეულების გაუქმება გამოიწვია.

— მეცნიერების გასავითარებლად დღეს რა პირობებია?

— როგორც იცით, მეცნიერების წასახალისებლად შექმნილია რუსთაველის ფონდი, სადაც წესიერი ადამიანები მუშაობენ, მაგრამ არც ერთი არ არის მეცნიერი. სამწუხაროდ, მათ კომპეტენცია არ ჰყოფნით, გამოარჩიონ პრიორიტეტები, თუ რომელ სამეცნიერო დარგს და რა მეცნიერულ კვლევას მიანიჭონ უპირატესობა, რომელი სამეცნიერო კვლევის დაფინანსება მოგვცემს რეალურ და ეფექტურ შედეგს. ფონდის მიერ უმეტესად ფინანსდება ის თემები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში იღეჭებოდა.

— ათეულობით წელია, რაც უნივერსიტეტში მუშაობთ და ფაკუ-ლტეტის განვითარებას ადევნებთ თვალს. თქვენი გადასახედიდან, რა უნდა შეიცვალოს, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლა მეტად მოთხოვნადი, ხოლო კვლევითი საქმიანობა — პრესტიჟული და წარმატებული გახდეს?

— ძველი თაობა, რომელიც ფაკულტეტზე ადრე აქტიურად მუშაობდა, დღეს ისე ვეღარ მუშაობს. მოდის ახალგაზრდობა, მაგრამ ისიც კარგად ხედავს, რომ აღარ არის ის მუხტი და ინტერესი. მეცნიერებამ განვითარების ტემპი დაკარგა. დოქტორანტს დღეს ხალისი არ აქვს — თავის თემაზე აქტიურად იმუშაოს, კვლევები ჩაატაროს... სადოქტორო დისერტაციაც რომ დაიცვას, მაინც ლაბორანტად რჩება.

ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს. სახელმწიფომ უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა მეცნიერების ეფექტურად დაფინანსებასა და წახალისებაზე. ვიცი, რომ ამ საკითხებზე სახელისუფლო წრეებში აქტიურად მსჯელობენ, მაგრამ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება. უნივერსიტეტში სამეცნიერო ცხოვრება უნდა ჩქეფდეს. დღეს, რეალურად, მეცნიერების დიდი ნაწილი დაუსაქმებელია. ნაკლებად შეიმჩნევა მეცნიერთა აქტიურობა. ამის ერთერთი მიზეზი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არასაკმარისი რაოდენობაც გახლავთ. ნიჭიერი, მონდომებული ახალგაზრდა მეცნიერები გვყავს, მაგრამ მათ მუშაობის საშუალება არ აქვთ. მეცნიერების განვითარება პრიორიტეტული უნდა იყოს სახელმწიფოსთვის. წელს მეცნიერების განვითარებისათვის 15 მილიონია გამოყოფილი, რომელიც პრობლემას ვერ გადაჭრის.

მეცნიერებაში ფული უნდა ჩაიდოს და ის აუცილებლად უკუგებას მოგვცემს. დღეს ხელისუფლებას ასეთი ნება არ აქვს. ეს ტენდენცია არც წინა ხელისუფლების საქმიანობაში შეიმჩნეოდა. დღეს სოციალური საკითხები უფრო აქტუალურია. თუ არ იქნა სახელმწიფო ნება, შედეგსაც არ უნდა ველოდოთ. მეცნიერებისადმი ინტერესი კი მოზარდს სკოლამ უნდა გაუღვიძოს — ჯერ ცოდნის საფუძველი უნდა შეიქმნას და ინტერესი მერე გაჩნდება. დღეს მეცნიერების დიდი ნაწილი „ენთუზიაზმზე მუშაობს“. დიდი მეცნიერება კი ენთუზიაზმით აღარ კეთდება!

პირველი ქართულ-ოსური ნამუშევარი 2008 წლის შემდეგ

თსუ-ის მარო მაყაშვილის სახელობის აუდიტორიაში გაიმართა ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმის პროექტის - „ახალგაზრდული სამშვიდობო ექსპრესის“ მონაწილე ახალგაზრდების შეხვედრა თსუ-ის სტუდენტებთან, სადაც ასევე მოეწყო ქართველი და ოსი რეჟისორების: თომა ჩაგელიშვილისა და ზურაბ ტავასიევის მიერ გადაღებული ერთობლივი დოკუმენტური ფილმის — „ომის ნაკვალევი“ ჩვენება.

„2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომმა ორი მეგობარი ერთმანეთს დააშორა. ისინი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იბრძოდნენ. შემდეგ მათი გზები გაიყარა — სწორედ ამ ორი მეგობრის ურთიერთობის ფონზე ვითარდება მოვლენები დოკუმენტურ ფილმში „ომის ნაკვალევი“.

გადატანილი ომის მიუხედავად, მეგობრები ცდილობენ — ერთმანეთისკენ მიმავალი გზები ისევ მოძებნონ. მიხეილ ტაბატაძე თბილისში აგრძელებს ცხოვრებას, როგორც დევნილი, მეორე — თემურ ცხოვრებოვი კი ცხინვალში, საკუთარ სახლშია. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი სხვა თანამებრძოლებთან ერთად სტამბოლში ხვდებიან ერთმანეთს...

„ჩემთვის ამჟამად ყველაზე დიდი პრობლემა მეგობრების დაცვაა! მართალია, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვაქვს, მაგრამ ამან მეგობრობაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს. ომის შედეგად მე ძმა დავმარხე, მიშამ — ქალიშვილი. ძნელია ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ყველაფერი დაკარგული არაა. აღდგომას თქვენი სოფლის ეკლესიაში შევიარეთ. გამაოცა იმან, რომ ეკლესია მოვლილია. არ ვიცი ვინ, მაგრამ ვიღაც უვლის თქვენს ეკლესიას“, — ეუბნება მეგობარს თემურ ცხოვრებოვი, რომელმაც მეგობარს თავის სოფელში აღებული წყაროს წყალი ჩამოუტანა.

„ომმა მართლაც ღრმა კვალი დააჩნია ადამიანების ცხოვრებას, მაგრამ მეგობრობის განადგურება ვერ შეძლო — სწორედ ამ ფაქტს ეხმაურება ეს ფილმიც, რომელიც პირველი ქართულ-ოსური ნამუშევარია 2008 წლის შემდეგ. აქ არის არის პოლიტიკა, აქ არის ადამიანობა და ჰუმანიზმი, რისი ჩვენებაც ახალგაზრდებისთვის გვინდოდა. უმჯობესი იქნება მეტი ჩართულობა როგორც ეროვნებით ქართველთა, ისე ოსი ხალხის მხრიდანაც. ბარიერები უნდა დაინგრეს, რაც ამ პროექტის მიზანს წარმოადგენს“, — აღნიშნა თომა ჩაგელიშვილმა ფილმის ჩვენებაზე.

> „ომმა მართლაც ღრმა კვალი დააჩნია ადამიანების ცხოვრებას, მაგრამ მეგობრობის განადგურება ვერ შეძლო — სწორედ ამ ფაქტს ეხმაურება ეს ფილმიც, რომელიც პირველი ქართულ-ოსური ნამუშევარია 2008 წლის შემდეგ.

რეჟისორის ინფორმაციით, გადაღებები თბილისში, სტამბოლსა და ცხინვალში მიმდინარეობდა. ფილმი „ომის ნაკვალევი“ პროექტ „ექსკომბატანტები არა ძალადობისთვის“ ფარგლებშია მომზადებული, რომლის მხარდამჭერია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამა. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის ცხინვალმა“ განახორციელა და ქართული და ოსური მხარეების თანამშრომლობით მომზადდა.

„ეს არის ჩვენი გზავნილი ახალგაზრდებისადმი იმის ნიშნად, რომ შეუძლებელია ამ კონფლიქტის მოგვარება, თუ არ იქნება ნდობა და სიყვარული ერთმანეთის მიმართ“, — განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა თემურ არბოლიშვილმა.

ფილმის ჩვენების შემდეგ მოეწყო დისკუსია ქართულ-ოსური ურთიერთობებისა და არსებული კონფლიქტის შესახებ.

მოამზადა
შურთხია ბეროშვილმა

მიიღეთ მონაწილეობა ახალ სატელევიზიო პროექტში — „უნივერსიტეტი“, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გავა ყოველ შაბათს 5 საათზე

თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფი იწყებს ახალ სატელევიზიო გადაცემაზე — „უნივერსიტეტი“ მუშაობას, რომელიც, თსუ-ის რექტორს ვლადიმერ პაპავასა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, გავა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში ყოველ შაბათს 5 საათზე 12 აპრილიდან.

პროექტის მიზანია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში მნიშვნელოვანი სიახლეებისა და მოვლენების გაშუქება; წარმატებულ მეცნიერთა, მკვლევართა და დოქტორანტთა საქმიანობის წარმოჩენა; საიუბილეო ღონისძიებების გაშუქება; საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევებისა და აღმოჩენების პოპულარიზაცია; საზოგადოებისთვის მტკივნეულ პრობლემებზე (სოციალური-ეკონომიკური-პოლიტიკური-კულტურული) კვალიფიციურ პროფესორ-ექსპერტთა და სტუდენტთა მოსაზრებების წარმოჩენა უნივერსიტეტის სახელით; სტუდენტური ცხოვრების — მიღწევების, ინიციატივების, სტუდენტური პროექტების, სტუდენტთა განსაკუთრებული უნარ-ჩვევების წარმოჩენა-გაშუქება; უნივერსიტეტის დამაარსებელთა, სამეცნიერო სკოლების ფუძემდებელთა, ღვაწლმოსილ პროფესორთა ახალი კუთხით წარმოჩენა, მათი ცხოვრების აქამდე უცნობი დეტალების საზოგადოებისთვის გაცნობა; საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების გაშუქება.

ცნობისთვის: გადაცემა მოიცავს შემდეგ რუბრიკებს:

- რუბრიკით „უნივერსიტეტის ქრონიკა“ საზოგადოება გაეცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას (ბრიფინგები, ოფიციალური შეხვედრები, სხდომები, საჯარო ლექციები, კონკურსები, კონფერენციები, სემინარები, იუბილეები, სტუდენტური აქტივობები, ღონისძიებები და ა.შ).
- გადაცემის მთავარ თემად შეირჩევა კვირის მანძილზე აქტუალური თემა ან უნივერსიტეტის მასშტაბით, ან განათლებისა და მეცნიერების სფეროში ან ქვეყნის მასშტაბით საჭირბოროტო საკითხზე, რომელზეც საუნივერსიტეტო საზოგადოების პოზიციების წარმოჩენაა საინტერესო.
- რუბრიკით „სტუდ-ეტიკი“ საზოგადოება გაეცნობა სტუდენტურ აქტივობებსა და სტუდენტურ ცხოვრებას;
- რუბრიკით „ინტელექტუალთა ბანკი“ საზოგადოება გაეცნობა მეცნიერ-მკვლევართა მოღვაწეობის შედეგებს, რაც გულისხმობს მეცნიერთა წარმოჩენასა და სამეცნიერო კვლევების, ნაშრომებისა და აღმოჩენების პოპულარიზაციას, მათი პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების პერსპექტივების გაცნობას.
- რუბრიკით „თსუ-მეტრი“ საზოგადოება გაეცნობა უნივერსიტეტის დამაარსებლების, სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლების, ღვანლმოსილი მეცნიერებისა და თსუ-ის კურსდამთავრებულების ღვაწლსა და მიღწევებს (მოღვაწეობა, პიროვნული შტრიხები, შეფასებები, მოგონებები და ა.შ.)

პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პროექტში მონაწილეობის მიზნით 12 აპრილიდან ამოქმედდება გადაცემა „უნივერსიტეტის“ გვერდი სოციალურ ქსელში — „ფეისბუქი“, სადაც საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრს შეეძლება საკუთარი მოსაზრებებისა და წინადადებების მიწოდება მხოლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

შემოქმედებითი ჯგუფი, ასევე, აწარმოებს საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პროფესორ-მასწავლებელთა შესახებ მინი-ფილმების გადაღებას, რომელთა გაშვებაც ფაკულტეტის პროფესორთა საიუბილეო ან საიმიჯო ღონისძიებებზე იქნება შესაძლებელი გარდა იმისა, რომ ეს ფილმები გავა მეორე არხის ეთერში გადაცემის ეგიდით.

ინფორმაცია და წინადადებები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ მისამართზე nino.kakulia@tsu.ge.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62